

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

1

2024

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლაყვიშვილი

ქუთაისი - 2024

ყდაზე - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

„იხარებდით მართალნი, მხიარულ იყვენით ცანი, იმღერდით მთანი, მეუფე იშვა, ქრისტე, ქალაქსა დავითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა“ (უძველესი იადგარი).

მოვედით ერნო, რათა მადლიერებით მოვიხსენოთ ადამიდან დღემდე ყველა, ვინც სათნო ეყო ღმერთს, – წმინდა მამანი და დედანი, ის ოჯახები, რომელთა მემკვიდრეობაშიც ინება უფალმა განხორციელება, მოვიხსენოთ წმინდანები, რომელთაც წინასწარ გვიქადაგეს ღვთის სიტყვის ხორცშესხმა და ის უცნობი მოძღვარნი და ერისკაცნი, რომელნიც ქრისტეს მოსვლის მოლოდინს სასოებით გადასცემდნენ თაობებს.

ესენი ძირითადად იყვნენ იმ პერიოდის მსოფლიოში ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი ერთადერთი ერის, ისრაელის, შვილნი. მართალია, იშვიათად სხვა ხალხებშიც არსებობდნენ სულიერებით გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ მხოლოდ ამ წიაღმა შეძლო უწყვეტად შეენარჩუნებინა კავშირი ღმერთთან და ჩირაღდნად ქცეულიყო მთელი წარმართული კაცობრიობისთვის; იმ კაცობრიობისათვის, რომელმაც არაერთი ცივილიზაცია შექმნა და რომელსაც საოცარი მიღწევები ჰქონდა ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მწერლობაში, ხელოვნებაში...

მაინც რით შეძლო, ერთი შეხედვით, უბრალო ერმა გამორჩეული ყოფილიყო ასურეთის, ბაბილონის,

სპარსეთის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, ბერძენთა, რომაელთა და სხვა იმპერიებთან შედარებით?

ამ იმპერიებში დაკარგული იყო უმთავრესი, – ჭეშმარიტი ღვთის ცოდნა. ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილი დიდი განვითარების მიუხედავად, წარმართული საზოგადოება უდიდესწილად იყო ძალადობრივი, ჩაგვრითი, ეგოცენტრული, – თავის თავზე ორიენტირებული.

ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ძლიერი ხელისუფალი თუ პიროვნება იმონებდა სუსტს; იმპერატორებს სხვათა ტერიტორიებისა და მათი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ; იყო გაუთავებელი ომები, შური, ღალატი, ვერცხლისმოყვარეობა, აღვირახსნილი ცხოვრება და გაუკუღმართებული ურთიერთობები; ადამიანის ღირსება – გათელილი და გაუფასურებული, დაბალი ფენის მამაკაცები და, განსაკუთრებით, ქალები – მოხმარების საგნად ქცეულნი.

ყოველივე ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ წარმართული „ღმერთებიც“ მიწიერნი იყვნენ, რომელთათვისაც უცხო არ იყო ადამიანური ვნებანი. სულიერი ხსნა კი არსად ჩანდა და სიცოცხლესაც არ ჰქონდა აზრი.

ასეთ მძიმე გარემოში, მართალია, დიდი დაცემებით, მაგრამ მაინც ახერხებდა იაკობის მოდგმა თავის წიაღში დაეცვა ცხოვრების საღვთო, სარწმუნოებრივი წესი, მოყვასის სიყვარული, შეენარჩუნებინა მესიის მოსვლის მოლოდინი, მოლოდინი გადარჩენისა და განცდა იმისა, რომ ამქვეყნადაც ყველაფერი და თვით სამეფო საყდარიც ზეციურ უფალს უნდა ეკუთვნოდეს და იგი უნდა იყოს ერის წინამძღოლი; რომ ხელისუფალნიც, მოძღვარნიც, წარჩინებულნიც და რიგითი მოქალაქეებიც, – თავისი მოვალეობისამებრ, მის ნებას უნდა ადასრულებდნენ.

ეს ყოველივე მთელი სისავსით მეფეთა შორის ყველაზე ნათლად წმინდა დავით წინასწარმეტყველს ჰქონდა გაცნობიერებული.

როდესაც იგი შაბათობით აღთქმის კიდობნის წინ ლოცვად დგებოდა, სამღვდელოებისა და ერის წინაშე ხმამაღლა შეჰლაღადებდა ხოლმე შემოქმედს:

„შენი მეფობა (ღმერთო), მეფობაა ყველა საუკუნეზე და შენი სუფევაა ყველა თაობაზე“ (ფს.144,13); „უფალს ეკუთვნის მეფობა და ის არის ხალხთა მბრძანებელი“ (ფს.21,29) და სხვ.

მან ეს ლოცვები, რომლებიც ზეციური მეუფისა და მისი სასუფევლისადმი იყო მიმართული, სავალდებულოდ დაუწესა თავის შთამომავალ მეფეებსაც და ხალხსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე რომელ ქვეყანასაც ისრაელის მცირერიცხოვან ერთან ჰქონდა შეხება, თუნდაც იგი დამპყრობელი ყოფილიყო, ისრაელი ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობით მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მასზე და საყოველთაო გადარჩენის მოლოდინს აღვიძებდა ყველაში.

შეგახსენებთ ერთ მონაკვეთს ბაბილონის ცნობილი მეფის ცხოვრებიდან:

ბაბილონის იმპერიის ზეობის პერიოდში მას ნაბუქოდონოსორი განაგებდა. მან მრავალი სამეფო დაიმორჩილა, მათ შორის იუდეაც და დაპყრობილი ქვეყნებიდან მძევლად წაიყვანა ხელისუფალთა შვილები და ნიჭიერი ახალგაზრდები. ყმაწვილებს შორის იყო დანიელიც იუდეიდან, – წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, გონიერი, მოსეს სჯულის მტკიცე დამცველი ჭაბუკი.

ერთხელ ნაბუქოდონოსორმა უცნაური და მრავლისმთქმელი სიზმარი ნახა. შეძრწუნებულს გამოეღვიძა და მის ასახსნელად თავისი სამფლობელოს ყველა მისანს, ქურუმს, მოგვსა და ვარსკვლავთმრიცხველს უბმო. უნდოდა, მათგან სიმართლე მოესმინა, ამიტომაც მეტად უცნაური რამ მოსთხოვა: მათ უნდა გამოეცნოთ, თუ რა სიზმარი იხილა მბრძანებელმა, და აეხსნათ მისი მნიშვნელობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას სიკვდილი და სახლ-კარის გადაწვა ემუქრებოდა.

სასახლის შეშინებულმა ბრძენკაცებმა შეჰხედეს მეფეს და უთხრეს: მსგავსი რამ არავის არასდროს მოუთხოვია. თქვენს სურვილს კაცთაგან ვერავინ შეასრულებსო.

ნაბუქოდონოსორმა ყველას წამება ბრძანა.

ვიდრე მისი განკარგულება აღსრულდებოდა, წინასწარმეტყველმა დანიელმა ითხოვა მეფესთან შეხვედრა და, სიკვდილმისჯილთა გათავისუფლების სანაცვლოდ,

სიზმრის ახსნა აღუთქვა, რადგან მან და მისმა მეგობრებმა ზეციური ღმერთისგან გამოითხოვეს შემწეობა ამ საიდუმლოს გასაგებად და უფალმაც დანიელს გაუცხადა დაფარული.

ჭაბუკმა უთხრა მეფეს, რომ სიზმრით უფალმა აუწყა იმ დღეთა და ხელმწიფებათა შესახებ, რომლებიც მის შემდეგ იქნებოდნენ. კერძოდ, იხილა დიდი და საოცრად ელვარე, მაგრამ საშინელი შესახედაობის ქანდაკება, კერპი, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, ხელები და მკერდი – ვერცხლის, მუცელი და თეძოები – სპილენძის, ხოლო ქვედა კიდურები – რკინისა და, ნაწილობრივ, თიხის. შორიახლოს იყო მთა, საიდანაც თავისით, ხელისუკვრელად, ლოდი დაგორდა, კერპს რკინისა და თიხის ფეხებზე დაეცა და იგი ერთიანად შემუსრა. შემდეგ ეს ლოდი დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აღავსო.

ჭაბუკმა წინასწარმეტყველმა ისიც განუმარტა მზრძანებელს, რომ ნანახი კერპი ოთხი იმპერიის სიმბოლო იყო. ოქროს თავი მას და ბაბილონს განასახიერებდა, დანარჩენები კი, შედარებით ნაკლებნი, – იმ იმპერიებს, რომლებიც ბაბილონის შემდეგ აღორძინდებოდნენ (იგულისხმება სპარსეთის, საბერძნეთის, რომის) და რომ მეოთხე იმპერიის ზეობისას ამქვეყნად მოიწეოდა მეუფება მარადიული და ჭეშმარიტი, რომელიც შემუსრავდა ყველა სამეფოს დედამიწაზე, თვითონ კი უკუნისამდე იარსებებდა.

ნაბუქოდონოსორი გოცეზული და შეძრული იყო მოსმენილით. იგი დაემხო მიწაზე და აღმოთქვა: „ჭეშმარიტად, ღმერთთა ღმერთია თქვენი ღმერთი და მეფეთა მეუფე.“ შემდეგ კი დანიელი დანიშნა თავის კარზე მთავარ მრჩევლად.

მართალია, მეფემ აღიარა ძლიერება ჭეშმარიტი ღვთისა, რომლის სიდიადე სხვა დროსაც კიდეც რამდენიმეჯერ იხილა, მაგრამ წინაპრების კერპებს მაინც ვერ განეშორა, თუმც იუდეველთა რწმენის პატივისმცემელი გახდა და აღარ აიძულებდა მათ ბაბილონის პანთეონისთვის ეცათ თაყვანი.

ამ ამბებზე მთელი ბაბილონი საუბრობდა, – ხალხიც, სიკვდილს გადარჩენილი მოგვებიც და სხვა ბრძენნიც ისტორიებს თაობიდან თაობებს გადასცემდნენ.

მათ წინასწარმეტყველ დანიელისგანვე იცოდნენ, რომ ის სიზმრისეული ლოდი შვიდ შვიდათეულში, ანუ 490

წელიწადში განეცხადებოდა სამყაროს; ამიტომაც, როდესაც ეს დრო დადგა და იხილეს უჩვეულო ვარსკვლავი, მოგვებმა იგრძნეს ჟამის მოახლოება; სამეფო ძღვენი, – გუნდრუკი, ოქრო და მური, თანაწარიღეს და ვარსკვლავს გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიგებზად მესიისა.

და მართლაც, ნაბუქდონოსორის სიზმრის მეოთხე სამეფოს, რომის იმპერიის, ბატონობის პერიოდში, I საუკუნეში, იუდეაში, დავით მეფის ქალაქად წოდებულ ბეთლემში, კაცობრივი ბუნების მიღებით, ადამის მოდგმის გადასარჩენად მოგვევლინა ძე ღვთისა. იგი სიმბოლურად დანიელ წინასწარმეტყველის სიზმრის ლოდია (დან. 2.45), რომელიც თავისთავად მოსწყდა მთას (იგულისხმება მისი უბიწოდ შობა ღვთისმშობლისგან) და დედამიწა აღავსო.

ქვაბულში, პირუტყვის ბაგაში, მწოლი ჩვილი – უფალი იესო ქრისტე საოცარი სიმდაბლით წარუდგა მსოფლიოს, რათა თავისი ხორციელი მყოფობის პირველივე წუთებიდან კაცობრიობისთვის მიეცა მაგალითი თავმდაბლობისა, უბრალოებისა და თავისი ქმნილებისადმი განუზომელი სიყვარულისა.

იესოს ამქვეყნად მობრძანებით, ერთი მხრივ, აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი, გარკვეული აზრი მიეცა თვით წინაქრისტიანულ ეპოქათა მიღწევებსაც, რადგან ღმერთთან მარადიული თანამყოფობის შესაძლებლობის მოტანით, აზრი მიეცა სიცოცხლეს; ამასთან, ქრისტეს ეკლესიის სახით, სათავე დაედო მაცხოვრებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.

მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც სამოთხეში ჩადენილი ცოდვით შებღალულ შემოქმედის ხატებასა და მსგავსებას თავის თავში განახლებს, ანუ ღვთისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარულით აღვსილი (იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი და არა მხოლოდ თავისი ერის წარმომადგენელი, როგორც ეს ძველ აღთქმაში იყო), ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლული და აღსარებითა და ზიარებით მასთან დაკავშირებული, მაცხოვრის მცნებებით ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

„არა არს ჰურიება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს გარჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3,28), – აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მახვილივით განკვეთა ძველი სამყარო.

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და შეიყვარე მტერიც! შეუნდე მონანულს, „არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით (რომ.12, 17-18).

თუ გსურს პირველობა ან უპირატესად ყოფნა, გახდი ყველას მსახური (ანუ – თავმდაბალი ყველას მიმართ), დაიცავი გულის სიწმინდე, ნუ გააკეთებ სიკეთეს საჩვენებლად და გაეცი მოწყალება უშურველად, სამაგიეროს მიღების სურვილის გარეშე; იცხოვრე სხვისთვის, როგორც ცხოვრობ საკუთარი თავისთვის, ხოლო ვინც შეძლებს თავი გაწიროს სხვისთვის, იგი უმაღლეს სათნოებას მოიპოვებს. – ასეთი რამ მანამდე არ სმენია კაცობრიობას.

ეს იყო მაცხოვრისგან ადამიანთა აზროვნების რადიკალურად შემობრუნების შეთავაზება, შეთავაზება სულ სხვა სიმაღლისა, სულ სხვა დიდებისა; გაცხადება მისთვის ჭეშმარიტი ღვთისა და ჭეშმარიტი ადამიანობისა.

კაცობრიობას ეს რომ გაეცნობიერებინა და თითოეულ ჩვენგანს ამისთვის მიეღწია, იესო გახდა სრული ადამიანი (ცოდვის გარეშე), რათა ჩვენ გავმხდარიყავით მაღლით ღმერთნი;

ეს ურთულესი პროცესია და დიდ ძალისხმევას ითხოვს, რადგან ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდება, მით უმეტეს – მართლმორწმუნეს.

შეიძლება თქვენ დიდ ცოდვაშიც ჩავარდეთ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამლუპველი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმავალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს.

ამიტომაც, არ შეეგუოთ დაცემას და ღვთის იმედი მუდამ გქონდეთ.

გწამდეთ, უფალი ყოველგვარ ტკივილს სიკეთედ და ჩვენი სულიერი წინსვლის საშუალებად აქცევს, თუ ლოცვითა და სინანულით დავითმენტ განსაცდელს და მაცხოვრის სწავლებით წარვემართებით.

* * *

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა და გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მრავალი ქვეყნის ისტორიაში, მათ შორის, ევროპის და სხვა სახელმწიფოთა ფორმირებაში; მაგრამ უფლის მეორედ მოსვლამდე, ანუ მარადიული სასუფეველის დამყარებამდე, მუდმივად იქნება ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მუდმივად დაგვჭირდება სულ უფრო მეტი ძალისხმევა სიწმინდის დასაცავად, რადგან ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ავილოთ თუნდაც ჩვენი დრო.

სამყარო ყოველთვის წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი მათგანი მსოფლიო კატასტროფად იქცეს და მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, გვმართებს ზრუნვა მშვიდობისთვის. ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი და მთელი მსოფლიო.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში შესუსტდა ჭეშმარიტი რწმენა და იმძლავრა უღმერთობამ; შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპმა, – ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ, როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისმიერი მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.

დღეს, როგორც არასდროს, გაჩნდა რეალურ საშიშროება იმისაც, რომ ადამიანის ეგოცენტრულობამ საფრთხე შეუქმნას იმ მიზანს, რისთვისაც საერთოდ დავიბადეთ, რადგან მსოფლიო ტექნოლოგიურად ვითარდება, მაგრამ მას ჩვენი სულიერი წინსვლა ჩამორჩება და ვდგებით მრავალი ფსიქოლოგიური და ბიოეთიკური გამოწვევის წინაშე.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელოვნური ინტელექტიც, რასაც სამეცნიერო წრეებში მანქანური სწავლებით მიღებული ხელოვნური ინტელექტის მოდელს უწოდებენ.

ცნობილია, რომ ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, უდიდესი გარდატეხა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა, ადამიანის სულიერიგანვითარებისგარეშე, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

უფრო და უფრო მკვეთრად დგება კითხვა: შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და თუნდაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი? თუ თავის თავში დაჯერებული, თავისივე ქმნილებით მოხიზლული და მასზე მიჯაჭვული ადამიანი ღმერთს კიდევ უფრო განეშორება?

ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების და იმ სპეციალისტების შეხედულებების გაცნობა, რომელთაც ხელოვნურ ინტელექტთან აქვთ შეხება, რადგან უახლოეს მომავალში ყველა ამ ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება და აუცილებელია, ჩვენი საზოგადოება მომზადებული შეხედეს მას.

ერთი რამ კი ცხადია: თითოეული ჩვენგანი უნდა ისწრაფოდეს პიროვნული სრულყოფილებისკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ღვთის შეცნობის და მისი ჭეშმარიტების წვდომის სურვილს გულისხმობს.

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისავსით, ამიტომაც, ცოდნასთან ერთად, საჭიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.

* * *

ღვთის ერში, ძველი აღთქმის წიაღში, დაიბადა დედათა შორის კურთხეული, ყოვლადწმინდა ქალწული, რომლის მიერაც იშვა მაცხოვარი სოფლისა, – ადამისა და ევას ცოდვათა და ცრემლთა აღმხოცველი.

უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა კვლავ გაეგრძელებინა განსწავლა კაცობრიობისა, როგორც ამას ედემში, ჩვენს პირველმშობლებთან მიმართებაში იქმოდა.

ქრისტიანობის ისტორია სავსეა ჭეშმარიტად განსწავლული ადამიანებით, რომელთა შრომები სიბრძნის უღევი წყაროა.

გავიხსენოთ მოციქულები, აგრეთვე, წმინდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვანი მრავალნი.

გავიხსენოთ სოლომონ ბრძენიც და მისი სიტყვები: „მან (ღმერთმა) მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმსწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა 7, 17- 21).

მოვიხსენოთ ადამიც, რომელსაც, ყველასგან განსხვავებით, სამოთხისეული განსწავლა, შემდგომ კი, ჩადენილი ცოდვის გამო, ღრმა სინანული ჰქონდა.

ამიტომაც მან და მისმა შვილმა, სეითმა, მთელი ცოდნა და ძალისხმევა ღმრთის სათნოყოფისთვის და მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისკენ მიმართეს; განსხვავებით კაენისა და მისი შთამომავლებისაგან, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს და თავისი მონდომება ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ წარმართეს; აღარ ზრუნავდნენ სულზე და სიკვდილის შემდგომი მდგომარეობაც აღარ აინტერესებდათ.

კაცობრიობაც მთელი თავისი განვითარების მანძილზე ამ ორ გზას შორის მერყეობდა და მერყეობს.

როგორი იქნება ჩვენი არჩევანი?

თუ შევძლებთ სწორი ურთიერთობები ვიქონიოთ ღმერთთან, ადამიანთან, ბუნებასთან, მიკრო- და მაკროკოსმოსთან, ვერავითარი ტექნოლოგიური მიღწევა ვერ გაგვაუცხოებს შემოქმედისგან, არამედ, მათი მართებულად გამოყენების შემთხვევაში, იგი იქცევა ჩვენი გონებრივი და სულიერი წინსვლის დიდ საშუალებად.

ამიტომაც დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს ხსნას.

იგია სრული სიყვარული და სიკეთე, სრული ცოდნა, მშვიდობა და სიბრძნე, რომელიც მარადიულად და დაუსრულებლად განაახლებს, განაბრძნობს და განწმენდს მის თანაზიართ.

ყველას, ვინც მაცხოვრის შობის სიხარულით ცოცხლობს, ვულოცავ ამ დიდებული დღის შემობრძანებას. ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენგანს; ვულოცავ ხელისუფალთ, უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენს ერთგულ მრევლსა და სასულიერო პირებს! ვულოცავ ჯარისკაცებს, სპორტსმენებს, მეზღვაურებს, ექიმებს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ყველა სხვა დამაშვრალს; ვულოცავ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალშობილებს; ვულოცავ პატიმრებს, სნეულებაში მყოფთ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულთ...

ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის მოვლინებას!

სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით, და არაფრის შეგეშინდეთ!

უფალთან არ დაგეკარგებათ თუნდაც ერთი გულითადი ლოცვა და სინანულის ცრემლის ერთი წვეთიც კი.

გწამდეთ, ყველაფრის მიუხედავად, იესო ქრისტეს ყოველთვის ჩვენთვის მაცხოვრებელი გზით მივყავართ; ამიტომაც მუდამ იყავით მადლიერნი მისი და გქონდეთ სასოება.

ვინც ღმერთი ჰპოვა, უმთავრესი შეიძინა; ღმერთს განშორებული სული კი კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული.

და კიდევ, – ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს.

„უპირატეს ჟამთა მამისგან შობილსა ძესა და ქალწულისაგან ხორცშესხმულსა, ყრმანი აქებდით, მღვდელნი უგალობდით და ერნი უფროისად აღამაღლებდით უკუნისამდე“ (მლისპირი), ამინ!

**ბეთლემში შობილი იესოს სიყვარულით
თქვენთვის მლოცველი ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

თბილისი, შობა ქრისტესი, 2024 წელი.

ციალა ბენდელიანი

საშობაო „ალილოს“ ტექსტის ლიტურგიკული და ხალხური ვარიანტების ურთიერთმიმართება

საშობაო „ალილოს“ ლიტურგიკული ანუ კანონიკური ტექსტის გვერდით საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და ახლაც არსებობს ხალხური ვარიანტიც. ხალხური ტრადიციით, მეალილოეები კარდაკარ დადიან ქრისტეშობის წინა საღამოს და არა ქრისტეშობის დღეს. ეს ტრადიცია ქრისტიანობის ძალზე ადრეულ პერიოდს უკავშირდება. შესაძლოა იყოს ქრისტიანიზებული ძველი ქართველური წარმართული დღესასწაულის ნაშთიც (იხ. ქვ.). ამ საკითხს ალილუიას ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით შევხებით.

ხალხურ ტრადიციაში შემონახულია უძველესი საკლესიო კალენდრის განრიგი: ქრისტეშობიდან ახლო საუკუნეებში ნათლისღება და ქრისტეშობა ერთ დღეს, 6 იანვარს, იხეიმებოდა, მაგრამ 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა ამ დღესასწაულთა განრიგი, როგორც დღესაა. ეს ფაქტი იოანე საბანისძის „აბოს წამების“ ტექსტითაცაა შემონახული, წმინდა აბო ეწამა 6 იანვარს, ნათლისღებას.

გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით სოფლებში, მეალილოეები უფროსი ასაკის ადამიანები უფრო იყვნენ, ამჟამად „ალილოზე ჩამოივლიან“ ხოლმე ბავშვები. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ უფროსი ასაკის მამაკაცები დადიოდნენ, მღეროდნენ ალილოს, შედიოდნენ ოჯახებში, ულოცავდნენ დამდეგ დღესასწაულს,

მიირთმევდნენ მათთვის საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე პურ-მარილს. შემდეგ ოჯახი მათ ასაჩუქრებდა სანოვავით, იშვიათ შემთხვევაში – ფულით, უმეტესად – კვერცხებით, რისთვისაც დაჰქონდათ კალათები. ხალხური ალილოს ტრადიცია ამ მხრივ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე შეცვლილია.

ამჟამად მეალილოე ბავშვებს ასაჩუქრებენ ტკბილეულით, ფულით, ვის რისი შესაძლებლობა აქვს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს საშობაო ალილოს ოდნავ სახეცვლილი სხვადასხვა ვარიანტიც, მაგრამ მისამღერი სტრიქონები მათშიცაა: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო,/ ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,/ მივიდნენ და თაყვანი სცეს მას,/ არიელი, მარიელი, ჯიბე მქონდა ცარიელი,/ ქრისტეს მახარობლები ვართ,/ ნუ გაგვიშვებ ცარიელი,/ ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა,/ ღმერთი შენს ოჯახს მისცემს ხევსა და ბარაქასა,/ მატარებელი გაჩერდა, შენი ოჯახი აშენდა (ან: მატარებელი გაიქცა, შენი ოჯახი დაიქცა, – თუ ოჯახმა მეალილოეებს ყურადღება არ მიაქცია)“.

ხალხური და ლიტურგიკული ალილოს ტექსტების დასაწყისი ერთნაირია: ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო,/ ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,/ მივიდნენ და თაყვანი სცეს მას“.

ხალხურ ტექსტში მისამღერია: „**არიელი-მარიელი**, ჯიბე მქონდა ცარიელი, **არიელი-მარიელი**, ნუ გამიშვებ ცარიელი, **ალათასა-ბალათასა**, ხელი ჩავკარ კალათასა“. შემდეგი სტრიქონები უკვე ახალია, მასში მატარებელი იხსენიება.

არიელი ძირითადი სიტყვაა, ხოლო მარიელი, რითმის საჭიროებითაა შეთხზული. არიელი-მარიელი არც კომპოზიტი.

არიელი წმინდა წიგნებიდან მომდინარეობს. აქედან ჩანს გადასული ხალხურ ვარიანტში, მაგრამ ის საეკლესიო ალილოს ტექსტში არ არის.

სიტყვა ალილო კ. დანელიას ალილუია-სგან მომდინარედ მიაჩნია: „ეს სიტყვა ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებად ბიბლიური წიგნების ქართულ ენაზე თარგმნისთანავე უნდა გამხდარიყო, რადგან გამოიყენებოდა

მღვდელმსახურებაში და მრევლს ხშირად უხდებოდა მისი მოსმენა, მეტყველებაში დეფორმაცია უნდა განეცადა ალილო-ს სახით. მერმე ამ სიტყვას მნიშვნელობა უცვლია და ქრისტეს შობის კარდაკარ სიარულით სიმღერით მილოცვის შინაარსი შეუძენია (შობის წინა ღამეს სრულდება). ალილო წარმართული სიმღერაა თუ არა, ეს სამტკიცებელია, მაგრამ ალილო-ს გაცვეთით რომ უნდა იყოს მიღებული, ეს ძნელად უარსაყოფია“ (დანელია 1998: 137). ის წარმართული არის თუ არა, ეს მართლაც ძნელად სამტკიცებელია, მაგრამ მისი მომდინარეობა უძველესი მიწის ნაყოფიერების სარიტუალო სიმღერიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რადგან ხვავსა და ბარაქაზე საუბარი (რასაც ქვემოთ შევხებით).

არიელ-ის შესახებ კ. დანელიას მოსაზრება დამაჯერებელია, რომ არიელ-ი, არიილ-ი ებრაული სიტყვაა და ნიშნავს საკურთხეველს, კერძოდ, საკურთხევლის იმ ზემო ნაწილის ქვის ფილას, საიდანაც იწყებოდა მსხვერპლშეწირვის პროცესი. ის უნდა ყოფილიყო ქრისტიანობამდეც ძველი აღთქმის ღვთისმსახურებაში.

მეტაფორულად ეს სიტყვა არიილ („ლომი ღმრთისა“) აღნიშნავს იერუსალიმსაც, როგორც ღმრთის ქალაქს (ჰარ – „ქალაქი“, ელ/ლი – „ღმერთი“, ი შემაერთებული ხმოვანია): „ვაი, ქალაქსა არიილსა, რომელსა დავით ებრძოლა“ – ავტორი იმოწმებს ესაიას წიგნს.

სიტყვა აღნიშნავს „ლომს ღმრთისა“-ს ანუ ძლიერ, ღმრთისაგან დაცულ ქალაქს – იერუსალიმს, რომელიც ღვთისგან მძიმე დღეში ჩავარდება: „რამეთუ ვაჭირვო არიილსა და იყოს ძალი მისი და სიმდიდრე ჩემდა“, დამოწმებულია წიგნი ესაიასი. ძველი ქართული ენის ლექსიკონში **არიელი** ასეა განმარტებული: ძირი, საფუძველი, სამსხვერპლო (ებრაული ვერსიით): „არიელი ათორმეტ წყრთა სიგრძით“, ეზეკიელი (43,16). „არიელითგან ვიდრე რქათამდე წყრთითა ერთ“, ეზეკ. 43,15 (აბულაძე 1973). საინტერესოა, რომ იოანე საბანისძის „აბოს წამების“ დროში ყოფილა სხვა სიტყვაც – **ალტარი**: მსხვერპლშესაწირი ტრაპეზი, საკურთხეველი, ალტარი (იხ. ჭელიძე 2008: 1111), მაგრამ ეს სიტყვა არ არის სულხან-საბას ლექსიკონში, არც „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“.

როგორც შემდეგ კ. დანელია აღნიშნავს, ეს სიტყვა

ბერძნული წყაროდან მოხვედრილა ძველი აღთქმის წიგნთა ქართულ რედაქციებში, კერძოდ, გამოყენებულია საკურთხევის ზომების აღწერისას. საბას ლექსიკონში შესულია არილ იკითხვისის გამარტივებული არილი და ეზეკიელის წიგნზე მითითებით განმარტებულია, როგორც „დასასვენებელი სიწმიდეთანი“. სულხან-საბას დროს ეს სიტყვა არსებობდა. ქეგლ-ში საბასეული არილი (< არილ < არიელ) გაიგივებულია ხევსურულ არილ-თან, რომელიც აღნიშნავს „მზის შუქის ციალს“, მაგრამ კ. დანელია თ. ცქიტაშვილის მოსაზრებასაც იმოწმებს, რომ ებრაულიდან მომდინარე არიელი და ხევსურული არილი სხვადასხვა წარმომავლობისა და სემანტიკის სიტყვებია (დანელია 1998: 138-139).

ქართულ კილოებში, ხევსურულის გარდა, ამავე აგებულების სიტყვა გვხვდება ქიზიყურშიც და მოხეურშიც, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით, როგორც ებრაული, ისე ხევსურული სიტყვებისგან: არიელად (ქიზ.) – „მეჩხერად, იშვიათად“ (ს. მენტ.); შესაძლოა ფუძედ გამოიყოს არე; არილად (მოხ.): „ბუნდოვნად, გაურკვევლად“ (ო. ქაჯ.) (ვიმოწმებთ: ღლონტი 1984). ამ შემთხვევებში ქართულში სიტყვის დადასტურებული მნიშვნელობები არ ჩანს.

წმინდა წიგნებიდან ცნობილი ეს უმნიშვნელოვანესი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საკურთხეველს, საიდანაც იწყება მსხვერპლშეწირვის მსახურება, არ არის თვით საეკლესიო საშობაო ალილოს ტექსტში, თუმცა მასაც ეკლესიის მსახურნი მრევლთან ერთად კარდაკარ ჩამოვლისას ასრულებენ. ის, რაც დღესაა, ალბათ ადრეულ საუკუნეებშიც იყო.

ხალხურ ვარიანტში არის საეკლესიო ალილოს სტრიქონებიც: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო,/ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,/მივიდნენ და თაყვანი სცეს მას“ და ა.შ. ცხადია, ეს ტექსტი საეკლესიო ლიტურგიკიდან არის გადასული ხალხურში, მაგრამ რატომ არ არის სიტყვა არიელი? როგორც ჩანს, საეკლესიო ალილოს ტრადიციით, ეს სიტყვა არც არასოდეს ყოფილა სასიმღერო ტექსტში. მაშ, საიდან უნდა მოხვედრილიყო ხალხურ ვარიანტში. ჩვენი აზრით, ეს სიტყვა მწიგნობრულია, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, ღვთისმსახურებიდან ზეპირი

გზით უნდა გავრცელებულიყო, სხვა გზა ამ სიტყვის არსებობას ხალხურ ვარიანტში არ აქვს.

ლიტურგიკა მომდინარეობს სიტყვიდან ლიტურგე „გადასახადი“, „შესაწირი“. ლიტურგიკა, როგორც ღვთისმსახურების რიტუალი, ნიშნავს უსისხლო მსხვერპლის შეწირვის მსახურებას. მაშასადამე, არიელი არის ძველი აღთქმიდან მომდინარე სიტყვა, სამსხვერპლო ქვის აღმნიშვნელი, რომელიც ხალხურში დარჩა, მაგრამ საეკლესიო მსახურების ტექსტში ამჟამად არ არის.

ისიც ჩანს, რომ საეკლესიო ლიტურგიკაში ეს სიტყვა დამკვიდრებული არ უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში იმ კილოებისა და კუთხეების ლექსიკაში, საიდანაც საბა სარგებლობდა, რადგან საბას ლექსიკონში ის არ არის.

ხალხურ საშობაო ალილოს ტექსტში იხსენიება მატარებელიც, რაც, ცხადია, ახალი მოვლენაა, მაგრამ იმდენი ხნის მაინცაა, რამდენი ხნისაც არის საქართველოში ეს სარკინიგზო ტრანსპორტი.

ხალხურ საშობაო სასიმღერო ტექსტში გვხვდება ასეთი ფრაზა: „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა“ და ა.შ.

ბალათა არარსებული სიტყვაა, იგი სარიტმო ერთეულია, ალათ-ი კი გვხვდება ქართული ენის დიალექტებში, მაგრამ სხვა მნიშვნელობით: ქიზიყ. და ოკრ.: 1. ფანჯრის მინის ჩარჩო (ს. მენთეშ.); 2. ფიცარი, რომელიც ორ ბაზოს (კარის ან ფანჯრის დარაბის გულფიცრის ჩარჩოს აერთებს (მ.ალავ.) (იხ. ღლონტი 1984).

ხალხურში საერთოდ ხშირია ცალკეული შემთხვევის განზოგადება, ერთხელ თქმულის შემდგომში გამეორება, მაგრამ ამ სიტყვათა სემანტიკასთან საშობაო რიტუალის დეტალების დაკავშირება ჭირს. უფრო საფიქრებელია ალატა, ალატ-ი (ქართლ., ფშ., ხევს., მოხ., თუშ.) „წისქვილში ხის ყუთი, რომელშიც ფქვილი ცვივა“ (ღლონტი, 1984), შდრ. საბა: ალა „წისქვილის ალატა“, ალატა - „საფქვილე ალა“ (ორბელიანი 1965).

მეალილოეებს დაჰქონდათ კალათა, რომელშიც ოჯახი ულაგებდა რაიმე ნუგზარს, პურებსაც, უფრო ხშირად კი კვერცხებს. შესაძლოა ალატ-თან ანალოგია: ისე ცვიოდა კალათაში კვერცხები, როგორც წისქვილში ხის ყუთში

ფქვილი. სიმღერის შესრულებისას არის მომხდარი ტ > თ ცვლილება, რადგან ბალათა უკეთ ერთიმება კალათას. -ს მიცემითი ბრუნვის ნიშანია.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მნელია ალილო-ს წარმომავლობის დადგენა, მაგრამ ქართულ დიალექტებში ახლაც არის ალა – ხვნა-თესვის დრო, ალოობა „პურის მკის დრო“. ალატ-თან ერთად ეს სიტყვები ერთ სემანტიკურ ბუდეს ქმნიან, უკავშირდება ხვავსა და ბარაქას ანუ მიწის ნაყოფიერებას. ქიზიყ. არიელად „მეჩხერს“ ნიშნავს, მეჩხერის სემანტიკურ ველში ძირითადი შეიძლება იყოს ნათესის სიმეჩხერის აღნიშვნა, თუკი დავუშვებთ, რომ მასში არე იგულისხმება.

აქვე საინტერესოა იმერულში სიტყვა საციქველ-ი „ძველ მეალილოეთათვის მიცემული საჩუქარი (კვერცხი, ხილი...).

„მელილოებს ხანდახან საციქველათ გოჭსაც აძლევდენ ხომე“ (გაჩეილაძე 1976).

ამჟამად, მაგ., იმერულში, საციქელის სემანტიკა შეცვლილია, ის ნიშნავს უახლოეს მეზობელს, რომელთანაც ფქვილისთვის შეუძლია ოჯახს მისვლა. ამ შემთხვევაშიც ეს სიტყვაც მოსავალთანაა დაკავშირებული, თუმცა მისი ფუძე ძველ ქართულში იყო ციქუ, რაც მო-ციქუ-ლ-შია. მეალილოები ხომ წარმოგზავნილები/მოციქულები, ქრისტეშობის მახარობლები არიან.

მამასადამე, ალილოს რიტუალი და ლექსიკა უძველესია, შესაძლოა, ის მომდინარეობდეს მიწის ნაყოფიერების უძველესი ქართველური დღესასწაულიდან.

დამოწმებული ლიტერატურა

აბულაძე 1993 – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1993.

გაჩეილაძე 1976 – გაჩეილაძე ა., იმერული ლექსიკონი. თბილისი, 1976.

დანელია 1998 – დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. თბილისი, 1998.

ორბელიანი 1965 – ორბელიანი ს.-ს., თხზულებანი, ტ.

IV. თბილისი, 1965.

ღლონტი 1984 – ღლონტი ა., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.

ჭელიძე 2008 – ჭელიძე ე., წმინდა მოწამე აბოს წამება (სქოლიოები). წიგნში: ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თბილისი, 2008.

Tsiala Bendeliani

RELATIONSHIP BETWEEN LITURGICAL AND FOLK VERSIONS OF THE TEXT OF CHRISTMAS ALLELUIA

Summary

The article compares the vocabulary and performance conditions of the liturgical and folk versions of the text of Christmas Alleluia. In the folk version there are such lexical units that are not found in the canonical Christmas text and never should have been there, such as: “Arieli-Marieli”, “Alatasa-Balatasa”. “Arieli” is a basic word, and “Marieli” is a rhyming word, but it is not a composite word, such vocabulary is abundant in the language. Ariel comes from the books of the Old Testament and means the altar stone slab from which the ritual of sacrifice was held. It had to be transferred from the liturgy to the people in the three-scriptural way.

“Alatasa-Balatasa” is linguistically of the same structure as “Arieli-Marieli”. “Alata” may be derived from the dialectal word, meaning a wooden mill box in which the flour falls. It should be related to gifting children with eggs and other goodies. Most likely, in this text there is a part derived from the ancient Karvelian celebration of the fertility of the land.

თენგიზ გუმბერიძე

**იაკობ გოგებაშვილის გამოხმაურება
იონა მეუნარგიას მოგონებებზე
ილია ჭავჭავაძის შესახებ**

გაზეთ „ალის“ 1908 წლის 3 ნოემბრის გამოცემა ქართველ მკითხველს ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ ასე აუწყებდა: ქუთაისი. ილიას სალამო. „27 ოქტომბერს ჩვენი ქალაქის თეატრში გაიმართა სალიტერატურო და სამუსიკო, ილიას სალამო. სალამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან... ყველაზე უფრო საყურადღებო... იყო მეუნარგიას „ნანახი და გაგონილის“ წაკითხვა ილიას შესახებ. იონა მეუნარგიამ თავისი გამოსვლით მსმენელთ გააცნო ილიას ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები, რომლებშიც ილია იხატებოდა როგორც ადამიანი და როგორც მოქალაქე“. ეს უკანასკნელი წინადადება ხაზს უსვამს, რომ ი. მეუნარგიას გამოსვლაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით ღვაწლზე არ უსაუბრია.

იონა მეუნარგიას მოგონებები (სრული სახელწოდებით „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“) ავტორის სიცოცხლეში (გარდაიცვალა 1919 წ.) არსად დაბეჭდილა. პირველად სწორედ ქუთაისში გამართულ ხსენებულ სალამოზე მოისმინა იგი დამსწრე საზოგადოებამ. ამის შემდეგ იგი მხოლოდ ხელნაწერის სახით ინახებოდა ავტორის პირად არქივში. ამ „მოგონებათა“ თავის დროზე დაუბეჭდაობას ხელშესახები მიზეზები გააჩნია. ავტორის მისი დაბეჭდვის ხალისი სწორედ საზოგადოების

რისხვამ დაუკარგა. ყველაზე მეტად რეაქციული იყო იაკობ გოგებაშვილის გამოხმაურება. იონას მოგონებებში მსმენელმა ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი ავტორის უკიდურესად ტენდენციური დამოკიდებულება ამოიკითხა, ვინაიდან იონა მეუნარგიამ აწ უკვე გარდაცვლილი ილიას მიმართ მრავალი საჩოთირო და არასაკადრისი ფაქტი გააჟღერა. საბოლოოდ, იონას მოგონებები ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით 1937 წელს გამოსცა პროფესორმა სოლომონ ცაიშვილმა. წიგნს ერთვის მისივე საანალიზო წერილი და დამატებანი ამ მოგონებების შესახებ. უნდა ითქვას, რომ გამომცემელი კიდეც უფრო ტენდენციურად აშუქებს საკითხებს და ყველაფერში ზედმიწევნით ამართლებს იონას ნააზრევს. სიტყვის მასალად იყენებს, რომ იონა თუ კარგად არ შეისწავლიდა, თუ ბოლომდე არ დარწმუნდებოდა, თუ თავად არ ნახავდა... ისე არ იტყოდა და ა. შ. შედეგად, ორივე ცაიშელი, ორივე კრიტიკოსად გვევლინება და ხმაშეწყობილად ჰყევიან და განაქიქებენ დიდი ილია ჭავჭავაძის პიროვნებას.

გაზეთი „ალი“ მოკლედ მიმოიხილავს იონა მეუნარგიას გამოსვლას და აღნიშნავს, რომ იონა შეეხო ილიას ახალგაზრდობას და დამსწრეთა გასაოცებლად თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „მან ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გაცვალაო“, ე. ი. მწერლობას თავი დაანება და სახელმწიფო სამსახურს მიაშურაო. ეს თუმცა ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ილიას პატივსაცემლად გამართულ საღამოზე ბევრს უადგილოდ ეჩვენა ასეთი აზრის გამოთქმა და საზოგადოებაში ალაგ-ალაგ უკმაყოფილება გაისმა“ (ალი 1908). გაზეთი იქვე განაგრძობს, კარგი იქნებოდა, რომ მხოლოდ ამით დაკმაყოფილებულიყო ბატონი იონა, „მაგრამ ასე არ მოხდა. მან, ბატონმა იონამ, თავიდან დაწყებული ბოლომდე მოსდგა ილიას და სულ მიწასთან გაასწორა. მოიყვანა რამდენიმე მაგალითი მისი ჯიუტობის დასამტკიცებლად. მოიგონა მისი ხელმოჭერილობა საქველმოქმედო საქმიანობისათვის, მაშინ როდესაც ის თითო ღამეში ხშირად ათას-ხუთას მანეთობით აგებდა ბანქოს თამაშშიო“ (იქვე). გაზეთში ყურადღება გამახვილებულია საბანკო დაპირისპირების საკითხზეც, რაც საღამოზე ასევე გულდასმით გააჟღერა იონა მეუნარგიამ: „....

აქ მან პირდაპირ განაცხადა, რომ თუმცა ხშირად სიმაღლე მაჩაბლის მხარეს იყო, მაგრამ ილიამ თავისი შეუზღუდელი დიალექტიკის შემწეობით მაჩაბელი გასწყლიტაო. გვიკვირს, რად დასჭირდა მეუნარგიას ასეთი მოგონების წაკითხვა ილიას პატივსაცემლად გამართულ სადამოუზე?.. ილიას პირველ ხანაში ლიბერალობა ოქროს ჯაჭვში გაუცვლია, შემდეგ... პოეტს ბანკირობა დაუწყია. ბ. იონამ ესეც უსაყვედურა პოეტს და სთქვა: „პოეტი და საანგარიშო ჩოთქი როგორ უნდა მოთავსებულიყვნენ ერთათო“ (იქვე). იონა ილიას პუბლიცისტურ შემოქმედებასაც არ სცემს პატივს, მისი თქმით, ილია თურმე ძალზე გაჭიანურებულ მეთაურ წერილებს ბეჭდავდა, რაც მოსაწონად არ მიაჩნია. საკითხის უფრო დაზუსტების მიზნით იგი ნიმუშოდ ასახელებს ფრანგ პუბლიცისტ ჟერარდერს და ასკვნის, აი, როგორი უნდა იყოს პუბლიცისტიო.

როგორც ვხედავთ, იონა მეუნარგიას ყურადღება გაუმახვილებია, თავისი წარმოდგენით, ილიასთვის მახასიათებელ მხოლოდ უარყოფით ნიშნებზე, რასაც დამსწრე საზოგადოების გულწრფელი უკმაყოფილება გამოუწვევია.

„მოგონებანი“ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ იონა მეუნარგიას ილიასათვის ბევრი რამ სათქმელი ჰქონია სიცოცხლეში, მაგრამ ვერთქმისა გამო სიკვდილის შემდეგ მისცემია ამის საშუალება. პატარა კაცობის სინდრომია-თქო, ვერ ვიტყვით, იქნებ ვერ მოასწრო სათქმელის სიცოცხლეში მეგობრულად თქმა და ახლა საჯარო გამოსვლაში გააჟღერა, მაგრამ დიდი პიროვნებისა და მოღვაწის ვერშეცნობის ნიშანთან რომ გვაქვს საქმე, ეს ფაქტობრივი მონაცემია, არადა, ისეთ განსწავლულ და შემოქმედ პიროვნებას, როგორიც იყო იონა მეუნარგია, კი უნდა სცოდნოდა, რომ ილიას გვერდით იდგა უმეტესი საქართველო, მით უმეტეს, მისი მკვლელობის შემდეგ და ასეთ, შეიძლება ითქვას, შეურაცხყოფელ გამოსვლას არავინ მოუწონებდა. დასანანია, რომ თავშეკავების უნარი არ აღმოაჩნდა და კიდევ მეტად დასანანია, რომ პროფ. ს. ცაიშვილს „მოგონებანი“ მიაჩნია „ძვირფას, უტყუარ და საინტერესო მასალად“. ხაზს უსვამს იონას პირუთვნელობას და სამართლიანობას. პროფ. ს. ცაიშვილს „მოგონებების“ დამატებებში შეუტანია ილია

ჭავჭავაძის ცხედართან წარმოთქმული იონა მეუნარგიას შესანიშნავი გამოსათხოვარი სიტყვა. ს. ცაიშვილი ცდილობს, იონას პასკვილური მოგონებანი კეთილმოსურნის საბურველში გაახვიოს და ისე შემოგვთავაზოს. ამასვე მოწმობს მისივე კომენტარები, რომელთა შინაარსისა და ტონის მიხედვით, ეს მხოლოდ ილიასადმი იონა მეუნარგიას დიდი მეგობრობისა და პატივისცემის გამოხატულება ყოფილა.

აღშფოთებული იაკობ გოგებაშვილი მაშინვე გამოეხმაურა იონა მეუნარგიას ამ უცნაურობას და მიუძღვნა მას ორი წერილი. იაკობმა თავისი პირველი წერილი პირდაპირ და მოურიდებლად ასე დაასათაურა: „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა“. წერილის დასაწყისშივე იგრძნობა, რომ გამოჩენილი საბავშვო მწერალი და დიდი პედაგოგი თავს ვეღარ იკავებს და წონასწორობას ძლივს იცავს: „ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამეორება შეუძლებლად გახადეს უსულგულო ნაძირლებმა, არამედ მოკვლა სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა, ვიდრე პირველი“. იაკობს, განსხვავებით იონასაგან, გასიგრძეგანებული აქვს ილიას განუზომელი სიდიადე: „ფიზიკურმა მკვლელობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სულიერ უკვდავებას“ - დასძენს იგი. იაკობი პირდაპირ სვამს კითხვას, თუ ვინ მოიწადინა ეს მეორე მკვლელობა და პასუხსაც იქვე სცემს: ბატონმა იონა მეუნარგიამ, თანაც სალიტერატურო სადამოხე, რომელიც ილიას დაბადების დღეს გაუმართეს ქუთაისში მისი სახელის სახსოვრად და სადიდებლად. იონას მონათხრობის არსს იაკობი მოკლედ ასე განმარტავს: „თქვენ ადიდებთ და აღმერთებთ ილიას, მაგრამ მე, რომელიც ახლოს ვიდექი განსვენებულთან, სხვა აზრისა ვარო და მოგონების სახით მან თურმე დაუფროვა დამსწრე საზოგადოებას ვეებერთელა ზვინი ჭორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ყოფილა ძუნწი, გულქვავი, ზარმაცი, ბანქოში მფლანგავი თავისი ქონებისა, სოფისტი, ეგოისტი, გამჭყლეტელი მართალი ადამიანისა და თითქმის უნიჭო პუბლიცისტი“. „მოგონებათა“ მიხედვით, თითოეულ ამ ნიშანს იონა მეუნარგია, მართლაც, მიაწერს ილიას პიროვნებას. იაკობ გოგებაშვილი იხსენებს იონას მიერ

ილიას დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვას, რომელშიც იგი წყევლა-კრულვას უგზავნიდა „ჩვენი დიდების მხეც მკვლელებს“, დღეს კი ტალახში სვრის მის სახელს. იაკობი სამართლიანად მიანიშნებს, რომ მეუნარგიას საკმაო ნაწერები აქვს, მაგრამ ილიას სიცოცხლეში „კრინტიც არ დაუძრავს“ მისი ხასიათის ნაკლოვან მხარეზე და მხოლოდ საზარელი მკვლელობის შემდეგ „მოიწადინა მისი მიწასთან გასწორება“. იაკობის მართებული თქმით, ჯერ კიდევ, როცა ილიას საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, ჯერ „სავსებით არც დაგვიმარხავს“, ლაპარაკია მის ძეგლზე, ფონდის საქმეც წინ ტაატიტ მიდის, და მეუნარგიას ასეთი გამოსვლის შედეგად, ცხადია, მკვლელები წელში გაიმართნენ - ერთი უნიჭო და ეგოისტი მემამულე მოგვიკლავსო. ახლა ისინიც კი უკან დაიხევენ, ვინც სასამართლოში უნდა დაკითხულიყვნენ და სიმართლე ეთქვათ ამ საზარელი მკვლელობის შესახებ. ისინი კი, ვინც დარცხვენილი იყვნენ ფონდის შევსებაში მონაწილეობის მიუღებლობის გამო, აწი მთლად უარს იტყვიან. იქვე იაკობი დასძენს, რომ ახლა, როცა მთელი საქართველო ემზადება აკაკის იუბილესთვის, ეს გამოსვლა ცუდად იმოქმედებს მასზე. მიუხედავად კარგი მეგობრობისა, იაკობი მოურიდებლად უპირისპირდება იონას და ამბობს, რომ არავითარი იდეა და გარკვეული მიმართულება მას არ ჰქონია და არც აქვს.

იაკობი იონას მოიხსენიებს ნელ-თბილ კოსმოპო-ლიტად და კიდევ უფრო ნელ-თბილ მამულიშვილად, რომელმაც „არც ერთ თავის შვილს თურმე ქართული არ ასწავლა... ასეთს ვაჟბატონს განა შეეძლო შეეგნო და დაეფასებინა ილია ჭავჭავაძე!.. ეს მისთვის ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც ნაპოლეონის ლაქიასათვის თავისი ბატონის ღირსების დანახვა“. თითქოს მეტისმეტიცაა, მაგრამ იაკობი კიდევ უფრო შორს მიდის და არანაკლები სიმკაცრით საყვედურობს იმერეთის საზოგადოებასაც, რომელიც შეკრებილი იყო თეატრში და „მთელს საათს“ ისმენდა ჩვენი სათაყვანო ილია ჭავჭავაძის ლანძღვას, რითაც თურმე გრძნობის აშკარა „სიჩილუნგე და სიმდაბლე“ გამოავლინეს, რადგან მხოლოდ სუსტ და უძლურ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. „შეგნებული და გრძნობაგანვითარებული საზოგადოება... აღვირაშვებულ

ლექტორს იმავთავით ხმას გააკმენდინებდა, როგორც ერთი, ფეხზე წამოიშლებოდა და მრისხანედ შესძახებდა: გარეთ გადიტო“. უცნობია, რა მონაცემს ეყრდნობა იაკობი, როცა ამბობს: „არც ერთ შვილს თურმე ქართული არ ასწავლა“ და იქვე ამატებს, რომ ამაზე ექიმმა ზადრიძემ ქართულ პრესაში საკითხი დაუყენა და ენა ჩაუვარდა და კრინტი ვერ დამრაო. სამაგიეროდ, მისი ასეთი საქციელი ძალიან ახარებდა თურმე ვოსტორგოვს, რომელსაც „თითზე ჰქონდა დახვეული“. მეტი სიცხადისთვის ვიტყვით, რომ იონას ქალიშვილის (ლილის) ერთი ლექსი ქართულად დაბეჭდილია „მეოცნებე ნიამორებში“. ს.ცაიშვილიც განმარტავს, რომ, პირიქით, ლილი პოეტიც კი იყო, მაგრამ უდროოდ დაიღუპაო. აქ კიდევ საინტერესოა ს. ცაიშვილის მიერ იონა მეუნარგიას არქივიდან ამოღებული ერთი დოკუმენტის არსებობა, რომელიც სხვებთან ერთად შვილებსაც ეხება. როგორც ირკვევა, იაკობზე უმაღლ იონას სწორედ შვილები – მიშა და ლილი დაჰპირისპირებიან. აი, ეს იონასეული ჩანაწერიც: „გოგებაშვილის ჭორები. გავუჩუმდი. გოგებაშვილის აგენტები შინ მყავს... ჩემი მიშა, ჩემი ლილი და ყველა მასწავლებელი, ყველანი მისნი პატრიოტნი... მე მტყუანი, ის მართალი. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. რა იყო? ბურსაკ ვოსტორგოვი სად იყო კავკასიაში. ნიკოლაძის წერილი, ნუ წაიყრებო...“.

ამ ჩანაწერის მიხედვით, უფრო ნათლად ჩანს, რომ იონა ილიას მიმართ ნამდვილად ატარებდა იდუმალ გულისწყრომას, რასაც ერთგან იაკობიც აღნიშნავს, რომ „მარტო შეუფენებლობით ვერ აიხსნება მეუნარგიას საარაკო სიბრთყე. აქ უსათუოდ დამალულია რაღაც საიდუმლო განზრახვა, პირად ნიადაგზე აღმოცენებული“-ო. მოტანილი საარქივო დოკუმენტი მოწმობს, რომ იაკობის წერილმა ძალზე შებოჭა იონა. მას კამათის გაგრძელება ვეღარ გაუბედავს, თუმცა, როგორც ვხედავთ, აზრს არ იცვლის და პასუხის გაცემასაც აპირებს, საითკენაც მას თურმე უბიძგებდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც გახლდათ ილიას ღვაწლის დიდი დამფასებელიც და დიდი მოწინააღმდეგეც, როგორც სოციალ-დემოკრატებთან სიახლოვით გამორჩეული, თუმცა მეორედასელი. ფოთიდან იონასადმი გამოგზავნილ 1908 წლის დეკემბრით დათარიღებულ

კერძო წერილში იგი მოგონებათა ავტორს სწერს: „...გულზე გავსკდი გოგებაშვილის სტატია რომ წავიკითხე შენს წინააღმდეგ. Мертвые харонят мертвых! დაბეჭდე შენი ლექცია, ან დაბეჭდე პასუხი, რომ კრიტიკის მეტი ზევრი სხვაც იყო კეთილი ილიკოზე-თქო. ნუ მიაყრებ ამ საქმეს, ხომ იცი, კვდრების ქვეყანაში ვცხოვრობთ“. ეტყობა, იონამ იგრძნო, რომ საზოგადოება მიუხვდა ილიასადმი ფარულ გულისწყრომას, რაც მან თავისთვის სათანადოდ ვერ შენიღბა და, მიუხედავად ნ. ნიკოლაძის ასეთი წაქეზებისა, მეტის თქმა მაინც ვეღარ გაბედა.

იაკობ გოგებაშვილის აღშფოთებას, როგორც ეტყობა, საზღვარი აღარ გააჩნდა. მის პირველ წერილს (დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“, 1908, №9) სულ მალე მოჰყვა მეორე წერილიც (დაიბეჭდა იმავე წლის გაზეთ „საქართველოს“ №11-ში) სათაურით „მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“. იაკობის ეს მეორე წერილი შედარებით დინჯი და მშვიდია, თუმცა კრიტიკული განსჯის მასშტაბით პირველს არაფრით არ ჩამოუვარდება. ავტორი წერილს იწყებს იმ შეგონებით, რომ, ევროპული ჩვეულების მიხედვით, სახალხო პრესაში გამოჩენილი ადამიანების „კერძო ცხოვრების ნაკლულოვანებანი“ არასდროს იბეჭდება. ასეთებს მხოლოდ ბეჭდავენ მემუარებში. ამის სამაგალითოდ იხსენებს რამდენიმე ფაქტს ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრებიდან და ჩვეულებებიდან. მაგალითად, კრილოვი სიზარმაცის გამო ყოველდღე პირსაც კი არ იბანდა და, მიუხედავად მოცლილობისა, ზოგჯერ წელიწადში ერთ იგავ-არაკსაც ძლივს წერდა, მაგრამ მის ბიოგრაფიაში ამის ხსენებაც კი არსად არის. პუშკინს ერთგვარი, მხოლოდ ჰოტენტოტური ეთიკა იზიდავდა და სხვის ცოლებზე გამარჯვება სასიქადულოდ მიაჩნდა, მაგრამ თავის ცოლთან მეგობარი დანტესის გაარშიყება საზიზღრობად მიიჩნია და დუელში თავიც შეაკლა. ლერმონტოვმაც ჩაიდინა უკადრებელი საქციელი და შეყვარებულთა შორის ჩადგა და ორივე პიროვნება გააუბედურა. „აბა ახლა გაიხსენეთ პუშკინისა და ლერმონტოვის ბიოგრაფიები და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ ამისთანა კერძო ლაქების შესახებ იქ კრინტიც არ არის დაძრული“. იაკობი ახსენებს ბაირონის ძალზე საჩოთირო და სათქმელად სამძნელო ფაქტსაც და

აღნიშნავს, რომ ესეც ამ ბოლო დროში ასი წლის შემდეგ გამოქვდა „ერთს სპეციალურ გამოცემაში“, როცა „დაიბეჭდა თვით ბაირონის წერილი მისი დისადმი, რომელშიც იგი ნაგვიანევს სინანულს აცხადებს თავისი მიუტევებელი ცოდვის შესახებ. ნეტავი ეხლაც არ გამოქვდავებულიყო...“ იაკობი სვამს კითხვას, თუ რად აფარებენ საიდუმლოების ზეწარს ხალხის თვალში გამოჩენილი მწერლების „კერძო ნაკლულოვანებას“? თვით ხალხის სასიკეთოდ – განმარტავს თავადვე და დასძენს, რომ ხალხი თავისი სასიქადულო მწერლობიდან იღებს განათლებას და ასეთი „ნაკლულოვანებათა“ გააზრება მას ხელს შეუშლის ამ საქმეში.

იაკობი უჩივის უღმობელ გარემოებას, სწორედ ისევე, როგორი ჩივილი დღესაც გვესმის ხოლმე სხვადასხვა რაკურსით, რომელმაც ჩვენი ქვეყნის „ყველა ცენტრები“ მიაწერ-მოაწერია, დააუძღურა ეკლესია და სარწმუნოება, განათლებას კრიჭა შეუკრა, ხალხს უფლება არ აღირსა და მხოლოდ მდაბიური და პირუტყვიანი ინსტინქტების გაძლიერებას შეუწყო ხელი იმ ტენდენციით, რომ ადრიაწად გადაშენდეს ჩვენი ერი და დასცალოს ადგილი სხვათა გადმოსახლებისათვის. ახალი ქართული პედაგოგიური აზროვნების მესამირკვლე იაკობს გოგებაშვილს მიაჩნია, რომ ერთადერთი „ცენტრი“ არის ქართული ლიტერატურა, რომელსაც შეუძლია ამ ხანაში გაუმკლავდეს ამ დამღუპველ ტენდენციას. მან უნდა იტვირთოს როლი სკოლისა და სარწმუნოებისა. გენიალური მწერალი არის გენიალური მოძღვარი და პედაგოგი თავისი ქვეყნისა. სწორედ ასეთად იგი ასახელებს ილია ჭავჭავაძეს. „ილიას ქმნილებანი რომ რუსულად გადაუთარგმნონ ლევ ტოლსტოისა, იგი მას საუკეთესო მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაუთმობს“. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობას მართლაც გამოეხმაურა ლევ ტოლსტოი, რომელიც სასიამოვნოდ განცვიფრებული დარჩენილა ილიას მკვლელების შეწყალების თაობაზე დაქვრივებული ოლღა გურამიშვილის მიერ იმ ეპოქისთვის წარმოუდგენლად ჰუმანური და დემოკრატიული განცხადებით.

იაკობი ამის შემდეგ კვლავ იონა მეუნარგიას მოგონებებს უბრუნდება და გადაჭრით უარყოფს ილიას

სიძუნწის ამსახველ ფაქტებს. აქვე ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ დავით კლდიაშვილის ნაამბობს, ილია ჭავჭავაძის მიერ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების („განკიცხული“ და „მოდღარი“) ამონაბეჭდზე ფასად 1 მანეთის დადებას რომ ეხება: გერგებაო, უთქვამს ილიას მატერიალურად გასაცოდავებული სანდროსთვის. „ივერიის“ რედაქტორის ამ გადაწყვეტილების გამო მხოლოდ იონა აღშფოთებულა და „გაზეთში მოათავსა მოთხრობის გარჩევა: წერდა, რომ ნაწარმოები სუსტიაო და უკიჟინებდა ავტორს, რომ ასეთი დიდი ფასი დაადო ასეთ სუსტ ნაწარმოებსო; და ვგონებ, ნათქვამიც ჰქონდა, რომ ეს მწერალს სიხარბით მოსვლიაო. კარგად მახსოვს, რა გამწარებული იყო ამ წერილით სანდრო, გულამომჯდარი ტიროდა...“ (ქართული პროზა 1988: 409). მოგვიანებით ყაზბეგს იონასთვის „საუცხოო საპასუხო“ მიუწერია.

როგორც ჩანს, იონას ახასიათებდა ახირებული კრიტიკა და გულდრძოლობა. ბევრი ცუდი აზრი და ფიქრი შეუწახავს გულში, თორემ მსგავსი გამოსვლა, მით უმეტეს, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოზე, ნამდვილად წარმოუდგენელი იყო და დამსწრე საზოგადოების გულისწყრომაც სამართლიანად დაიმსახურა. იონაზე არანაკლებად ახლოს იცნობდა ილიას იაკობ გოგებაშვილი, არც მას გამორჩებოდა მხედველობიდან ის უარყოფითი მახასიათებელი, თუ რამ გააჩნდა ილიას. მაგრამ იაკობს გაცილებით სხვანაირად ესმის დიდი პიროვნების მიმართ დამოკიდებულების საკითხი, რაც ნათლად ჩანს მისი წერილებიდან. იონას შესახებ ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ილია განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მას. ისიც გავიხსენოთ, რომ 1885 წლის გაზაფხულზე, სამეგრელოში მოგზაურობისას, ილია სწორედ იონას ოჯახს ეწვია ზუგდიდში, სოფელ ცაიშში. მათი მეგობრობის დასტურია ის ორი წერილი, რომლებიც სხვადასხვა დროს „ივერიის“ რედაქტორს მისთვის გაუგზავნია. პირველი წერილი ასე მთავრდება: „იყავი მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველა ჩვენი ნაცნობი“ (ჭავჭავაძე 1961: 110).

იაკობ გოგებაშვილიც იონას საპასუხოდ განმარტავს, რომ ეს ბანკირი და მსხვილი მემამულე ილია ჭავჭავაძე უბრალოდ ცხოვრობდა, უბრალოდ იცვამდა, უბრალოდ ჭამდა და სიკვდილის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მის ქონებას აღემატება დარჩენილი ვალი. „ქაღალდს აგებდაო, ამბობს იონა, იგი რომ მართლა დაახლოებული ყოფილიყო ილიასთან, ამ შეუსაბამო ჭორს არ გაიმეორებდა“. იაკობის თქმით, უამრავი საქმისა და განსაკუთრებით „ივერიის“ გამო ილიას წუთითაც კი არ სცალოდა სათამაშოდ, არათუ ყოველდღე. იაკობი ჩამოთვლის მრავალ მიმართულებას, რის გამოც ილიას ფული უნდა დაეხარჯა და თუ რამ დარჩებოდა, იმასაც საზოგადო სარგებლისთვის საჭირო საქმეში ხარჯავდაო. მოჰყავს ამის ფაქტებიც, მაგალითად, ბოლო დროს აშენებული საგურამოს დიდებული სახლი, რომელიც ილიას არაფერში სჭირდებოდა, ვინაიდან არ ჰყავდა შვილი და სხვა ვინმე მემკვიდრე და იმთავითვე სახლი წერა-კითხვის საზოგადოებისთვის გადასაცემად ჰქონია განსაზღვრული. ასევე ევროპული წისქვილი საგურამოში... იაკობს მიაჩნია, რომ „ამის შემდეგ განაპიტალო ცილისწამებად არ უნდა ჩაითვალოს, რაც მეუნარგიამ სთქვა ჭავჭავაძის ბუნწობის და ყომარბაზობის შესახებ?!“ იაკობი პარალელს ავლებს გერმანელი გოეთეს მიმართ გავრცელებულ ხმებთან მის სიმუნწესა და გულქვაობაზე, მაგრამ როდესაც დიდ ინგლისელ მეცნიერ ლუისს გოეთეს ცხოვრება შეუსწავლია, მასში გოეთესეული ისეთი ფარული და ინტენსიური კაცთმოყვარეობის ფაქტები აღმოუჩენია, რომ საოცარი სიტყვები უთქვამს: „ამ ფაქტების გაცნობამ ჩემში აღძრა ისეთი უკიდურესი სიყვარული გოეთესადმი, რომ ველური კაცით მისი შეჭმის სურვილი დამებადაო“. დაბოლოს, იაკობი მიმართავს „ლილიპუტა ჭორიკნებს“, რომ ილიასაც გამოუჩნდება თავისი ლუისი და მაშინ კი თქვენ სირცხვილის ალში დაიწვებით, თუ ნიჭი სირცხვილისა სრულიად არ აქვთ დახშულიო.

იაკობ გოგებაშვილი გლობალურად ხედავს ილიას პიროვნებას და მას მომავალი საქართველოს სინათლედ მიიჩნევს. იონა მეუნარგია ვერ მისდევს ილიას ნაბიჯებს, იგი ჩასაფრებულ მეჭორავეს ჰგავს და წვრილმანი საკითხების გამომწვეურებით ცდილობს ილიას პიროვნებაზე

საზოგადოების ყურადღების სხვაგვარად მიქცევას. არც გაზეთ „ალს“ და არც იაკობ გოგებაშვილს ყურადღება აღარ გაუმახვილებია ისეთ დამამცირებელ გადმოცემებზე, რომელსაც დამატებით კიდევ ვკითხულობთ იონასეულ „მოგონებებში“. ილიას მამას „გრიგოლს მეტსახელად თურმე პაჭუას ეძახდნენ“, ამბობს იონა მეუნარგია. დედა იყო სომხის ქალი, სახელად მაგდანი, ბებურიშვილის ასული. „როგორც დავით ერისთავს, ისე ილიასაც არაერთხელ სმენია მისი ხასიათის თვისებების ახსნა სომხის ქალის შვილობით“ და იხსენებს თითქოს ვიღაცის მიერ ნათქვამ რაღაც ანეგდოტურ მონაჩმასხს ილიას სომხური გენის შესახებ. ასევე იხსენებს ილიას მონათხრობ ბავშვობის ამბავს, რომ გიმნაზიაში სწავლისას ილიას ტყლიპი ჰქონია, თბილისის ყველა ექიმს გაუსინჯავს, მაგრამ ვერაფერს გამხდარან, ბოლოს მისთვის მიუყვანიათერთფერშალი, დაუღუღენებიაწამალი, ტყლიპზეც რაღაც მალამო წაუსვამს და უთქვამს, ამას აღარასდროს ციება აღარ დაემართებაო და, მართლაც, იმის შემდეგ ციება აღარ მქონიაო. ასეთი გადმოცემებისას, როგორც ვხედავთ, იონა იშველიებს ილიას მონათხრობს, ვიღაცის ნათქვამს, აწ გარდაცვლილი რომელიმე პიროვნების ნამბობს, სადღაც ვითომ განაგონს. ასე რომ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, თავისი გადმოცემის ნამდვილობის საკითხში მხოლოდ იონას უნდა ვენდოთ. ილიას სამოქალაქო სამსახურზე გვეუბნება, რომ მომრიგებელ მოსამართლედ წავიდა დუშეთის მაზრაში და „არა სადღაც სომხეთში, სადაც დღეს არის, მაგალითად, გ ა დ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ი (ხაზი ჩემია – თ. გ.) ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთს ახლოს, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოვნიდა ყოველგვარს მასალას, როგორც მგოსანს. დუშეთი რა მოსატანია, ილიას, როგორც მგოსანს, უამრავი მასალა უპოვნია სხვაგანაც. „ჰპოვნიდა მასალას, როგორც მგოსანი“ – ილიას შემამკობელი ასეთი სიტყვები მკითხველისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად თუ დაუმატა – აბა, ცუდს კი არ ვამბობ, კი არ ვაძაგებო.

იონა მეუნარგიას მოგონებათა ნეგატიური გავლენა აქა-იქ დღევანდელ საზოგადოებაშიც გვხვდება, თუმცა ილიას სახელი ამით ოდნავადაც არ შებღალულა. ქართველმა ერმა, შეიძლება ითქვას, სათანადოდ დააფასა იგი, ხოლო

საქართველოს ეკლესიამ წმინდანადაც კი შერაცხა წმინდა ილია მართლის სახელით, რაც მისი პიროვნებისა და ღვაწლის სამართლიანი აღიარებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

ალი 1908 – გაზეთი „ალი“, 1908, 3 ნოემბერი.

ჭავჭავაძე 1961 – ჭავჭავაძე ი., თხზულებანი 10 ტომად, ტ. X, თბილისი, 1961.

მეუნარგია 1944 – მეუნარგია ი., ქართველი მწერლები (მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე), წიგნი II. თბილისი, 1944.

ქართული პროზა 1988 – ქართული პროზა, ტ. XVI. თბილისი, 1988.

Tengiz Gumberidze

IAKOB GOGEBASHVILI'S RESPONSE TO IONA MEUNARGIA'S MEMORIES ABOUT ILIA CHAVCHAVADZE

Summary

The evening dedicated to the memory of Ilia Chavchavadze held in Kutaisi theatre on October 27, 1908 remains an interesting event in the history and criticism of literature, at which Iona Meunargia gave a speech “Seen and heard from the life of Ilia”. He introduced the listeners some unknown facts about Ilia’s life. The attendees perceived Iona Meunargia’s speech as a criticism of Ilia Chavchavadze, which is why they expressed their displeasure in the hall. Famous teacher and writer Iakob Gogebashvili responded to Iona Meunargia’s speech. He published two letters against Iona Meunargia in “Georgia” newspaper. The letters express thoughts about Iona Meunargia’s premeditation to wrongly mention Ilia Chavchavadze and defame his name. Iakob Gogebashvili refers to the situation of our people facing difficult challenges and believes

that Ilia Chavchavadze and Georgian writing is the force that took this difficulty upon themselves and considers their insult an unforgivable sin. According to some, there is not even anything excessive in Iona's report, but Iakob Gogebashvili does not think so and gives a furious response to Iona Meunargia's speech. He calls him a gossip who seems to want to kill Ilia a second time, but Ilia Chavchavadze is a great creator and statesman, on whose wisdom descendants will be raised, and such insignificant outbursts cannot cast a shadow on his name. According to Iakob Gogebashvili's opinion, this report reveals the evil intentions that Yona Meunargia had towards Ilya, but he could not dare to say it in his lifetime and now was given an opportunity to do so.

Iakob Gogebashvili mentions the scattered facts in the biographies of Russian and European famous people, which became known to the public very late, which he also does not consider acceptable, since our people receive education and learn culture from a creator like Ilia. Such negative manifestations, which belong to rumors, will prevent society from knowing and appreciating these great personalities.

მირიან გუნია

ანტიკური პროფიტიზმი

„მენონი, თეოფრასტე, არისტოტელე, მეტროდორუსი, ეპიკურე, პლატონი, სოკრატე, პითაგორა, ფერეკიდე და პირველნი ზრმენნი... ვეკითხები ჩემს თავს: ვინ იყო მათი განმსწავლელი?

[...] და ვაგრძელებ რა პირველსაწყისის ძიებას – ყოვლისშემძლე და უშობელი ღმერთი, რომლისგანაც ყოველი შეიქმნა „და თვნიერ მისა არცა ერთი რად იქმნა, რაოდენი-რად იქმნა“ – [...] ის არის ყოველი ქმნილების განმსწავლელი, რომელმაც ყოველივე დასაბამიდან უწყის“.

„ელინებს ფილოსოფია როგორც ერთგვარი აღთქმა ისე მიეცათ, როგორც ნიშნულად მათთვის განკუთვნილი ქრისტეს ფილოსოფიისაკენ მიმავალი ნაბიჯი, [რადგანაც] მათი ფილოსოფია იმ ჭეშმარიტი და სრულყოფილი ცოდნის ძირეულ ელემენტებს შეიცავს, რომელიც ადამიანზე მაღლა დგას“ (კლიმენტი ალექსანდრიელი. სტრომატა, 6, vii-viii).

ეკლესიის დიდი მოძღვარი – წმ. იოანე დამასკელი (675-749 წწ.) რჯულდებითი სწავლების გადმოცემისას ერთგან შენიშნავს: „არ დაგვტოვა ჩვენ ღმერთმა სრულ უცოდნელობაში, რადგანაც მის მიერ ბუნებითად არის შთათესილი ყველაში ცოდნა იმისა, რომ არსებობს ღმერთი“¹

¹ წმინდა იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძეგლი ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა წაუმძღვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ჭელიძემ. თბილისის სასულიერო აკადემია. თბილისი, ი.პ. 2019, 8.

საწინასწარმეტყველო უწყება ძველ აღთქმაში მუდამ ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „იყო უფლის სიტყვა ჩემდა მომართ“⁷ ანდაც „იყო უფლის ხელი ჩემზე“⁸, ანტიკურობაში კი ამ საკრალური გადმოცემის ხაზგასასმელად პლატონი (ძვ.წ. 427-348 წწ.) და არისტოტელე (ძვ.წ. 384-322 წწ.), როდესაც ერთგვარ მითოსს, ერთგვარ სულიერ გადმოცემებს ეყრდნობიან, საუბრობენ „ძველებზე“ და „საწყისთან მყოფებზე“ (შდრ. *Αρχαίοι; Παλαιοί*) ანუ როგორც ღმერთებზე,⁹ ყოველგვარი კერძო სახელის დამოწმების გარეშე, რადგანაც მათ არ გააჩნდათ ამ საკრალურ გადმოცემათა ერთიანი კორპუსი (ისეთი, როგორიც ბიბლიაა), შესაბამისად, ხელდასხმული წინასწარმეტყველისაგან განსხვავებით, რომელსაც შინაგანი ღმრთის შემხებლობითა და საკუთარი ნებელობით სხვანაირად არ ძალუძს, ისინი მხოლოდ ინტუიციურებენ და ცხოვრების წესით ჭკრეტენ სამყაროს იდუმალებას.¹⁰

⁷ შდრ. „და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო მეტყუელი“ (ეზეკ. XXXV, 1).

⁸ შდრ. „იყო უფლის ხელი ჩემზე და გამიყვანა უფალმა სულით და დამსვა შუაგულ ველზე, რომელიც ძვლებით იყო სავსე“ (ეზეკ. XXXVII, 1).

⁹ შდრ. „უზუცესთაგან და ძველებისაგან გადმოცემათა სახით ჩვენამდე მოაღწია, რომ პირველი არსნი ღმერთები არიან და რომ ღვთაება მთელ ბუნებას მოიცავს“ (ბერძ. „παράδδοται δὲ παρὰ τῶν ἀρχαίων καὶ παμπαιδίων ἐν μύθοις τῶν κατὰ λέγειν τοῖς ὑστέρον ὅτι θεοὶ τὲ εἶναι οὖτοι καὶ περιέχει τὸ θεῖον τὴν ἄληθιν φύσιν“; Met. XII, 8; 1074b).

¹⁰ N.B. საგულისხმოა, რომ როდესაც პლატონი სამყაროს შექმნაზე საუბრობს ანტიკურობის „ყველაზე ბნელსა და ბუნდოვან წიგნში“ – „ტიმოლეო“, იგი ერთგან შენიშნავს: „...სწორედ აქ ვვარაუდობთ ჩვენ ცეცხლისა და სხვა სხეულების დასაბამს, თანახმად მსჯელობისა, რომელშიაც აუცილებლობა ალბათობას ერწყმის. რაც შეეხება ამათზე უფრო მაღალ საწყისებს, ისინი მართლოდენ ღმერთმა თუ უწყის, კაცთაგან კი - მხოლოდ იმან, ვინც ღმერთის მეგობარია (Tim. 53d). წარმოდგენილ პასაჟში ათენელი ფილოსოფოსი სამყაროულ საკითხებზე მსჯელობისას ადამიანის უძლურებაზე აკეთებს აქცენტს და ამბობს, რომ ის რაც ღმრთისათვის იმთავითვე საცნაურია ადამიანმა მხოლოდ გარკვეულ ნიშნულამდე შეიძლება შეიმეცნოს, თუ იგი შემოქმედის მეგობარი არაა და თუ ისევ თავად ღმრთისაგან არ ეუწყება მას ეს ყოველივე. მეორე საუკუნის მოღვაწე - წმ. იუსტინე მარტვილი (c. 90-165 წწ.) დიალოგის აღნიშნულ ადგილს კომენტარს ურთავს და რიტორიკულად შენიშნავს: „განა სხვას ვის მიიჩნევს [პლატონი] ღვთისთვის მეგობარ კაცებად, თუ არა მოსესა და დანარჩენ წინასწარმეტყველებს?“ (PG. t. 6; col. 286 C), რაც მართლმადიდებლობის გამოჩრეული მოძღვრის - წმ. იოანე დამასკელის შესაბამის უწყებას

ამდენად, სულიერი ტრადიციის საპირისპირო პოლუსზე დგას ფილოსოფოსი, რომელიც თეოფანის გარეშე შინაგანი განსჯით ღმრთისმეტყველებს, რადგანაც ისიც სამყაროს შემოქმედის შვილია და „რადთა იყვნეთ თქვენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზე მისი აღმოვაღოს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წჳმს მართალთა ზედა და ცრუთა“¹¹ და „არცა თქუან: აჰა აჰა, ანუ იქი. და აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს“.¹²

როდესაც დღევანდელობაში ანტიკურ ფილოსოფიას ვკითხულობთ, ძალგვიძს დასაბამიდან მოაქამომდე დროის ის ღერძი წარმოვიდგინოთ, რომელიც, შესაბამისი გამოთვლებით, ქრისტეშობამდე დაახლოებით 5500-ს, ხოლო, შესაბამისად, ჩვენს საუკუნემდე 7500 წელს გულისხმობს,¹³ სადაც ქრონოლოგიურად ძველადთქმისეულ პროფეტიზმს ანტიკური ფილოსოფია მოსდევს, რომელიც ყოვლადწმინდა სამების მეორე პირის – ძე ღმერთის განკაცებითა და ახალი აღთქმით გვირგვინდება და როდესაც სამივე ამ კულტურას ერთ პრიზმაში შევხედავთ, ჩვენს წინ წარმოჩნდება უფლის ის მიზანდასახულობა და ყოვლიერება, რომელსაც რაბინული ტრადიციის მიხედვით „ოლამი“, ანუ ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტი – კაცობრიობის მთელი ისტორია, იგივე მარადიულობა ეწოდება.¹⁴

გამოცხადების ტრადიციაზე საუბრისას, რაც პროფეტიზმის ნიშნეული მომენტია, ყურადღება ექცევა ამ გადმოცემის მოსმენასა და მის შენახვას.

ამრიგად, ლუკას სახარებაში (XI, 28) მაცხოვრის სიტყვებს ვკითხულობთ:

გვახსენებს, რომელიც ბრძანებს: „პირველი და ნეტარი ბუნების შემდეგ არავის სცოდნია ოდესმე ღმერთი არა მხოლოდ კაცთაგან, არამედ აგრეთვე, ზეცვეყნიურ ძალთაგან და თვით, ვამბობ, ქერუბიმთა და სერაფიმთაგან, თუ არა იმას, ვისაც თავად გამოუცხადა მან“ (წმინდა იოანე დამასკელი. op. cit. 8).

¹¹ N.B. მთ. V, 45.

¹² N.B. ლკ. XVII, 21.

¹³ N.B. სამყაროს დასაბამიდან ვიდრე ქრისტეშობამდე, ალექსანდრიული ტრადიციით, განვლილია 5492 წელი, ბიზანტიური უწყებით – 5508 წელი, ხოლო ქართული ცნობით – 5604 წელი.

¹⁴ შდრ. „დარგო იალღუნი ბერშებაში აბრაამა და ახსენა იქ უფლის, საუკუნო ღმერთის სახელი“ (ებრ. „שם אלף בראך שם שרף-שם בשר שם“; დაბ. XXI, 33).

ქართ. „ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუად ღმრთისაჲ და დაიმარხონ იგი“;

ბერძნ. „Μενοὺν μακάριοι οἱ ἀκούοντες τὸν λόγον τοῦ θεοῦ καὶ φυλάττουσιντες“.

„სმენა“, როგორც საკრალურ ტრადიციაზე მინიშნება, მისი გავრცელებისა და გადაცემის, ანუ შენახვის ქრონოტოპოსზე მიგვანიშნებს, რომელზეც ყურადღების გამახვილებამველიადთქმიდან იწყება, სადაც ვკითხულობთ: „შმა ისრაელ!“ (ებრ. שָׁמָעֵי שְׂרָאֵל) – „ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი“¹⁵ და ნიშანდობლივია, რომ იგი წმინდა წერილის კანონში მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ გვხვდება, რაც მამათმთავარი იაკობი უფლის ანგელოზს შეერკინება, მამისეულ კურთხევას გამოითხოვს, რომელიც მის უფროს ძმას – ესავს ეკუთვნოდა და ეწოდება სახელად „ისრაელი“, ანუ „გონებით მხედველი ღმრთისა“¹⁶ და იწყება იმ ერის, იმ სამამათმთავრო ერის ჩამოყალიბება, რომლის წიაღშიც იესო ქრისტე უნდა იშვას და მის მიერ ახალდადებულ აღთქმაშიც წავიკითხოთ: „რწმენა – სმენისაგან, ხოლო სმენა – ქრისტეს სიტყვისაგან“.¹⁷

ყოველივე ამის შემდგომად, როდესაც ღერძული დროის ანტიკურ ნაწილს დავუბრუნდებით, ჰერაკლიტეს (ძვ.წ. 520-460 წწ.) ცნობილი პასაჟი ბიბლიური სიტყვების შთამომავლად, ხოლო ახალაღთქმისეული უწყების წინასახედ შეგვიძლია გავიაზროთ.

ეფესელი მოაზროვნე ერთ-ერთ ფრაგმენტში ამბობს:

ქართ. „მე კი არა, იმ ლოგოსს უსმინეთ...“;

ბერძნ. „οὐκ ἔμοῦν, ἀλλὰ τοῦ λόγου ἀκούσαντα...“;¹⁸

და თუ „ლოგოსის მოსმენა“ ძველი აღთქმისა და განხორციელებული ლოგოსის სიტყვის მოსმენის

¹⁵ N.B. რჯლ. VI, 4; შდრ. ებრ. „שָׁמָעֵי שְׂרָאֵל יְהוָה אֱלֹהֵינוּ יְהוָה אֶחָד“.

¹⁶ შდრ. „და მან ჰრქუა: რად არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: იაკობ. და მან ჰრქუა: არღარა გერქუას შენ ამიერითგან იაკობ, არამედ ისრაელ იყოს სახელი შენი. რამეთუ განსძლიერდი ღმრთისა თანა და კაცთა თანაცა ძლიერ იყო. ხოლო ჰკითხა იაკობ და ჰრქუა: რად არს სახელი შენი? და მან ჰრქუა: რამსათჳს იკითხავ სახელსა ჩემსა? და იგი არს საკურველ. და აკურთხა იგი მუნ. და უწოდა იაკობ ადგილსა მას „ხილვაჲ ღმრთისაჲ“, რამეთუ „ვიხილე ღმერთ პირისპირ და ცხოვნდა სული ჩემი“ (დაბ. XXXII, 27-30).

¹⁷ N.B. რომ. X, 17; შდრ. ბერძნ. „ἄρα ἢ πιστεύεις ἐξ ἀκοῆς, ἢ δὲ ἀκοῇ διὰ ῥήματος Χριστοῦ“.

¹⁸ N.B. Her. DK 22 B 50.

კრებსითია,¹⁹ ლუკა მახარებლის წმინდაწერილისეული სიტყვები – „φύλασσοιτες“ – დამარხვა, შენახვა და დაცვა – პლატონსა და ფილოსოფოსთა ქალაქის, პლატონოპოლისის მცველებს – „φύλακας“-ს გვახსენებს, მათ, ვინც უჭვრეტენ ჭეშმარიტებას, ინახავენ და გადასცემენ მას²⁰ და, შესაბამისად, ღერძული დროის პერსპექტივით, ყალიბდება ანტიკური – ინტელიციური პროფეტიზმი.

საყურადღებოა, რომ როდესაც პლატონი ცდილობს ტრადიციის დამტკიცებას, იმ პირველადთან მისვლას, რომელიც ყოველივეს დასაბამშია, ამბის მოყოლას იწყებს სიტყვით – „ისმინე“ და, გარკვეული გაგებით, „ბიბლიური შესაქმის“ ქრონოლოგიასა და მისთვის დამახასიათებელ პრინციპებს იმეორებს:

ქართ. „[...ამის] შესახებაც ბევრისგან გვსმენია [...] და იმაზეც, რომ უწინ ადამიანები მიწიდან იზადებოდნენ და არა ერთმანეთისგან?“²¹ ესეც ერთ-ერთი უძველესი თქმულებაა. [...] თქვი, არაფერი გამოტოვო. მაშ, მისმინე.²² ხან თავად ღმერთი მართავს სამყაროს (ყოველივეს; მ.გ.) მოძრაობას და აბრუნებს მას [...ხანაც] ის ავტომატურად [იწყებს] საპირისპიროდ ბრუნვას, რადგან სამყარო ცოცხალია და აქვს გონება, რომელიც უბოძა იმან, ვინც ის თავდაპირველად შექმნა...“²³

ბერძნ. „[...] τί δέ; τὸ τοῦ ἐμπροσθεν φανεῖται γήγενεῖς καὶ μὴ ἐξ ἀλλήλων γεννᾶσθαι; καὶ τοῦτο ἐν τῶν πάλαι λεχθέντων. [...] ἀκούοις ἄν. τὸ γὰρ πᾶν τόδε τότε μὲν αὐτὸς ὁ θεὸς συμπόδιον πορευόμενον καὶ συγκυκλεῖ, τότε δὲ ἀνῆκεν, ὅταν αἱ περίοδοι τοῦ

¹⁹ შდრ. „...სოკრატე, როგორც უღმერთო და მკრეხელი მოაკვლევინეს: ამბობდნენ, თითქოს, მან ახალი ღმერთები გამოიგონა. იმავე ხერხებით ისინი ჩვენ წინააღმდეგაც მოქმედებენ. რადგან სოკრატეს მეშვეობით ამ ყოველივეში არა მხოლოდ ბერძნები არიან მხილებულნი სიტყვის მიერ, არამედ ამავე სიტყვით - უცხოტომელებიც. ამ სიტყვამ ხატება მიიღო და ადამიანი გახდა, მას იესო ქრისტე ეწოდა“ (წმინდა იუსტინე მარტილი. პირველი აპოლოგია. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და სქოლიოები დაურთო მონაზონმა ექვთიმე კრუპიციკიმ. თბილისის სასულიერო აკადემია, წალკის სოფელ სამების ჯვრის მამათა მონასტერი. (თბილისი: სულიერი ვენახი, 2022), 23).

²⁰ N.B. Rep. 484c.

²¹ შდრ. დაბ. II, 7; ასევე: HES.Theog. 182-187.

²² შდრ. Tim. 20d; Gorg. 523a.

²³ N.B. Pol. 269b-d.

πρὸς ἰκοντος αὐτῷ μέτρον εἰληφωσιν ἥδη χρόνου, τὸ δὲ πάλιν αὐτόματον εἰς τὸ ἀνάντια περιάγεται, ζῶον δὲ καὶ φρόνησιν εἰληχὸς ἐκ τοῦ συναρμόσαντος αὐτὸ κατ' ἀρχάς“.

თუ პლატონისეულ ამ პასაჟს იოანეს სახარების პროლოგს შევადარებთ, გამოიყოფა არათუ თემატური პარალელიზმი, არამედ საერთო სამწერლობო ლექსიკაც, როგორც, ერთგვარი, „შესაქმისეული“ ტრადიციის გადმოცემისათვის აუცილებელი სიტყვები:

- 1) Θεὸς - ღმერთი; 2) Ἀρχή - საწყისი; 3) Πάν - ყოველივე; 4) Ζωή - სიცოცხლე.

რადგანაც ღმრთისმეტყველი მოციქულის სიტყვები შემდეგია:

ქართ. „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვნიერ მისა არცა ერთი რად იქმნა, რაოდენი-რად იქმნა. მის თანა ცხორებად იყო და ცხორებად იგი იყო ნათელ კაცთა“;²⁴

ბერძნ. „Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος, καὶ ὁ λόγος ἦν πρὸς τὸν θεόν, καὶ θεὸς ἦν ὁ λόγος. οὗτος ἦν ἐν ἀρχῇ πρὸς τὸν θεόν. πάντα δι' αὐτοῦ ἐγένετο, καὶ χωρὶς αὐτοῦ ἐγένετο οὐδὲ ἓν. ὁ γέγονεν ἐν αὐτῷ ζωὴ ἦν, καὶ ἡ ζωὴ ἦν τὸ φῶς τῶν ἀνθρώπων“;

ერთადერთი, რაც პლატონისეულ ინტუიციას აკლია, ეს არის ლოგოსი – ლოგოს, განხორციელებული სიტყვა მამისა, მით უფრო, როდესაც ძველი აღთქმის „პროლოგი“ სეპტუაგინტისეული თარგმანით ასე ჟღერს:

„Ἐν ἀρχῇ ἐποίησεν ὁ Θεὸς τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν. ἡ δὲ γῆ ἦν ἄορατος καὶ ἀκατασκευαστος, καὶ σκότος ἐπάνω τῆς ἀβύσσου, καὶ πνεῦμα Θεοῦ ἐπεφέρετο ἐπάνω τοῦ ὕδατος“.²⁵

²⁴ N.B. ივ. I, 1-4.

²⁵ შდრ. ქართ. „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანად. ხოლო ქუეყანად იყო უხილავ და განუზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა. და სული ღმრთისად იცეოდა ზედა წყალთა“; დაბ. I, 1-2; ასევე: წარმოდგენილ ბიბლიურ მუხლებს ნეტარი ავგუსტინე (354-430 წწ.) შემდეგ ეგზეგეზისს ურთავს და ბრძანებს: „ქმნადობის დასაწყისში, რომელსაც წერილმა უწოდა ცა და მიწა, იმის გამო თუ რა უნდა წარმოდგარიყო მათგან, ყოველივეს შემოქმედი სამებაა გაცხადებული, [რადგანაც] წმინდა წერილის სიტყვებში: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანად“ (დაბ. I, 1), ტერმინში - „ღმერთმა“ მამა ღმერთი იგულისხმება; ტერმინში - „დასაბამად“ - ძე, რომელიც არის დასაბამი არა მამისა, არამედ მის მიერ ქმნილისა; [...] ხოლო, 40

დიალოგ „ტიმოსში“, როდესაც პლატონი იწყებს სამყაროს „შესაქმისას“ აღსრულებული მოვლენების აღწერას, უპირველესად ის ყურადღებას ამახვილებს „პირველნიმუშებზე“ (ბერძნ. Πρᾶξεις), რომელთა მეშვეობითაც იქმნება პლატონისეული „იდეები“ და შესაბამისად ეწყობა სამყაროც:

„შემოქმედი მარად უცვლელსა და იგივეობრივ არსს უმზერს და საგნის იდეისა და ძალმოსილების შექმნისას პირველნიმუშად იყენებს მას [...და] ამნაირად დაბადებული კოსმოსი იგივეობრივი, აზროვნებისა და გონების მეშვეობით საწვდომი ნიმუშის მიხედვით იქნა შექმნილი. და თუ ასეა, ყოვლად აუცილებელია, რომ ეს კოსმოსი რაღაცის ხატად გვევლინებოდეს“.²⁶

ვინაიდან ათენელთან „იდეათა“ სამყარო გრძობადი სამყაროს ერთგვარ დედნად გვევლინება, ეს მისი ღრმა ინტუიცია გვახსენებს წმ. გრიგოლ ნოსელს (335-395 წწ.) და მის სწავლებას სამყაროს „არამატერიალური პირველსაფუძვლების“ შესახებ, რომელნიც ხილული სამყაროს შექმნამდე იქმნება და შემოქმედისვე მომართვით ჰექსემერონის თითოეულ დღეს იძენენ მყოფობასა და წინარეგანზრახულობით ფორმირდებიან.²⁷

სიტყვებით: „და სული ღმრთისად იქცეოდა ზედა წყალთა“ (დაბ. I. 2; სულიწმინდის სახელის ხსენებით ჩვენ ყოვლადწმინდა სამების სრულებას ვხედავთ“ (PL. t. 34; Col. 250-251 A); ასევე: იმის თაობაზე თუ რატომ განუკუთვნა იოანიელმა მღვდელთმთავარმა ყოვლადწმინდა სამების მეორე პირს - ძე ღმერთს ტერმინი „დასაბამი“ (ბერძნ. „Ὁ ἀρχή“; თან. ქართ. „თავდაპირველად“), საყურადღებო განმარტებას თავადვე ნეტარი მამა გვთავაზობს ტრაქტატში - „აღსარებანი“, სადაც იგი ერთგან ბრძანებს: „მაგრამ რას გეკითხები უფალო ღმერთო ჩემო? მე თითქოს ვხედები ამას, მაგრამ არ ვიცი, როგორ გამოვხატო. იქნებ ყველაფერი, რაც იწყებს ან წყვეტს არსებობას, მაშინ იწყებს და წყვეტს, როცა უნდა დაიწყოს და შეწყვიტოს იგი, რაც ცნობილია წარუვალი გონებისათვის. სწორედ ეს გონებაა შენი სიტყვა, ანუ „დასაბამი“, როგორც გვეუწყა. ამას თვითონვე ამბობს სახარებაში თავისი ხორციელი ხმით (შდრ. მკ. ქართ. „ეტყოდეს მას: და შენ ვინ ხარ? ჰრქუა მათ იესუ: პირველად (შდრ. ახ. ქართ. „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“; მკ. ქართ. „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცამ და ქუეყანამ“; დაბ. I. 1), რამეთუ მე გეტყვ თქუენ“; იოან. VIII. 25). ეს სიტყვა გარე სამყაროში გახმიანდა კაცთა სასმენად, რათა ერწმუნათ, თავიანთ გულში დაეწყეთ ძებნა და მარადიულ ჭეშმარიტებაში ეპოვნათ, სადაც ერთადერთი და კეთილი მოძღვარი მოძღვრავს თავის მოწაფეებს“ (Conf. XI. viii. 10).

²⁶ N.B. შდრ. Tim. 28b-29b.

²⁷ N.B. უფლის დასაბამიერი შესაქმის შესახებ, ანუ შემოქმედის

ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ პლატონი ზედმიწევნით იმეორებს ძველადიქმისეული შესაქმნის თანმიმდევრობას და მისივე სწავლებით, როდესაც დემიურგოსი სულდგმულთა ოთხ სახეს შექმნის (რომელნიც მატერიალური სამყაროს ოთხ ძირითად სტიქიონს: ცეცხლს, ჰაერს, წყალსა და მიწას შეესაბამებიან), რიგითობით იქმნებიან: I – ღმერთების ციური გვარი (ცეცხლისაგან); II – ფრთოსანთა და ცის მფრინველთა გვარი (ჰაერისაგან); III – წყლის ბინადართა გვარი (წყლისაგან); IV – მიწის მკვიდრთა და ფეხით მოარულთა (ადამიანთა) გვარი (მიწისაგან).²⁸

პლატონისეული თხრობის მიხედვით, ადამიანის, როგორც მეტყველი და გონიერი არსების, ყველაზე მნიშვნელოვანი შემავსებელი ნაწილი – უკვდავი სული, რომელიც წარმავალი სხეულის ერთგვარ ეტლში დაიკვანებს,²⁹ მსგავსად კოსმოსისა, სამნაწილედაა, რად-

მიერ სამყაროს „პირველსაფუძვლების“ (პლატონისეული თქმით, „პირველნიმუშების“) შექმნის შესახებ ნისის ეპისკოპოსი ასე გვმოდღვრავს: „ყოვლადძლიერითა მით ნებითა თვსითა [ღმერთმა] ალაგო და დაჰადა, ესე იგი არს: სუბუქი და მძიმე, მტკიცე და თხელი, ლბილი და მაგარი, ნოტიამ (სისველე; მ.გ.) და ჯმელი (სიხმელე; მ.გ.), ცივი და მკურვალე, ფერი და სახე, მრგვალი (გარშემოწერილობა; მ.გ.) და განშორებული (მანძილის; მ.გ.). ესე უკუე ყოველნი თავით თვსით და განთესებულად გულისზრახვანი არიან წულილნი და გონებანი“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი. პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. (თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 1989), 205); წმინდა მამის წავლებით, სწორედ ეს ჩამოთვლილი ცნებები და შიშველი ზარებია, რომელთა ურთიერთშეკავშირების შემდგომაც მატერია შეგვაშენდება შესაქმნის პირველ დღეს, როდესაც უფალი ბრძანებს: „იქმენი ნათელი“ (დაბ. I, 3) და არამატერიალური პირველსაფუძვლებით იწყება მატერიალური სამყაროს ფორმირება შემდგომი ექვსი დღის განმავლობაში.

²⁸ N.B. შდრ. Tim. 39e-40a; ასევე: წმინდა წერილის თანახმად, პირველ დღეს იქმნება ნათელი (შდრ. დაბ. I, 3-5), მეორე დღეს იქმნება მყარი და განჰყოფს იგი ზენა და ქვენა წყლებს (შდრ. დაბ. I, 6-8), მესამე დღეს წყალი ხმელეთს გამოეყოფა და მცენარენი აღმოცენდებიან (შდრ. დაბ. I, 9-13), მეოთხე დღეს ციური მნათობები იქმნენ მყოფობას (შდრ. დაბ. I, 14-19), მეხუთე დღეს – ცისავე ფრინველნი და ზღვის ბინადარნი (შდრ. დაბ. I, 20-23), მეექვსე დღეს იქმნებიან ხმელეთის ცხოველები და ბოლოს, იმავე მეექვსე დღეს – ადამიანი, როგორც მეუფე ქმნული სოფლისა (შდრ. დაბ. I, 24-31).

²⁹ Ibid. 69c-d; ასევე: გამომდინარე იქიდან, რომ სხეულის გარსში მოქცეული მოაზროვნე სული გამუდმებით ესწრაფვის მისივე „ეტლის“ ბოროკლითაგან განთავისუფლებას, პლატონი სხეულს, ანუ ὤμα-ს

განაც დემიურგოსისაგან დასაბამიღებულმა ღმერთებმა ადამიანის სხეულში სულის მოკვდავი ნაწილიც მიმოაქციეს, რითიც ღირსებითად განიყო და განცალკევდა ერთმანეთისაგან სულის უკვდავი გონითი ნაწილი (λογικτικός), გულისთქმითი (თიმოტური; ბერძ. θυμητικόν) და სურვილულ-ნაყროვანებითი (აპეტიტური; ბერძ. επιθυμητικόν) და იერარქიულად: თავში, მკერდსა და მუცლის არეში დაიდეს ბინა, ხოლო, რადგანაც მხოლოდ გონიერს თუ შეუძლია თავისი თავისა და საქციელის შეცნობა, ამიტომაც სულის უკვდავ ნაწილს მართებს მოკვდავი სულის მისწრაფებების დამორჩილება, როგორც მეეტლეს – ეტლისა, რათა ორბუნებოვან ადამიანში ჰარმონიულმა უერთიერთმიმართებამ დაისადგუროს.³⁰

ამდენად, როდესაც „შესაქმისა“ და მათე მახარებლის სახარების შესაბამის პასაჟებს ვკითხულობთ, სადაც, ერთი მხრივ, გველის მიერ ევას შეცდენა, ხოლო, მეორე მხრივ,

(რომწზ. sōma), ელინური ფრთიანი შესიტყვებით, ერთგვარ სამარეს, იგივე სამარხს, ანუ σῆμα-ს (რომწზ. sēma) უიგივებდა. ამის შესახებ დიალოგ „გორგიაში“ შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: „ოდესღაც ჩვენს ბრძენთაგან მძმენია, რომ ახლა ჩვენ მკვდარნი ვართ, ჩვენი სხეული კი სამარხია“ (შდრ. ბერძ. „ἥδη τοῦ ἔχοντος καὶ ἵκοντος τὰν σοφῶν, ὃς οὐκ ἦμαίς τέθναμεν, καὶ τό μὲν σῶμα ἔστιν ἡμῖν σῆμα“; Gorg. 493); ასევე: აღსანიშნავია, რომ სულის ზესწრაფვა სხეულიდან მიღმიერისაკენ ქრისტიანული მოძღვრების ნაწილიცაა და მის ტექსტუალურ გარდამოცემას პირველად ძველი აღთქმის „ფსალმუნთა“ წიგნში ვხვდებით. მეფსალმუნე მეფე ღმერთს ასეთი სიტყვებით შეჰლადადებს: „წარწყმა სივლტოლად ჩემგან და არავინ არს გამომეძიებელ სულის ჩემისა. ღალად-ვყავ შენდამი, უფალო, და ვთქუ: შენ ხარ სასომ ჩემი, ნაწილი ჩემი ქუეყანასა მას ცხოველთასა. მოხედენ ვედრებასა ჩემსა, რამეთუ დავმდაბლდი ფრიად; მიჰსენ მე მდევართა ჩემთაგან, რამეთუ განძლიერდეს ჩემსა უფრომს. გამოიყვანე საჰრობილით სული ჩემი, რადთა აღუვარო სახელსა შენსა“ (ფსალმ. CXLI, 5-8).

³⁰ N.B. გონების მიერ სულის მოკვდავ ნაწილთა მართვის შესახებ მხატვრულ გადმოცემას ვხვდებით ფილოსოფოსის დიალოგში – „ფედროსი“, სადაც სულს პლატონი კვლავადვე ტრიალის სახით წარმოგვიდგენს და ეტლში, როგორც სხეულში, შებმული სულის ორი მოკვდავი ნაწილის – ორი ცხენისა და მათი გზისგამკაფი მეეტლის – გონების სახისმეტყველებას გვთავაზობს. დიალოგის შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: „ნება მოგვცით სული ეტლში შებმული ორი ფრთოსანი ცხენისა და მათი მეეტლის ბუნებრივ ერთიანობას მივამსგავსოთ [...] მეეტლე პასუხისმგებელია საკუთარ ცხენებზე, რომელთაგანაც ერთი კეთილშობილი გვარისაა, ხოლო მეორე – დაუმორჩიელებელისა და უზნეოსი. რასაკვირველია, მათი მართვა დიდ პრობლემას უქმნის მეეტლეს“ (Phaedr. 246a-b).

40 დღის ნამარხულევი მაცხოვრის ემშაკისაგან გამოცდაა აღწერილი, მთელი სისავსით ვხედავთ ჭეშმარიტების იმ მიგნებას, რასაც ზემოთ ინტუიციური პროფეტიზმი, ანუ ანტიკური პროფეტიზმი ვუწოდეთ.³¹

მსჯელობათა შემდგომად, საგულისხმოა, რომ ინტუიცია, რომელიც ბერძნულ ფილოსოფიას ახასიათებდა და რომელსაც არ ჰქონდა პირდაპირი გამოცხადება ღმრთისაგან, უპირველესად ცდილობდა ჩასწვდომოდა ყოფიერების საკითხს, მაგრამ ფილოსოფოსებმა მისი გადაწყვეტა საბოლოოდ ვერ შეძლეს; ვინაიდან ბერძნული მეტაფიზიკა სამყაროს საწყისად სიმარტივეს, როგორც აუცილებელ პირობას, ისე მოიაზრებს, რადგან იგი შეუცნობელი უნდა იყოს და რამდენადაც მარტივია საწყისი, იმდენად რთულია მასზე რაიმეს თქმა, განსხვავებით „გამოსვლათა“ წიგნის თეოფანიისა, როდესაც წინასწარმეტყველის წინაშე შეუცნობელი ღმერთი თავად გააცხადებს საკუთარი თავის შესახებ:

ქართ: „მე ვარ ღმერთი, მყოფი რომელი ვარ“.³²

ბერძნ. „ἐγώ ειμι ὁ θεός“;³³

³¹ N.B. ცოდვის გამოვლინების სამი აღმძვრელი იმპულსის (გონების, გულისთქმისა და ნაყროვანების) შესახებ, „შესაქმის“ წიგნში ვკითხულობთ: „და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: არა სიკუდილით მოჰკუდეთ. რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგანი, განგებუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათჳს ხილვად და შუენიერ განცდად. და მიმღებელმან დედაკაცმან ნაყოფისაგან ჭამა და მისცა ქმარსა-ცა მისსა მის თანა და ჭამეს“ (დაბ. III, 4-6); ასევე: ახალადთქმისეული ცნობა კი გადმოგვცემს: „მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ემშაკისაგან. და იმარხა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მერმე შეეშია. მოუჭდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რაძთა ქვანი ესე პურ იქმნენ. [...] მაშინ წარიყვანა იგი ემშაკმან მან წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთადა უბრძანებეს შენთჳს, და ჳელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერკი შენი. [...] კულად წარიყვანა იგი ემშაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევენი სოფლისანი და დიდებჲა მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცემე მე“ (მთ. IV, 1-11).

³² N.B. გამ. III, 14.

³³ N.B. საყურადღებოა, რომ ღმერთი თავად განსაზღვრავს, თუ როგორ
44

პარმენიდე (ც. ძვ.წ. VI-V სს.) კი ამბობს თავის ფრაგმენტულ პოემაში: „აუცილებელია გამოთქმა და ჭვრეტა იმისა, რომ არსებობს ის, რაც არსებობს, რადგან არსებობა ყოფიერებას მიემართება, ხოლო არარა – არ არსებობს“;³⁴ ანუ ჭეშმარიტად იმას ვუჭვრეტო, ვინც ჭეშმარიტად არსებობს, და ორივე კულტურის შუქზე ძნელია წარმოვიდგინოთ სხვა ჭეშმარიტად არსებული, რომელიც ჭვრეტის ღირსია, ვიდრე ეს თავად დამბადებელი ერთი ღმერთია.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ ბიბლიური მისტიკა და ბერძნული ჭვრეტითი სულიერება ეყრდნობა იმას, რომ ხილული სამყარო სახეა უხილავი სამყაროსი³⁵ და როდესაც შემოქმედი „ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა“ მოსე წინასწარმეტყველს მოძრავი კარვის აგებას უბრძანებს ისე როგორც ამას სინას მთაზე თავადვე სულიერი ხედვით განუცხადებს,³⁶ შეუძლებელია, ღერძული დროის პრიზმით, პლატონისეული „იდეათა თეორია“ და კოსმოსი

უნდა იწოდებოდეს და როგორ წარმოუდგეს წინასწარმეტყველ მოსეს, რომელმაც თავად ისურვა გაეგო შემოქმედის სახელი (მდრ. „... მკითხვიდენ, თუ რად არს სახელი მისი, რად ვჭრქუა მათ?“, გამოს. III, 13) და ღმერთიც მცისვე მიუგებს – „Εγώ εἰμι ὁ θεός“ – „მე ვარ ღმერთი, მყოფი რომელი ვარ“. ჩვენ მიერ ნახსენები მარტივული – იუსტინე ფილოსოფოსი კი გაცხადებულ სიტყვებში ტერმინს – „ὁ θεός“ – მიაპყრობს ყურადღებას და ბრძანებს: „თქვა მოსემ: „მყოფი“ (ὁ θεός), პლატონმა კი – „მყოფი“ (τὸ ὄν)“ (PG. t. 6; Col. 281A), მიგვითითებს რა „ტიმოსის“ შესაბამის სიტყვებზე: „ჩემის აზრით, ერთმანეთისაგან ამთავითვე უნდა გავმიჯნოთ ორი რამ: რა არის მარადიული და დაუბადებელი არსი (ჭეშმარიტი მყოფი; მ. გ.) და რა არის ის, რაც მარადის იბადება და არასოდეს არ არსებობს“ (ბერძ. „Ἔστιν οὐκ ἔστι καὶ ἐμὴν δόξαν πρῶτον διαίρεσιν τὰς: τί τὸ ὄν αἰεί, γένεσθαι δὲ οὐκ ἔχον, καὶ τί τὸ γιγνόμενον μὲν αἰεί, ὢν δὲ οὐδέποτε“; Tim. 27d-28a).

³⁴ მდრ. ბერძნ. „Χρὴ τὸ λέγειν τε νοεῖν τὸ εἶναι ἔμμεναι· ἔστι γὰρ εἶναι, μὴ δὲν δ' οὐκ ἔστιν“; Parm. VI.

³⁵ მდრ. „ხილული სილამაზე უნდა აღვიქვათ, როგორც უხილავი მშვენიერის გამოხატულება. ასევე, გრძნობადი სურნელება სახეა გონისეული მიმოკმევისა [და] არამიწიერი ნათლისცემის ხატად ნივთიერი ნათელი გვევლინება“ (წმ. დიონისე არეოპაგელი. ციური ერატიის შესახებ. თარგმნა ედიშერ ჭელიძემ. (თბილისი: მერმისი, 2006), 10).

³⁶ N.B. საუფლო მიმართვები მოსე წინასწარმეტყველისადმი ასე ჟღერს: „მიქმენ შენ ყოვლისა მისებრ, რომელი გიჩუენო შენ მთასა ზედა“ (გამოს. XXV, 9); ასევე: „და აღმართო კარავი იგი მსგავსად მისა, რომელი გიჩუენო შენ მთასა ზედა“ (გამოს. XXVI, 30); ასევე: „იხილე ვითარ-ძი ჰქმნე მსგავსად მისა, რომელი გიჩუენე შენ მთასა ზედა“ (გამოს. XXV, 40).

არ გაგვასხენდეს, რომელიც „უხილავი პირველნიმუშების“ საფუძველზე იქმნება.³⁷

ბერძნებს სჯეროდათ, რომ ფილოსოფია, როგორც „სიბრძნის სიყვარული“, „ღმერთების საჩუქარია“, რომელიც „ვინმე პრომეთემ“ გადასცა ადამიანებს „უნათლეს ცეცხლთან ერთად“ და ამბობდნენ, რომ „ძველებმა, რომელნიც ჩვენზე უკეთესნი იყვნენ და ბევრად ახლოს სახლობდნენ ღმერთებთან,³⁸ დაგვიტოვეს გადმოცემა, რომ ჭეშმარიტი ყოფიერება – ეს არის ერთისა და სიმრავლისაგან შედგენილი რამ“³⁹ და, გამომდინარე იქიდან, რომ ჭეშმარიტი სიბრძნეც მხოლოდ ღმერთს აქვს, პლატონი საუბრობს შეძლებისდაგვარად ღმერთის მიმსგავსებაზე,⁴⁰ ფილოსოფია კი, როგორც ცხოვრების წესი, ამ ნამდვილი ჭეშმარიტი სიბრძნის ჭვრეტა – „სიკვდილისათვის მზადებაა“.⁴¹

³⁷ N.B. საინტერესოა, რომ იუსტინე ფილოსოფოსი იხსენებს პლატონიკოსი ნუმენიოსის (c. ძვ.წ.3-2 სს.) სიტყვებს პლატონის შესახებ, რომელიც მარტვილი მოღვაწის გადმოცემებით შემდეგია: „ვინ არის პლატონი, თუ არა მოსე, ატიკურად (ერთ-ერთი ძველი ბერძნული დიალექტი; მ.გ.) მეტყველი“ (PG. t. 8; col. 893 AB - 896 A).

³⁸ შდრ. „მახლობელ მისა (ღმრთისა; მ.გ.) არიან ბუნებანი გონიერნი და შორს მისგან - ფრიად ყოველი, რომელი არს საცნობელთა ამით გარეშე“ (Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica III. Orationes, XXXVIII. Editae a Helene Metreveli. Corpus Christianorum. Series Graeca 45. Corpus Nazianzenum 12. (Turnhout: Leuven University Press, 2001), 20.

³⁹ N.B. Phil. 15ed-16c.

⁴⁰ N.B. Tht. 176b.

⁴¹ N.B. Phaed. 67e; ასევე: საგულისხმოა დიალოგ „სახელმწიფოს“ უწყება ერ პამფილიელის შესახებ, რომელიც 12 დღის გარდაცვილი მისივე სხეულის დასაწვავად აღმართულ კოცონზე სასწაულებრივად გაცოცხლდა და გადასცა ბერძნებს საიქიოში ნანახი და განცდილი ამბები, თუ მართალთა სულები როგორ გადაადგილდებოდნენ შემოქმედის მარჯვნივ, დამნაშავეთა სულები კი - მარცხნივ. პამფილიელი მეზრძოლი სხვადასხვა სასჯელთა შესახებაც ყვება, რომლითაც უკეთურთა სხეულები იტანჯებოდნენ და იხილა გარსეები, სადაც შესაბამისი ცოდვის ჩამდენნი ხვდებოდნენ. როდესაც ამ ამბის გადმოცემას პლატონი გლაუკონისთვის დაასრულებს, ის შემდეგ სიტყვებს ამბობს: „ასე გადარჩა გლაუკონ ეს მითი და არ დაიღუპა. თუ ვერწმუნებით, ჩვენც გვიხსნის, ლეთესაც (მიცვალებულთა სამეფოს მითოლოგიური მდინარე; მ.გ.) ადვილად გადავლახავთ და არც უწყინდურებით წავბილწავთ სულს. მერწმუნეთ, სული უკვდავია და უნარი შესწევს აიტანოს ყოველგვარი სიკეთე და ყოველგვარი ბოროტება“ (პლატონი. სახელმწიფო. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. (თბილისი: ნეკერი, 2003), 257). ცხადია აღნიშნულ უწყებას პლატონი იზიარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამბავს ამგვარ

ცხადია, ანტიკური ფილოსოფიისათვის უცხო იყო ის განცხადებული და ხორცშესხმული Logos-ი, რომელზეც წინასწარმეტყველები მაუწყებლობდნენ, მაგრამ მათი ღრმა ინტუიცია ოლიმპოსა და პარნასის მითოლოგიათა ფონზე, გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ისინი ჩასწვდნენ სამყაროს საწყისს - ჭეშმარიტ ერთ ღმერთს, მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური აზროვნებითი კულტურა გაჭედილია იმ მოცემულობაში, რომ ყველანაირი ხერხით დაამტკიცოს მისთვის უცნობი „ბიბლიური ყოველივეს შემოქმედი ღმერთის ნამდვილობა“, რითიც პიროვნებამდე ვერც მიდის, ვინაიდან, თუნდაც ამ ღმერთის ნამდვილობის მტკიცებას, საწინასწარმეტყველო გამოცხადება სჭირდება (ანტიკურობა ინტუიციის ამარაა დარჩენილი), პიროვნების აღქმას კი ამ ღმერთის განკაცება;⁴² ამიტომაცაა, რომ

სიტყვებს არ მოადევნებდა. ეს ყოველივე არც იუსტინე ფილოსოფოსს გამორჩენია და საგულისხმო სიტყვებით გვმოძღვრავს: „მიმაჩნია, რომ აქ პლატონმა არა მხოლოდ დასჯის შესახებ ისწავლა სიტყვა წინასწარმეტყველთაგან, არამედ ელინთა მიერ მიუღებელი აღდგომის თაობაზეც. ამბობს რა, რომ სხეულთან ერთად განიკითხება სული, სხვას არაფერს ცხადყოფს, თუ არა იმას, რომ ირწმუნა სიტყვა აღდგომის შესახებ. მაშ, როგორღა შეძლებდნენ არდიოისი და დანარჩენნი, სხეულის, - თავის, ხელების, ფეხებისა და ტყავის, - დედამიწაზე დამტყვევებლნი, ესოდენი სასჯელი ეტვირთათ ჯოჯოხეთში? მაგრამ ეგვიპტეში პლატონმა წინასწარმეტყველთა მოწმობანი ამოიკითხა და მიიღო მოძღვრება სხეულის აღდგომის შესახებ და სხეულთან ერთად სულის განიკითხვას ასწავლის“ (PG. t. 6; col. 292 AB).

⁴² N.B. ნიშანდოლივია, რომ ძვ.წ. I საუკუნის პოეტი - ვერგილიუსი (ძვ.წ. 70-19 წწ.) თავისი „ბუკოლიკების“ IV „ეკლოგაში“ წინასწარმეტყველებს ყრმის შობას, რომელიც სამყაროს შეცვლის და გველს გადააშენებს, როგორც ეს „შესაქმის“ წიგნშია ნათქვამი (შდრ. დაბ. III, 15) და ეყრდნობა რა კუმელ სიბილას სიტყვებს, ამბობს: „...ახდა რაც კუმელ მისანქალს უთქვამს, საბრუნს იცვლიან დრონი [...] და ცა მოწყალედ ჩვენდა მზირალი, მოდგმას გვიგზავნის სხვარიც. ახალშობილი ყრმა შეიყვარე, მისთვის მოწყალე იყავ, ვინც რკინის ხანას, თეთრო ლუცინა, ოქროს დროებით შეცვლის [...] ახლა წამოვა დიდებულ თვეთა, დიდებულ წელთა წყება, თუკი შენსობას კვლავ შემორჩება მცირე სიავის კვალი, ისიც გაქრება და დედამიწას მუდმივ შიშისგან იხსნის. ყრმა კი იცხოვრებს ზესთა ცხოვრებით, ნახავს გმირებს და ღმერთებს, ღვთაებრივ კრებულს მიეახლება, მას იხილავენ ზევად, მამრთა სიქველით გამთბარ ქვეყანას წინ წარუძღვება იგი [...] და ყვავილნარიც აკვანის გაგიშლის და დაირწევა შენთვის, მყის განქარდება შხამაბალახა, გადააშენდება გველიც...“ (Virgil. Ecl. IV); ასევე: აუცილებლად უნდა ვახსენოთ ერთიერი სიბილა, რომელიც ავტორია ცნობილი აკროსტიკული წინასწარმეტყველებისა, რომლის სტრიქონთა თავკიდურა ასოებით დგება აკროსტიკი - „იესო ქრისტე, ძე ღმრთისა,

ელინს ზოგადი ინდივიდუალური გამოხატულება აქვს და ფეხმარდი აქილევსი მაშინაც კი ფეხმარდია, როდესაც ის ზის,⁴³ მას არ აქვს პიროვნება – საკუთარ თავზე უარის თქმის შესაძლებლობა,⁴⁴ თუმცადა სრულებითაც არ არის შემთხვევითი ძველი აღთქმის ეპოქის შემდგომ, რომ ახალი აღთქმის უწყება ბერძნულ ენაზე გადმოიცა. ჭეშმარიტ ფილოსოფიას სჭირდებოდა ჭეშმარიტი ფილოსოფიური საფუძველი და ჭეშმარიტი ფილოსოფიური ტერმინოლოგია, რადგანაც იმ დროისათვის არსებული ვერცერთი ფილოსოფიური სისტემის (ირანული, ინდური, ჩინური) ენაზე ვერ ითქმებოდა ამ ჭეშმარიტების რწმენის სიმბოლო.⁴⁵

ქართ: „...ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა“;

ბერძნ. „...Φῶς ἐκ Φωτός, Θεὸν ἀληθινὸν ἐκ Θεοῦ ἀληθινοῦ, γεννηθέντα οὐ ποιηθέντα, ὁμοούσιον τῷ Πατρὶ, διὰ οὗ τὰ πάντα ἐγένετο“.

აზრევიატურების ჩამონათვალი

<i>Conf.</i>	St. Augustine, <i>Confessions</i>
<i>Gorg.</i>	Plato, <i>Gorgias</i>
<i>Her.</i>	Heraclitus, <i>Fragments</i>

მხსნელი, ჯვარი“ (ბერძნ. „ΙΗΣΟΥΣ ΧΡΕΙΣΤΟΣ ΘΕΟΥ ΥΙΟΣ ΣΩΤΗΡ ΣΤΑΥΡΟΣ“; მის შესახებ ცნობები ასევე გვხვდება ნეტარი ავგუსტინეს ტრაქტატში - „ღვთის ქალაქისათვის“ (De civitate dei. xviii.23), ლაქტანციუსის ტრაქტატში - „საღმრთო მიმდინარეობანი“ (Divinae institutiones. I.6.8, 14) და ისიდორე სევილიელის შრომაში – „პირველმნიშვნელობანი“ (Etymologiae. viii.8.1, 3, 4).

⁴³ N.B. იხ. Hom. Il. I, 59; XXIV, 621.

⁴⁴ შდრ. „მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვსთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვსი და აღიღენ ჯუარი თვსი და შემომიდეგინ მე“ (მთ. XVI, 24).

⁴⁵ N.B. ყოველივე ამის დასტურია, ერთობ დამაფიქრებელი სიტყვები „საქმე მოციქულთას“ XVI თავიდან: „ეკლესიები კი მტკიცდებოდნენ რწმენით და მრავლდებოდნენ ყოველდღიურად. ფრიგია და გალატელთა ქვეყანა რომ მოიარეს, სულმა წმიდამ აუკრძალა ასიაში ექადაგათ სიტყვა. მისიას რომ მიიღწიეს, ბითონიაში დააპირეს წასვლა, მაგრამ სულმა არ დართო ნება. მისიას გასცდნენ და ტროაში ჩავიდნენ. პავლემ ჩვენება იხილა ღამით: ერთი მაკედონელი კაცი წარუდგა და ვედრებით ეუბნებოდა, მაკედონიაში ჩამოდი და დაგვხმარეო. ამ ჩვენების შემდეგ სასწრაფოდ გადაწყვიტეთ მაკედონიაში წასვლა, რადგანაც მივხვდით, რომ ღმერთმა გვიხმო, რათა იქ გვეხარებინა“ (საქ. XVI, 5-10).

<i>Hes. Theog.</i>	<i>Hesiod, Theogony</i>
<i>Hom. Il</i>	<i>Homer, Illiad</i>
<i>Met.</i>	<i>Aristotle, Metaphysics</i>
<i>PG.</i>	<i>PATROLOGIA GRAECA</i>
<i>PL.</i>	<i>PATROLOGIA LATINA</i>
<i>Phaedr.</i>	<i>Plato, Phaedrus</i>
<i>Phil.</i>	<i>Plato, Philebus</i>
<i>Pol.</i>	<i>Plato, Polikos</i>
<i>Rep.</i>	<i>Plato, Republic</i>
<i>Tim.</i>	<i>Plato, Timaeus</i>
<i>Tht.</i>	<i>Plato, Theaetetus</i>
<i>Virgil. Ecl.</i>	<i>Virgil, Bucolics, Eclogue</i>

გამოყენებული ლიტერატურა

არისტოტელე 1964 – არისტოტელე, მეტაფიზიკა. თარგმანი ბერძნულიდან, კომენტარები და წინასიტყვაობა თამარ კუკავასი. თბილისი, 1964.

გრიგოლ ნოსელი 1989 – წმინდა გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი, 1989.

დიონისე არეოპაგელი 2006 – წმინდა დიონისე არეოპაგელი, ციური ერარქიის შესახებ. თარგმნა ედიშერ ჭელიძემ. თბილისი, 2006.

ვერგილიუსი 2019 – პუბლიუს ვერგილიუს მარონი, ბუკოლიკური პოეზია. ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მანანა ღარიბაშვილმა, 2019.

იოანე დამასკელი 2019 – წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა წაუმძღვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ჭელიძემ. თბილისი, 2019.

იუსტინე მარტვილი 2022 – წმინდა იუსტინე მარტვილი, აპოლოგია. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და სქოლიოები დაურთო მონაზონმა ექვთიმე კრუპიცკიმ. თბილისი, 2022.

ნეტარი ავგუსტინე 1995 – ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი. ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. თბილისი, 1995.

პლატონი 2003 – პლატონი, სახელმწიფო. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. თბილისი, 2003.

პლატონი 2019 – პლატონი, ტიმეოსი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. თბილისი, 2019.

პლატონი 2021 – პლატონი, თეეტეტოსი. ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა მაია შუხოშვილმა. თბილისი, 2021.

პლატონი 2021 – პლატონი, პოლიტიკოსი. ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა მაია შუხოშვილმა. თბილისი, 2021.

პლატონი 2022 – პლატონი, გორგია. თარგმანი: მაგდა მჭედლიძე. თბილისი, 2022.

ჰომეროსი 2016 – ჰომეროსი, ილიადა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა. თბილისი, 2016.

Clement of Alexandria. n.d. The Stromata. Tr. William Wilson. Logos Virtual Library

Heraclitus. n.d. Fragments. Tr. John Burnet, Arthur Fairbanks, Kathleen Freeman

PG. t. 6. 1857. ΕΛΛΗΝΙΚΗ ΠΑΤΡΟΛΟΓΙΑ (Patrologia Graeca): 1857, t. 6

PG. t. 8. 1857. ΕΛΛΗΝΙΚΗ ΠΑΤΡΟΛΟΓΙΑ (Patrologia Graeca): 1857, t. 8

PG. t. 128. 1857. ΕΛΛΗΝΙΚΗ ΠΑΤΡΟΛΟΓΙΑ (Patrologia Graeca): 1857, t. 128

PL. t. 34. 1865. (PATROLOGIA LATINA); 1865, t. 34

Plato. 1972. *Phaedrus*. Tr. By E. Hackforth. London: Cambridge University Press.

Philebus. Tr. J.C.B. Gosling. Oxford: Clarendon Press. 1975.

Sancti Gegeri Nazianzeni Opera. 2001. *Versio Iberica III*. Or. XXXVIII. Editaed a Helene Mereveli. Corpus Christianorum. Series Graeca 45. Turnhout: Leuven University Press.

Whitehead, Alfred North. 1978. *Process and Reality*. New York: The Free Press.

Mirian Gunia**ANCIENT PROPHETISM**

Summary

In the following publication in framework of Old and New Testament texts and Ancient philosophical entrails, there is reviewed an issue of the *Prophetism* which we are able to read in ancient philosophical dialogues.

The Prophets of The Old Testament and Apostles of New Testament were given The Word of God and knowledge of the Creator of the Universe – The Absolute, The *Logos* directly by Theophany, while the ancient philosophers intuited and tried to understand the universe with their own mind and reasoning.

Thus, the study discusses the similarities and parallel lines of both Scriptural and Ancient Philosophical textual heritage and tries to represent the idea of St. James Epistle which states: „Every good gift and every perfect gift is from above, and cometh down from the Father of lights“ (Jam. I, 17) – meaning it is no coincidence that ancient philosophy is after the Old Testament era and right before the New Testament time, which is written in Greek language – the language of ancient greek philosophy.

მერაბ კეზევაძე

**გელათის მონასტრის წინამძღვრები
(1811-1923 წწ.)
/წერილი პირველი/**

გელათის მონასტრის მართვა-გამგეობაში გამორჩეული იყო მონასტრის წინამძღვრის როლი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა. სამეურნეო საქმიანობის მართვაში მას ეკონომოსი ეხმარებოდა. ჩვენთვის საკვლევი პერიოდი (1811-1923 წწ.) ამ მხრივ. წინამძღვრის ფუნქციის შესაბამისად, შეიძლება ორ ეტაპად გაიყოს: პირველი – 1820 წლამდე, როცა მონასტრის მართვა-გამგეობას გელათის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი ახორციელებდა და მეორე – 1820 წლიდან 1923 წლამდე, როცა მონასტერს დამოუკიდებელი წინამძღვრები ჰყავდა (გამონაკლისია 1911-1917 წლები, როცა წინამძღვრის ფუნქციას იმერეთის ეპისკოპოსი ასრულებდა).

პირველი, 1820 წლამდე, ეტაპის გელათის მონასტრის ხელმძღვანელობას, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში, მე-16 საუკუნის დასაწყისიდან მაინც, ახორციელებდა გელათის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. უკანასკნელი გაენათელი მიტროპოლიტი გახლდათ ექვთიმე (შარვაშიძე). ის დაბადებული იყო 1746 წელს. იგი გურიის ერისთავის, ქრისტეფორეს ვაჟი იყო. ექვთიმე 11 წლის ასაკში იმერეთის მეფე სოლომონ პირველს და იოსებ კათალიკოსს გურიიდან გელათის მონასტერში მოუყვანიათ. მომავალ წმინდანს შემდგომი პერიოდი

52

გელათში გაუტარებია, აქვე უკურთხებიან მღვდლად, ხოლო 1776 წელს ეპისკოპოსად ხელდასმულმა, იოსებ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა გაენათელის კათედრა.

1787 წელს ექვთიმე გაენათელს საფუძვლიანად განუახლებია გელათის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი ოჯახის საგვარეულო ეკლესია ყოფილა. 1810 წლის შეწირულობის წიგნით ირკვევა, რომ სოლომონ მეფის ბრძანებით მღვდელმთავარს საკუთარი საფასით სოფელი მუხაყრუა გაუშენებია, მიწა შეუსყიდია, ხალხი დაუსახლებია და ეკლესიაც აუშენებია.

იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ექვთიმე გაენათელს ბრძოლა უწევს გელათის მონასტრის კუთვნილი მამულებისთვის. 1816 წელს იგი თხოვნით მიმართავს მთავარმართებელ ნ. რტიშჩევს და გელათის მონასტრის კუთვნილი სოფელ კვახჭირის დაბრუნებაში დახმარებას სთხოვს. 1817 წელს კი ახერხებს გელათის მონასტრისადმი დროებით წართმეული კუთვნილი ყმებისა და მამულების დაბრუნებას.

1819-1820 წლების იმერეთის საეკლესიო აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის ექვთიმე გაენათელი 1820 წლის 4 მარტს დააპატიმრეს და რუსეთში გადასახლეს, 1822 წლის 21 აპრილს ალექსანდრე სვირელის მონასტერში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, საიდანაც 2005 წლის 27 მარტს გადმოასვენეს გელათის მონასტერში, იმავე წლის 27 ივნისს კანონიზირებულ იქნა წმინდანად. ხსენების დღეა 4 მაისი (კეზევაძე... 2018: 51-55). ექვთიმე გაენათელის დაპატიმრებიდან მალე, 1820 წლის აპრილიდან, მონასტრის მართვა და ქუთაისისა და ვაკის ოლქების საეკლესიო ქონებისა და მოსახლეობის კამერალური აღწერა დაევალა არქიმანდრიტ ნიკოლოზს (ჩხეიძე). ფაქტობრივად იგი ეგზარქოსობის დროის გელათის მონასტრის პირველი წინამძღვარი გახდა, მანამდე კი, როგორც აღვნიშნეთ, მონასტრის საერთო ხელმძღვანელობას გელათის (გაენათელი) ეპისკოპოსები ახორციელებდნენ. ამასთანავე, მონასტერში მდებარე წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებს და ღმრთისმშობლის შობის ტაძრის სამწირველოებს თავ-თავიანთი წინამძღვრები ჰყავდათ.

სამონასტრო ცხოვრება დიდად იყო დამოკიდებული მონასტრის წინამძღვარზე. 1904 წლის სექტემბერში „ილ. თეზ-ტელის“ ფსევდონიმით მოღვაწე ავტორის სიტყვები, რომ გელათის „მონასტერი რაც იყო ძველად, დღეს ის აღარაა, – მაგრამ მთელი საქართველოს თვალი მისკენაა მიქცეული... გელათმაც, როგორც საქართველოს სხვა მონასტრებმაც დაჰკარგა თვისი ძველებური მნიშვნელობა, – თვისი დიადი გავლენა ერზე, – მაგრამ მაინც სასოების თვალით უცქერის ქართველი... ჩვენს მონასტერს ეჭირვება მხნე წინამძღვრები, დაუღალავი მეთაურები... თუ მათ გულის შემატკივარი წინამძღვრები ეყოლებათ, – მათი საქმე კარგად წავა და მცირედენ სარგებლობას მაინც მოუტანენ ჩვენს ერსა (ივერია 1904, №224: 3)“ – მთელი ეგზარქოსობის დროინდელი გელათის მონასტრის წინამძღვრების დიდ მოვალეობაზე მიუთითებს.

მონასტრის წინამძღვარს საქართველოს ეგზარქოსის წარდგინებით ნიშნავდა რუსეთის უწმიდესი სინოდი (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 5960, ფ.1). ჩვენ მივაკვლიეთ წინამძღვრის მონასტერში შეყვანის (კურთხევის) ცერემონიალის აღწერას. რომელიც შემდეგი შინაარსისაა: (მოგვყავს მთლიანად).

“Церемониал при введении настоятелей во вверенные им монастырь.

1. О времени введения архимандрита или же игумена в должность настоятеля вверенного ему монастыря извещается заблаговременно братия того монастыря для встречи его с колокольным звоном, в мантиях.

2. По прибытии настоятеля во вверенный ему монастырь вводится он настоятель при чиновнике Имеретинской епаршейской канцелярии /секретарь/ и одном архимандрите или игумене, облаченный в мантию, входит в церковь, где братья встречают его с крестом и с водою и поют тропарь Сиятого того дня и м-ца или же тропарь храмовому того монастыря празднику, а новоопределенный настоятель прикладывается к местным иконам: по чтении тропаря секретарь Имеретинской епаршейской канцелярии читает указ Грузино-Имеретинской святейшего синода конторы об определении вводимого настоятелем того монастыря; который во время чтения указа стоит перед наложным, поставленным ниже амвона, на наложные должны быть заблаговременно положены св. Евангелие и Крест.

3. По прочтении указа, настоятель читает пред св. Крестом и Евангелием обычную присягу, а потом возносится диаконем эктения сугубая с упоминанием имени настоятеля и по возгласе многолетие государю императору и августейшей фамилии, святейшему правительствующему синоду и местному епархиальному архиерею, а настоятель в это время, стоя на амвоне, держит крест и осеняет оным. По окончании сего, братия монастыря подходит к настоятелю для обычного целования по чину иноческому, а вводящий настоятеля архимандрит или игумен напоминает братии обязанность послушания поставленному над ними настоятелю“ (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 5960, ფ. 5, 6).

მონასტრის წინამძღვარი დებდა ფიცს. ნიმუშად მოგვაქვს 1854 წლის 19 მარტს არქიმანდრიტ გაბრიელის (ტუსკია) დადებული ფიცი – „ჩყნდ-ს წელსა მარტის ით-სა დღესა მე ქუემორე ამისა სახელდებული აღვსთქუამ და ვფიცავ ყოვლის შემძლებელსა ღმერთისა წინამე წისა სახარებისა და ცხოველსყოფელისა ჯვარისა, ამაზედ რომელ მე მწეზავს და თანამდებ ვარ რათა მისსა იმპერატორობითსა დიდებულებასა, ჩემსა ჭემმარიტად ბუნებითსა ყნდ უმოწყალებსა დიდსა ხელმწიფესა იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძესა თვითმპყრობელსა ყოვლისა როსსიისასა და მისის იმპერატორობითის დიდებულებისა სნდ რუსეთის ტახტის მემკვიდრესა, მისსი იმპერატორობითისა უმაღლესობასა დიდსა მთავარსა ალექსანდრეს ნიკოლოზის ძესა, ერთგულად და პირუთვნელად ვემსახურო და ყოველსავე შნა დავემორჩილო დაუზოგველად სიცოცხლისა ჩემისა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე სისხლისა და ყოველთავე უმაღლესის მისის იმპერატორობითის დიდებულების თვითმპყრობელისა ძალისა და ხელმწიფებისადმი შესახვედრთა სამართალთა და უპირატესობათა დაწესებულთა და შემდგომში დაწესებადთა უკიდურესთა გულისხმისყოფითა ძალითა და შემძლებლობითა გაუფრთხილდებოდე და მივექცეოდე და მისთანავე უკიდურესითა ზომითა ვმეცადინეობითა შემწეობასა ყოვლისავე მის რაიცა მხოლოდ მისის იმპერატორობითის დიდებულების ერთგულსა სამსახურსა და სახელმწიფოსა სარგებლობასა ყოველთავე შემთხვევათა შინა შეეხებოდეს, ხო განლევისათვის ვითარცა მსწრავ

ვსცნა იგი, არათუ კეთილქამიერად გამოვაცხადებდე, არამედ ყოვლითავე ღონისძიებითაცა ვმეცადინეობდე გარე მოქცევასა და არა მიშვებასა და ყოველსავე ჩემდა რწმუნებულსა საიდუმლოს მტკიცედ დავიცვდე და რწმუნებულსა და დიდებულსა ჩემზედ ხარისხსა ვითარცა ამას საზოგადოისა ეგრეთვე საკუთრისაცა განწესებულისა და ჟამით ჟამამდე მისის იმპერატორებითის დიდებულების სახელითა წინათ დადგინებულთა, ჩემზედა მთავართაგან განწესებულთა ინსტრუქცია და რელამენტთა და უქასთაებრ ჯეროვნის სახითა სინიდისისა ჩემისათა ვმართებდე და ჩემის ანგარებისა, ნათესაობისა, მეგობრობისა და მტერობისათვის და წინააღმდეგ თანამდებობისა ჩემისა და ფიცისა არა მოვიქცეოდე და ესრეთითა სახითა ვყო თავი ჩემი და მოვაქციო ვითარცა ერთგულსა მისსა იმპერატორებითის დიდებულებისა ქვეშევრდომს შეეფერების და თანამდებობის და ესრეთ მე წინაშე ღვთისა და სამშინელსა მისის სამსჯავროისა მარადის ამაზედ პასუხისგებად მეგულვების ვითარცა ნამდვილი უფალი ღმერთი სულიერად და ხორციელად შემეწევის მე ხ'ო დასამტკიცებლად ამა ჩემისა ფიცისა ვემთხვევი წ'ასა სახარებასა და ჯვარსა მაცხოვრისასა“ (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 5960, ფ. 4, 5). აღნიშნული ფიციდან კარგად ჩანს, თუ როგორ უნდა ემოღვაწა მომავალ მონასტრის წინამძღვარს, რომლისთვისაც ღმერთისა და იმპერატორობისადმი ერთგულება და სამსახური გათანაბრებული იყო.

როგორც აღვნიშნეთ, ეგზარქოსობისდროინდელი გელათის მონასტრის პირველი წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზია (ჩხეიძე). როგორც მისი ნამსახურების სიიდან ჩანს, დაბადებული იყო 1785 წელს. სასულიერო წოდებაში შესვლამდე მსახურად იყო რაჭის არქიეპისკოპოს სოფრონიოსთან (წულუკიძე, შემდეგში იმერეთის ეპარქიის მმართველი): ბერად აღიკვეცა 1802 წელს. 1804 წელს ხელდასმულ იქნა მღვდელმონაზვნად, 1814 წელს – არქიმანდრიტად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის 1820 წლიდან გელათის მონასტრის წინამძღვარი და ქუთაისისა და ვაკის ოლქების საეკლესიო ქონებათა და მოსახლეობის კამერალური აღწერის ხელმძღვანელია, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც იმერეთში საეკლესიო რეფორმის

გატარების კარგმა ორგანიზატორმა. მისი ეს ერთგული სამსახური რუსეთის ცარიზმმა შესაბამისი ჯილდოთი აღნიშნა – 1826 წელს დაჯილდოებულ იქნა წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით. იმერეთის დროებით მმართველ გესეს დავალებით 1828 წლის ივლისში მან მთავარმმართველის წერილი ჩაიტანა გურიაში და იქაურ მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა. 1823 წლიდან არქიმანდრიტი ნიკოლოზი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრია (სცა. ფ. 489, ან.1, ს. 2195, ფ. 872, 873, ს.1182 ფ.181; ფ. 488, ან.1, ს.357, ფ.164, 165), აქ 1833 წლის თებერვლამდე იმსახურა და თავის სურვილით, ავადმყოფობის გამო, დატოვა აღნიშნული თანამდებობა (ქცა. ფ. 21, ან.1, ს.714, ფ.4, ს.909, ფ. 8). არქ. ნიკოლოზის სინოდის წევრობის პერიოდიდან იწყება უთანხმოება და დაპირისპირება მასა და იმერეთის ეპარქიის მმართველ არქიეპისკოპოს სოფრონიოს შორის, რაც საბოლოოდ 1838 წლის ნოემბერში არქიმანდრიტ ნიკოლოზის თანამდებობიდან გადაყენებით დასრულდა. როგორც მისი ძმა „ნადვორნი სოვეტნიკი“ დავით ჩხეიძე წერს: „ჩყლჴ (1838) წელსა შინა შესმენისამებრ მიცვალებულის სოფრონიოს არქიეპისკოპოსისა მიერ მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობის ექსარხოსისადმი ძმაი ჩემი ნიკოლას არქიმანდრიტი გარდმოყენებულ იქნა გაენათის მონასტრისაგან“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1615, ფ. 57). არქიეპისკოპოსისაგან არქიმანდრიტი მრავალ საქმეში იყო ბრალდებული, მათ შორის გელათის მონასტრიდან საეკლესიო ნივთების დაკარგვაზე (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1398, 1672, 1692, 3147, ფ.12), პოლიტიკური ბრალდებაჲ ჰქონდა წაყენებული, თუმცა საბოლოოდ ეს უკანასკნელი მოეხსნა და მისი დანაშაული, რომელიც მის ნამსახურების სიაში უნდა ყოფილიყო შეტანილი, ასე ჩამოყალიბდა: „გარევისათვის ...სავენებელსა მმართველობისათვის პოლიტიკურსა მიწერ-მოწერასა შინა გურიის მთავრინასა თანა იწარმოებდენ სინოდის კანტორასა შინა და სამოქალაქო მთავრობასაცა შინა საქმენი, რომელთაგან რომელნი ვითაებრ უკვე გარდაწყვეტილ არს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა შინა მას არხიმანდრიტს ნიკოლასზე საქმე დადებითა გარდახდისათა მისგან განზნეულ ფულთა და

ქონებათა, ხოლო უკანასკნელისაებრ ესე იგი მიწერმოწერისა რომელსა ზედა სწარმოებდა საქმე სამოქალაქოსა უწყებასა შინა იგი გამართლებულ არს“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 110). სინოდის კანტორისაგან განთავისუფლებული არქიმანდრიტი ნიკოლოზი მაინც არ ტოვებდა მონასტერს. ამიტომაც იყო, რომ 1839 წლის 9 თებერვლის წერილით არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი მას კატეგორიულად თხოვდა მონასტრის გადაბარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე სასჯელით ემუქრებოდა (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 1804, ფ. 41-42).

არქიმანდრიტი ნიკოლოზი გარდაცვლილი ჩანს 1840 წლის მაისში (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 1674, ფ. 5, ს.1692, ფ. 65). მისი საფლავის ქვაზე მონასტრის ეზოში ასეთი წარწერაა: „მიმცა წარსულთა სიკვდილმან, საფლავსა ამას შთავაზნიე მტვერი – მტვერისა თავადის ტომით არხიმანდრიტი მონასტრის გენათის და წინამძღვარი ნიკოლოზ აღვესრულე ჩ ყ ნ გ წელსა (შეცდომაა აქაც და 1911 წელს შედგენილ მონასტრის ნეკროპოლის აღწერილობაშიც, სადაც გარდაცვალების თარიღად ჩემგ წელია მითითებული (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 24121, ფ. 33) – მ.კ.) – შობიდან მ ზ წელსა, ხოლო ძმისწულმან ჩ-მ-ნ ასულმან დავით ჩხეიძისმან კნეინა ლევან წულუკიძისამ ეკატერინამ ლოდით დამფარა მხილველთაგან ვითხოვ შენდობას“⁴⁶.

არქიმანდრიტ ნიკოლოზის დროს მოხდა გელათის მონასტრის, როგორც საეკლესიო შტატის ორგანოს ორგანიზება. მისივე წინამძღვრობისას გელათის მონასტერში ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, 1837 წელს საქართველოში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1465, ფ.189).

არქიმანდრიტ ნიკოლოზის გელათის მონასტრის წინამძღვრობისაგან გადაყენების შემდეგ 1838-1841 წწ.-ში წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა ვანის მონასტრის ილუმენი სვიმონი (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს.1514, ფ. 45, 152). ამავე პერიოდში, 1840 წელს, რამდენიმე თვე მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ნიჟარაძე) (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1808, ფ. 161).

¹ პირველად ეს წარწერა გამოაქვეყნა მ. გოგსაძემ წიგნში: „ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან“, თბ., 1948, გვ.47

ილუმენი სვიმონი იყო იმერელი თავადი (ლორთქიფანიძე), დაბადებული 1777 წელს. სასულიერო სწავლა-განათლება მიღებული ჰქონდა ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში. მორჩილება გაატარა საირმის მონასტერში. 1800 წელს აღიკვეცა მონაზვნად: 1804 წ.-დან მღვდელ-მონაზონია; 1814 წ.-დან ილუმენი და ვანის მონასტრის წინამძღვარი, გელათის მონასტრის წინამძღვრობა დაევა 1838 წლის 13 სექტემბრიდან და ფაქტობრივად განაგებდა 1842 წლის 7 იანვრამდე (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1945, ფ. 4, 5, ს. 2136, ფ. 15, 16, ს. 4352, ფ. 24). გარდაიცვალა 1847 წლის მარტში (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 3766, ფ. 6).

1842 წ. იანვრიდან (დანიშვნით 1841 წლის 6 დეკემბრიდან) 1844 წ. ივნისამდე გელათის მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ექვთიმე (წულუკიძე). იგი დაბადებული იყო 1792 წელს. სასულიერო განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ნიკორწმინდაში არქიეპისკოპოს სოფრონიოსთან. მონაზვნად აღკვეცეს ჭელიშის მონასტერში. 1821 წლიდან ილუმენი და კაცხის მონასტრის წინამძღვარია. 1840 წლის 10 ოქტომბრიდან 1841 წლის 6 დეკემბრამდე იმერეთის ეპარქიის მმართველის მოვალეობას ასრულებდა არქიეპისკოპოს სოფრონიოსის ავადმყოფობის გამო. 1841 წლის 6 დეკემბრიდან არქიმანდრიტი ექვთიმე დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვრად (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 2163, ფ. 7, 8, ს. 1930, ფ. 42). 1844 წლის 29 ივნისს აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა გურიის ეპარქიის მმართველად (1844-1853 წწ.). 1853-1856 წლებში კი, გარდაცვალებამდე, იმერეთის ეპისკოპოსი იყო (E.K., История грузинской церкви и Экзархата, 1901: 72).

1844 წლის ივნის-დეკემბერში მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 2808, ფ. 10).

1845 წლის დეკემბრიდან გელათის მონასტრის წინამძღვრად დაამტკიცეს არქიმანდრიტი სვიმონი (წულუკიძე). დაბადებული იყო 1778 წელს. სასულიერო განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ნიკორწმინდაში არქიეპისკოპოს სოფრონიოსთან. 1811 წლიდან ილუმენია და ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი (1811-1827). 1812 წლიდან არქიმანდრიტია, 1823-1826 წლებში – ვაკის ოლქის

საეკლესიო ქონების მმართველი. 1826 წელს დააჯილდოვეს წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1827-1845 წლებში იმერეთის საეკლესიო შემოსავლის ხაზინადარია. 1845 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია. 1845 წლის დეკემბრიდან 1852 წლის 26 აგვისტომდე (გარდაცვალებამდე) (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 5038, ფ. 4, ს. 5104, ფ. 3), როგორც წინამძღვარი განაგებდა გელათის მონასტერს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 4279, ფ. 67, 68). მისი საფლავის ქვაზე გელათის ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარში ასეთი ეპიტაფიაა: „აქა განისვენებს მაღალღირსი არქიმანდრიტი და კავალერი სვიმონ. ტომით თავადი წულუკიძე 68 წლის, 8 წელს გამგებელი დიდის მონასტრის გელათის. ხოლო ფიქალი ესე დავსდეთ სახსოვრად მეგობრობისა მისისა მეგრელიის თავადმა დადიანმა დავით“.

არქიმანდრიტ სვიმონის დროს გელათის მონასტერში 1846-1849 წლებში ჩატარდა დიდი სარემონტო სამუშაოები, რომელზედაც სულ დაიხარჯა 5102 მან. 40 კაპ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 3605, ფ. 83). შესრულებულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა სპეციალური კომიტეტი არქიმანდრიტ სვიმონის თავმჯდომარეობით. შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: გადაიხურა წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო, შეიღება ეკლესიების და სხვა შენობათა სახურავები. მოავარაყეს წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაკეთდა მოაჯირი და ფანჯრები, ღვთისმშობლის შობის ტაძარში გადაღებეს კანკელის კარები. შეკეთდა დავით აღმაშენებლის საფლავის სამლოცველო, მონასტრის გალავანი, მთავარი შესასვლელი და საწინამძღვრო სახლი (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 3605, ფ. 78, 89, 119).

1852 წლის სექტემბრიდან 1853 წლის აგვისტომდე გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი იოანე (იოსელიანი). იგი დაბადებული იყო 1787 წელს, აღიზარდა შიო-მღვიმის უდაბნოში. დიაკვნად ეკურთხა 1813 წელს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერში, 1819 წლიდან მღვდელ-მონაზონია, 1831 წლიდან ილუმენია. 1828 წლიდან 1835 წლამდე თბილისის სასულიერო სემინარიის ეკონომოსია. 1838 წელს დააჯილდოვეს წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1842 წლიდან არქიმანდრიტია. 1846 წლის

მაისიდან ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია, საიდანაც გადმოიყვანეს გელათის მონასტრის წინამძღვრად, აქედან კი გურიის ეპარქიის მმართველად (1853-1858). გარდაიცვალა 1867 წელს, დაკრძალულია გელათის მონასტრის დიდ ტაძარში (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 5259, ფ. 5).

1853 წლის აგვისტოდან 1853 წლის ნოემბრამდე გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა ილუმენი იოსაფეტი (ფურცელაძე) (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 5104, ფ. 6).

1853 წლის ნოემბრიდან გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი თეოფანე (თეოფანე ვახუშტის ძე გაბუნია). იგი დაბადებული იყო 1809 წელს. სასულიერო განათლება მიიღო ცაგერის მონასტერში. 1825 წელს აღიკვეცა ბერად, იმავე წელს ეკურთხა ბერ-დიაკონად. მონაწილეობდა სამეგრელოს საეკლესიო ქონების პირველ აღწერაში, როგორც მდივანი. 1827-1833 წლებში ქრისტიანობას ქადაგებდა სადადიანო სვანეთში, სადაც მოაქცია 950 სული წარმართი. 1833 წელს ეკურთხა მღვდელ-მონაზვნად და განაწესეს აფხაზეთში, როგორც ოსეთის სასულიერო კომისიის წევრი, სადაც ქადაგებით მოაქცია 5572 სული. 1841 წელს, როგორც აფხაზეთის მილიციის წევრი, მონაწილეობდა ჩერქეზთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1842-1846 წლებში ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სასულიერო მმართველობას, სადაც ააგო 4 ახალი ეკლესია და ქრისტიანობაზე მოაქცია 2413 აფხაზი. 1842 წლიდან ილუმენია, 1845 წელს დააჯილდოვეს გულსაკიდი ოქროს ჯვრით. 1846 წლიდან არქიმანდრიტია. ამავე წელს მოახდინა სამურზაყანოს საეკლესიო ქონების აღწერა და მოაქცია 256 სული წარმართი. 1848 წლიდან ცაგერის მონასტრის წინამძღვარია. 1853 წლის ნოემბრიდან 1854 წლის მარტამდე გელათის მონასტრის წინამძღვარია, საიდანაც გადაიყვანეს სამეგრელოს ეპისკოპოსად. გარდაიცვალა 1859 წლის პირველ ივნისს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 5300, ფ. 11, 14, 15, 16).

1854 წლის მარტიდან გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი გაბრიელი (ტუსკია). დაბადებული იყო 1800 წელს, სასულიერო აღზრდა-განათლება მიიღო გურიაში, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში, აქვე აღიკვეცა ბერად 1815 წლიდან ბერ-

დიაკონად. 1826 წლიდან მღვდელმონაზონი, 1830 წლიდან ამავე მონასტრის წინამძღვარია, 1836 წლიდან ილუმენია, 1842 წლიდან ჯუმათის მონასტრის წინამძღვარია, 1848 წლიდან არქიმანდრიტია, 1851 წლიდან გურიის ეპარქიის მონასტერთა ბლაღოჩინია, 1852 წელს დაჯილდოებულ იქნა წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით, 1854 წლის 13 დეკემბრიდან დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვრად. აქედან კი 1859 წლის 25 მარტს გადაიყვანეს გურიის ეპარქიის მმართველად, სადაც გარდაიცვალა 1881 წლის 11 სექტემბერს (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 5960, ფ. 85, 86).

არქიმანდრიტ გაბრიელის გელათში მოღვაწეობის დროს. 1854-1856 წლებში, აქ ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, მთლიანად გადაიღება მონასტრის ეკლესია-ნაგებობათა სახურავები (ქცა, ფ. 21 ან.1, ს. 5492, ფ. 1, 27).

1859 წლის 15 აპრილიდან 1860 წლის 30 ივნისამდე გელათის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნიჟარაძე), დაბადებული იყო 1800 წელს. სწავლა-განათლება მიიღო ჯრუჭის მონასტერში, აქვე აღიკვეცა ბერად 1817 წელს, 1832 წლიდან გელათშია. ის 1849-1853 წლებში იყო კაცხის, 1853-1856 წლებში ჭელიშის, 1856-1859 წლებში ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი, საიდანაც გადაიყვანეს გელათში, გელათის მონასტერში მისი წინამძღვრობისას 1859 წლის 19 მაისს მოხდა დიდი უბედურება – უცნობი პირების მიერ გამარცხულ იქნა ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ხატი. მართალია, ამ საქმეში წინამძღვარი უდანაშაულოდ ცნეს, მაგრამ მისი მონასტრიდან გადაყვანა დაჩქარდა – გადაყვანილ იქნა კაცხის მონასტრის წინამძღვრად (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 8059, ფ. 222, 223, ს. 7677).

1860 წლის ივნისიდან გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი ონიფანტე (ნადირაძე). დაბადებული იყო 1817 წელს, სასულიერო განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1842 წლიდან დიაკონია, 1844 წლიდან – მღვდელი. 1855 წელს აღიკვეცა მონაზვნად, 1856-1859 წლებში ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია, სადაც მიიღო არქიმანდრიტის ხარისხი, 1860-1865 წლებში, გარდაცვალებამდე გელათის მონასტრის წინამძღვარია (ქცა, ფ. 21, ან.1, ს.8059, ფ. 218, 219).

არქიმანდრიტ ონიფანტეს წინამძღვრობისას გელათის მონასტერში ჩატარდა დიდი სარემონტო-აღმშენებლობითი სამუშაოები. კერძოდ, 1860 წელს დიდ ტაძარში დააგეს ახალი ქვის იატაკი. 1861 წელს ხელახლა გადაიღება მონასტრის ეკლესია-ნაგებობების სახურავი, 1863-1866 წლებში დიდ ტაძარში გაკეთდა ქვის ახალი კანკელი და შეიცვალა ფანჯრები (ქცა, ფ. 21, ან.1, ს.7271, ფ.1, ს.353, ფ. 8, ს. 8931, ფ.21; სცა, ფ.489, ან.1 ს.22280, ფ.1; ქ.ი.მ. ფ. 6466, ს.166, 173, 159, 209, 223, 382, 162; ფ. 6861, ს. 56).

1865 წლის დეკემბრიდან 1874 წლის დეკემბრამდე გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი ბესარიონი (ბესარიონ კაციას ძე დადიანი). დაიბადა 1820 წელს. სასულიერო აღზრდა-განათლება მიიღო მარტვილის მონასტერში. მორჩილება გაატარა ჯრუჭის მონასტერში, ბერად აღიკვეცა 1849 წელს, 1859 წლიდან არქიმანდრიტია, 1860-1865 წლებში ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარია, საიდანაც გადაიყვანეს გელათის მონასტერში, 1869 წელს დაჯილდოებულ იქნა წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, 1871 წელს აირჩიეს უწმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის წევრად, 1853 წელს დააჯილდოვეს წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით. გელათიდან 1874 წელს გადაიყვანეს სამეგრელოს ეპარქიის მმართველად (ვიკარეპისკოპოსად), შემდეგში იყო ალავერდის ეპისკოპოსი, ბოლოს კი, გარდაცვალებამდე, 1898-1900 წლებში იმერეთის ეპარქიის მმართველი (ქცა, ფ. 21, ან.1, ს.14379, ფ.10, 11).

დროებით, 1871 წლის 1 ნოემბრიდან 1872 წლის 14 ივნისამდე გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე (კანდელაკი) (ქცა, ფ. 21 ან.1, ს. 24119, ფ.13, 14), ხოლო 1872-1875 წლებში – მღვდელ-მონაზონი დანიელი (კუჭაიძე) (ქცა, ფ. 21 ან.1, ს.11822, ფ.5, 6, ს.13302, ფ. 52).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გოგსაძე 1948 – გოგსაძე მ., ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბილისი, 1948.

კეზევაძე... 2018 – კეზევაძე მ., ტყეშელაშვილი ლ., გელათი ქართველ წმინდანთა სავანე. ქუთაისი, 2018.

Е.К. 1901 – Е.К., История грузинской церкви и Экзархата. Тиф., 1901.

ივერია 1904 – გაზეთი „ივერია“, 1904, №224, 29.09. გვ. 3.

სცა – საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 489, ან.1, ს. 15449, ფ.10.

ქცა – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 21, ან. 1.

მაკა სალია

**ქართული სამზარეულო,
როგორც ეროვნული იდენტობის
განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი
მუჰაჯირ ქართველებში**

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ერის – ეთნიკური ერთობის – მახასიათებლად მიიჩნევა: ენა, რელიგია, ისტორიული მემკვიდრეობა, ცხოვრების წესი, ტრადიციები, ტანსაცმელი, ცეკვა-სიმღერები, ეროვნული კერძები... ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფა-ცხოვრებაში შემორჩენილი ქართული სამზარეულო და მასთან დაკავშირებული ლექსემები თუ სიტყვაფორმები წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ქართული სამზარეულო საკმაოდ მდიდარია, გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ვიზუალურად, დახვეწილი გემოვნებით... ნაირგვარობა შეინიშნება კუთხეების მიხედვით, რომელიც ქმნის ერთ მთლიანობას და იგი ქართული კულტურის ნაწილი ხდება. დროის ცვლილებასთან ერთად იცვლებიან თაობები, გარემო. როგორ აისახება ეს ყველაფერი მუჰაჯირთა შთამომავლების ცხოვრებაზე, რა შემორჩათ, რისი შენარჩუნება შეძლეს? საყურადღებოა, როგორია მათი დამოკიდებულება ქართული სამზარეულოს, ქართული კულტურის მიმართ? საინტერესოა იმ ქართველთა თვითაღქმა, რომლებიც საუკუნე-ნახევარზე მეტია, რაც ისტორიული სამშობლოდან შორს აგრძელებენ ცხოვრებას. ამ სიშორის მიზეზი კი ყველასათვის ცნობილი

ტრაგედიაა, რომელსაც მუჰაჯირობა ჰქვია. მუჰაჯირობა, როგორც საერთო კავკასიური მოვლენა, მეცნიერთა დიდი ინტერესის სფეროა. მუჰაჯირობის ისტორიაზე, მუჰაჯირ ქართველთა იდენტობაზე ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს (მათ შორის აღსანიშნავია ტარიელ ფუტკარაძის, როლანდ თოფჩიშვილის, როზეტა გუჯეჯიანის, ინგა ლუტიძის და სხვათა კვლევები); ბევრი მათგანი ჩვენს სამაგიდო წიგნად ქცეულა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა მონოგრაფია, რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ – ფარგლებშია მომზადებული, რომლის ხელმძღვანელიც პროფ. ტარიელ ფუტკარაძე იყო (ფუტკარაძე, ... 2022). წინამდებარე სტატია აქ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით დაიწერა. მრავალმხრივ მნიშვნელოვან ამ მონოგრაფიაში უხვადაა წარმოდგენილი ქართულ სამხარეულოსთან, კერძებთან დაკავშირებული მასალა. მთქმელებზე დაკვირვებით, ფასდაუდებელი ლექსემებისა და სიტყვაფორმების მიღმა სხვა საკითხებიც იკვეთება. კერძოდ, ქართული სამხარეო, ეროვნული კერძები, რომელიც იდენტობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული.

ჩვენი ინფორმატორები უძველეს ეროვნულ კერძებად მიიჩნევენ ძირითადად მცენარეულ კერძებს – სხვადასხვა მხალეულს, ლობიოსგან დამზადებულ კერძებს და რძის პროდუქტებს. ამისი მთავარი მიზეზი არის ის გარემო, კლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა, სადაც უწევდათ მათ წინაპრებს ყოფა-ცხოვრება და მარტივად მოჰყავდათ ლობიო, სიმინდი... გასათვალისწინებელია სოციალური მდგომარეობა და ასევე რელიგიური შეხედულებანი. მთქმელები ცალსახად აღნიშნავენ, რომ „გურჯუჯა საჭმელი ხორცი-მორცი არ არი, გურჯიჯა საჭმელი ენ დიდი ფხალია; ლობია, კარტოფაი. რასაც აკეთებდენ, თოხნიდნენ, დათესავდნენ, რაც მოიღოდა, იმას ჭამდენ...“ ლაზი რესპონდენტის ახსნით, „ლაზეფეში გიარეფე (საჭმელი – მ.ს.) აინი გურჯეფეშისთერი რენ...

მუჰაჯირი ლაზეფე ხორცი ვა ჭკომუფან; ხორცი ჩქინუმენი ლუყუ (მხალი – მ.ს.) რენ. სინ ხორცი ჭკომი, მან ლუყუ პჭკომა... ხორცი ჩქინ კურბანიშენ კურბანიშან ანჭა ჭკომუპტ, ია მიბალუნან. ამა ლუყუ კატა ჩხერის მინონან! დიდი ლაზისტანის, მემლექეთის ნა ვორტით ორაფეს, ექ ზღუაშა, ღალეფეშა ვიტით დო ჩხომი ფჰოფუფტით, ექონ ტუ ჩხომი“. ლაზი მთქმელი გვიხსნის, რომ მათი წინაპრები ეწეოდნენ მეთევზეობას, მაგრამ მუჰაჯირი ლაზებისთვის თევზის ჭამა მიუღებელი გახდა: „მუჰაჯირიშა ნა იდეს ლაზეფექ ჩხომი ვაჭკომუფან დო მუშენი რენ, მა გიწვა...“. მისი გადმოცემით, მუჰაჯირობის პერიოდში, როდესაც მოდიოდნენ გემებით და იხოცებოდნენ გზაში შიმშილისგან, დახოცილებს ყრიდნენ ზღვაში თევზების საჭმელად... თევზებმა ჭამეს ჩვენი წინაპრების ხორციო და ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ ამბობენ მუჰაჯირი ლაზები უარს თევზეულზე.

შენიშნულია, რომ ესა თუ ის საქმიანობა ასახვას პოულობს მისი შემსრულებელი ხალხის მეტყველებაში. დუზჯეში, საქარიაში, ზოგადად თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში დასახლებული ქართველების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. ასევე, ზღვისპირეთისა და დიდი თუ მცირე მდინარეების პირას მცხოვრები ლაზები თუ სხვა ქართველები მისდევდნენ მეთევზეობას. მიუთითებენ, რომ მთიანი აჭარიდან წამოსული მუჰაჯირები შეგნებულად ირჩევდნენ ისეთ ადგილებს, რომლებიც მათ საქართველოს მშობლიურ მიწა-წყალს მოაგონებდათ. მთქმელი გვიხსნის; „ჩვენ ცარიერი არ მოვსულვართ; ჩუენ ქართული საჭმელები მოვიტანეთ, ქართული სიმღერები მოვიტანეთ, ვსამობდით, გურჯუჯე ვლაპარაკობდითო“ – გვიყვებიან და თვალწინ იშლება, თუ როგორ იმკვიდრებდა თავს უცხო მიწაზე ქართული კულტურა, ქართული ტრადიციები...

„ქინძი მარტვეი ჩვენ ვიცით, სხვებმა ქინძი არ უყვარან, არ იციან... ქართული საჭმელები ქინძით გაკეთდებოდა... ჩვენს ბაღჩეში ქინძი ყოველთვის იყო“ – შენიშნავს მთქმელი. დღემდე ასეა: დუზჯეს რეგიონში, ასევე საქარიაში, ინეგოლში ქინძს მხოლოდ ქართულ ოჯახებში თუ შევხვდებით. ქართულ სამზარეულოში, ასევე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხალს/ფხალს: „სადაცა ბაღჩეში იყოს, ეზოში იყოს, ფხალს დეინახავ, ის უმფო გურჯუ იქნება“; „ფხალს

დევნახავთ, ვისით, რომ ის სახლი ქართულია და გულიც გახარებულიაო. „საცა ფხალს დეინახავ, ყველა (ოჯახი) გურჯულა“. „ქინძი, ფხალი თლა ქართულია... ჩვენია, ჩვენ მევიტანეთ.“ მართლაც, ქართულ ეზოებში ხშირია ფხალი არა მარტო ბოსტანში, არამედ სახლის წინ, თვალსაჩინო ადგილას. როგორც თავად აღნიშნავენ, ესეც ერთგვარი ეთნიკური ნიშანი იყო სხვა ქვეყანაში გადმოხვეწილი ქართველისთვის. იმავე აზრს გვიდასტურებენ საქარიელი ქართველები; ფხალს მათთვისაც გარკვეული ეთნიკური დატვირთვა აქვს. აღსანიშნავია, რომ ფხალი, რომელსაც ლაზურში ლუყუ ლექსემით აღნიშნავენ, ერთ-ერთი მთავარი კერძიკაა და იმავე დატვირთვის მცენარეა, როგორადაც მას აჭარელი მუჰაჯირები ახასიათებენ: „ლუყუ ჩქუნი რენ“; „ლაზი რენქო, ლუყუ გიშქუნო, შქინი ლუყუ... ენ კაი ლუყუ რენ“ – გვეუბნება ლაზი ინფორმატორი.

„ჩუენი დიდვანები მომაგონდებიან, ანე-ბაბაი... ბიბი – თლა გურჯუჯე ლაპაიკობდნენ, თურქე ჰიჩ არ ისოდნენ... ფიქრობ, რაფერ იყო მათი ცხოვრება... ქართულად ლაპაიკი მომინდება, რაღასას ვიტყვი... ჭადი მომენატრა, ვიტყვი... ან ქალი გააკეთებს, ან გევალ და ვიყიდი... სოფელშიც არის ჭადი... ჩავფუნჩხავ იოგურტში და ჩემი თავი იქითაა (ანუ ფიქრით, გონებით უბრუნდება წარსულს...). ქალი გურჯუ არ იყოს, ფხალობიას არ გააკეთებს, არ უყვარან, არ ისიან... ჩუენ გვინდა, გვინდა იმიტომა, რომ გვიყვარან, რატომ? იმიტომა ჩვენია – მომეშვეა და სხუა რამეს ვჭამ, ამა ის სხვაა...“

ყურადღება მივაქციოთ მთქმელის მსჯელობას: „ხუთი შვილი გავზარდე, ფუკარა ვიყავით... დილა ადრე მივდიოდით, ყანაში ჭადი მიქვონდა, მობრუნების ხანს პურის ფაფას გავაკეთებდი, შუაში იაღის ვუზამდი, ჭამდით.... ყველამ იკითხა (ისწავლა... ანუ განათლება მიიღო – მ.ს.) ბაღვებმა, ყველა კარგადაა, ამა, რომ მოვლიან, ერთი ჭადი ჭამოთ, იადა, ფაფა გააკეთეთო, იტყვიან... არ გააგდეს გურჯობა.“ ამ საუბარში მთავარი სათქმელი ისაა, რომ „მათ“ არ გააგდეს (=არ დაივიწყეს) გურჯობა. ამ გურჯობის იერსახის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა მათთვის ქართულ კერძებთან დაბრუნებაა...

„რასხას კაკლი და ქინძის უქნავ, ყველა ჩვენია“ (ანუ ქართულიაო) – გვიხსნის ერთ-ერთი ინფორმატორი.

დასტურდება **საჰმელი** ფონეტიკური ვარიანტებით: **სეჰმელი** // **საჩმელი** // **სეჩმელი**. შესიტყვებები: გურჯუ სეჰმელი, გურჯულეფე სეჩმელეფი, ჩუენებური საჰმელები. ხშირად ადგილზეც ხდება მითითება: ამასიას გურჯუ საჰმელები, სინოპას გურჯულეფე საჰმელები... საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, ზოგ შემთხვევაში, მთქმელთა მეხსიერებაში შემორჩენილია ესა თუ ის სიტყვა, მაგრამ მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია: გვხვდება ასეთი შესიტყვებაც: **მომემშია მინდა**, სადაც **მომემშია** „საჰმლის“ მნიშვნელობით არის გამოყენებული.

მთქმელი ვერ მეტყველებს ქართულად, მის მეხსიერებაში რამდენიმე ქართული სიტყვაა შემორჩენილი და მისი საშუალებით ცდილობს წინადადების აგებას. განმარტებისას ვხვდებით, რომ ზუსტად არ ახსოვს სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა იცის, რომ **მომემშია** საჰმელთან, ჭამასთან არის დაკავშირებული და ამ ფორმის წინადადებას ვაფიქსირებთ. შდრ.: მე მომემშ-ი-ა, შენ მოგემშია, მას მოემშია (მე მემშევა, მე მომემშია); მე მომემშია > მე მემემშია (ჩელები).

მთქმელთა განმარტებით, დილის საჰმელი არის **სადილი**, შუადღის საჰმელი – **ხეესი**, საღამოსი – **ვახშამი**. შდრ.: ხემსი „მცირედი რამე ჭამადი“ (საბა 1993); ვახშამი – „მწუხრი საჰმელი გლეხური; საღამოს საჰმელი“ (საბა 1991). ქართული კერძების დასახელებას იწყებენ ასე: ჭადი, ფხალი, ლობიო... : „პურ უაცხოფ, სიმიდის ჭადეი უაცხოფ, კეციჭადი, ბორეგი // ბურედი ყერიშტას უაკეთეფთ. მემრე ფხალი, ლობია...“

ჭადი – „მჭადი“. დაკარგულია თავკიდური მ თანხმოვანი. შდრ.: ჟავე < მჟავე; სხალი < მსხალი: „მჭადისაც გამოაცხოზ. ადრე კეცში ვაცხოზდით. კეცი ვეტყვით. ფქვილი უნდა მოზილონა, მაილი ჩაყარონა, გინდა პაწაი მაწონი ჩაასხი. პაწაი ყარბონათი ჩაყარე. სიმინდი ჭადი დააკარი. დაფუნჩხე, ჭამე. დასტურდება როგორც ჭადი, ასევე შესიტყვება – სიმინდი ჭადი. საყურადღებოა, რომ მჭადის ცხოზასთან დაკავშირებულია ერთგვარი რიტუალი, რომელსაც მთქმელები ასე გვიხსნიან: ამ ჭად კეცზე დააკრავდნენ, ასე-ისე უქნევდნენ“ – მთქმელი ხელის მოძრაობით მიგვანიშნებს ჯვრის ფორმაზე, რომელსაც მჭადზე გამოსახავდნენ. იმავეს გვიდასტურებს ახალგაზრდა ლაზი: ახლაც ასე ვაკეთებთო,

თუმცა ზოგი ამას ვერანაირ ახსნას ვერ უძებნის, ასე ყოფილა და დარჩა დღემდე... ზოგმა იცის დანამდვილებით, რომ ეს ჯვართანაა დაკავშირებული... მუსლიმები ვართ, ამა მაინს ვინახავთ ამ ადათსო.

ლაზურში ცნობილია **(მ)ჭკიდი** (ზღრ.: მეგრ. ჭკიდი) „მჭადი“ და **ქაფჩიონი მჭკიდი**. ლაზ.: მჭკიდი მურგვალა ხომ იყვენ, ჟინ დო ჟინ ემუს ქაგეჟოდუმე ქაფჩაფე ქი, მჟორას ნანგაფინეტას... „მჭადს რომ მრგვალი ფორმა აქვს (კეცზე დადებულ მჭადის ცომს გულისხმობს - მ.ს.) ზემოდან დაალაგებ ქაფშიებს, მზის ფორმით“...

პურ(რ)ი – „წინ-წინ პურებსაც ვიჯებოდით... წინწინ წელზე პურები იყო. ახლა არ არის. თესლი გამოცვალეს. ახლა სოფელები აღარ ვრგავთ პურსა“.

ღომი – მთქმელები შენიშნავენ, რომ მათ წინაპრებს ღომიც მოჰყავდათ: „ნენეს სოფელში წევდოდით. იქ ღომი თესავდენ. ღომის სუთლი („სუთ“ რძის აღმნიშვნელი სიტყვაა თურქულში). „სუთლიანი ღომი ანუ რძიანი, რძეში მოხარშული ღომი (?) ვჭამდით. ფხალის თესლი იცი? აი, ისეა ღომის თესლი, წვიტი-წვიტი. ახლა ვინმემ არ იჯება ღომი“.

არჩევენ **ლობიო/ლობიეს** სხვადასხვა ჯიშს. მათი სახელებია: თეთრი ლობიე, შავი ლობიე, წუანე ლობიო // იეშილ (თურქ.; იგივე მწვანე) ლობია, ჭრელა ლობიო, კირჩხი ლობია, ხეშერაის ლობიო, ჭყინტ ლობია, იგივე ტყლაპ ლობია (იხ. ქვემოთ მალახთოს მომზადება), მოთრეულად // მოთრეულა... როგორც ჩანს, დაყოფა ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

კირჩხი/კირჩხლი ლობიაი – გამხმარი ლობიო. „აასხონა, გაახმონა, მემრე ზამთარში უნდა ქნონა. გინდა თოკზე აასხი, გინდა პარკები გაფინე. ზოგს უყვარან კირჩხლი ლობიაი, ზოგსა არ უყვარან.“

მოთრეულად // მოთრეულა – მთქმელთა ახსნით, მოთრეულად არის შემოდგომის მიწურულს აღებული ლობიო, რომელიც გახმობას ვერ ასწრებს ზამთრის გამო. მათივე განმარტებით, ეს არის ძალით, ძლივს მოყვანილი, „მოთრეული“ ლობიო. საანალიზო სიტყვა სემანტიკურად და მორფოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს **თრევ-ა** (-> მოთრევა -> წათრევა) სახელთან.

მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაში შემორჩენილია ლობიოსგან დამზადებული ქართული კერძების

აღმნიშვნელი შემდეგი სახელები: **ფხალობიო** - ქართული კერძია, რომელიც თურქეთის ყველა ქართულ ოჯახში მზადდება და მისი სახელიც ყველამ იცის. ეს არის ფხალიანი ლობიო და კომპოზიტიც ფხალი და ლობიო სიტყვების შეერთებით არის მიღებული. „ფხალი გავაკეთებთ... ქინძი ვუზამთ. ქინძი გურჯებმა იციან, სხვა მიღეთმა არ იციან. ჩერქეზებმაც იციან. ნიორი, ქინძი დანაყონა. ჯამი იყოს ლამაზი ჯამი. ჯამი ხისგან გაკეთებული. ჭალი ქვა იქნება, იმით დანაყავ. პაწაი ბიბერი მოაყრი, აჯი... ჩასახამ შიგი. ამეილებ, დაჯექ, ჭამებ.“ „წინ-წინ უჭამდით ლობიას, ფხალობიას, ამოლესილს“. ან კიდევ: „ფხალი უნდა მოხარშო, სიმინდი ფქვილი უნდა ამოურიო, თუ ტკიბილი გინდა, რძე უნდა მოურთო... პაწაი კაკაი უნდა ჩააყარონა, დაანაყონა, ნიორიც უნდა დაანაყონა, ფხალობია ზამთარში ძალიან გერმიელა.“

მაღახტო – აჭარლები მაღახტოს ეუბნებიან, ჩუენ (ჩურუქსუ) – პარკი ლობიას: „ლობიათი მაღახტოს გააკეთაუ. კაკალ ჩაატეხაუ შია. მემრე მოხარკაუ პრასაით, მაკიდოთი.“ მაღახტო – ლობიოს შეჭამადი დადასტურებულია აჭარულში (ნიჟარაძე 1971:243; დლონტი 1984:341). ტერმინი, რა თქმა უნდა, ქართულია, თუმცა მისი ეტიმოლოგია ჩვენთვის ნათელი არ არის. მა- წინსართით ნაწარმოები სხვა სიტყვებიც გვაქვს ქართულში; შდრ.: მაწონი (მეგრ. მარწენი). **მაღახტო/მაღახტოც** ერთ-ერთი პოპულარული, ყველა ქართველისთვის ცნობილი ქართული კერძია. ჭყანტ ლობიას დაეჩეხავთ, პაწაი კაკალ შუურევთ უმფო გემრიელი იქნება, ლობიას დაეტეხავთ ლამაზად, გავრეცხავთ, წყალ დავადგამ, ი აწყალი ადუღდება, ლობიას ჩავყრით შიგ, ის კაარგა მეიხარშოს, ონანსონრა ის, რომ მეიხარშოს, მაილსაც ჩავაყრით, ი მემრე რას ვიქთ, ქინძი, რეიჰანი მოვკრეფ, მაკიდოს მოვკრეფ, პრასას მოვკრეფ... ამა სიმინდი ჭადს გამოაცხოფ, პური არ მოუხდება იმას. სიმინდი ჭადი, იმას ლამაზად ჯამში დავნაყავთ, ლამაზად ჩავანანიებთ, ის რომ მეიხარშვის, კარქა იმას ჩავასხით, ია ქილაში ჩავასხამთ, ამფერ გამოურევთ მაწონივით რენგი თეთრად მეიწველება, იმას გამოურევთ, მოურევთ, გავჭეჭყავთ, გავლესავთ, სიმინდ ჭადს გამოურევთ იმას ჩავდევთ თეფში, სოფრაზე, მასაზე იმას დავდებთ, მაწონს მოვიტანთ, დავდებთ, ბული ადინდება, ჩავპუნჭყავთ, ჩავწურავთ.

იემილ ლობიოდან ვაკეთებთ. ზამთარშიც, ზამთარშიც ლობიას მოვკრევთ, კაკალიანი რო გვაქ, პაწაი ტყლაპილობიას, ამას გავტეხ, გავრეცხავ, ავასხავთ, დავკიდავთ, გაშრება, გახმება, იმას ზამთარში პაწაი, კაკაი ლობია შუურევთ, კაკაი ლობიას, ის კარქა მეიხარშვის, იმასაც მარტო, რეიჰანიანი გავაკეთებთ.

ფხალი – არჩევენ თეთრ ფხალსა და შავ ფხალს: „თეთრი ფხალის დავრგავთ. შავი ფხალიც ვიცით. ვერ ვიგნავ ახლა“.

ასევე, იციან **ჯინქარფხალი** // **ჭინქარფხალი** – ჭინჭრისგან დამზადებული ფხალი.

ჭინქარფხალი – ჭინჭრის ფხალი; სახელი გაკომპოზიტებულია. არც ჯ/ჭ თანხმოვანთმონაცვლეობაა უცხო ქართულისთვის.

ტექსტებში ხშირად ვხვდებით შესიტყვებას – **მოდრეჯილი ფხალი. მოდრეჯილი ფხალი**, ჩვენი აზრით, მოგლეჯილი, იგივე მოჭრილი ფხალია. შდრ. მორეგული ფხალი...

მორეგულილი ფხალი – ფხალი მოხარშონა, თენჯერეში უნდა ჩაყრა. კარქა რო მოიხარშუის, მემრე იმა წუენინა გუდუწურო, წყალინა მუუცალონა, სხუა წყალინა დაასხონა. მემრე იდულოს, მემრე მუუცალონა, თემიზი წყალინა დაასხა... კარქა რო მოიხარშის, ქინძინა ურთო, ნიორი... მორეგუნო ფქული უნა ურთო პაწაი სიმინდის ფქილი, მემრე სუნელეზიცა ურთო, ქინძი ნიორი ყორაუე... მორეგვილთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ახსნა: „მარაგვს ვეტყვით, იმის ზეით კარქათ გავლესავთ ფხალს. მოსარეგველი ტახტაიები გვაქ, იმით კარქა მოვჩეჩქავთ“... მარაგვი თურქებმა არ იციან, არც მალახთო, არც ფხალი. აგინი ჰეფთენ გურჯებისი, ჩვენი საქმელებია!“ მაშასადამე, მარაგვი არის ჭურჭლეული, დანიშნულების ნივთი, დაფა, რომელზედაც ამუშავებენ, სრესენ ფხალის ფოთლებს გარკვეული კერძისთვის. ამგვარად დამუშავებულ ფხალს მორეგვილ ფხალს ეძახიან.

ყორაუე // **ყორაო** – „ჟაუე ტყემლიდან არი.“ კორაო // ყორაო „ტყემლის საწებელია“: „აადულოთნა, ჩაყარონა, ტყემალი. გაწუროთნა, ჩორბაში ჩაასხანა იმის წვენი და გაწურონა; გასქელდება, გაშავდება, გახდება ყორაო. პაწაი თემიზი ნაცარი უნდა აწიონა, ჩაასხმენ იმას. კორაოს ჩივოდნენ დიდვანები. მე არ ვილაპააკე. დამავიწყდა“ –

ამბოზს ერთი მთქმელი, რომელსაც ახსოვს ეს ლექსემა, მაგრამ ვერ იხსენებს მის მნიშვნელობას. მეორე დანამდვილებით ამბობს, რომ ეს ტყემლის საწებელაა. ზემოაჭარულში დასტურდება ყორავო//ყარაო – „ტყემლის საწებელი, კვაწარახი“ (ღლონტი 1984: 613); ყორაო ამავე მნიშვნელობით გვაქვს ზემოიმერულში (იქვე)...

ლახანა//ლაჰანა – „დუღარე წყალში ჩავდებთ, ავადუღავთ, მემრე ბიბერის ვუქნავთ... ცოტა გათოვლდესნა, თოვლინა შაჰამონა ლახანამა, იმის მემრე ლამაზებ ქნა. მოხარშავ. ის წყალნი გადააჰნო. მოხარშვის წყალი წარე იქნება“. მთქმელი დაწვრილებით გვიხნის, რომ ლახანა თოვლის მერე მეტად გაგემრიელდება.

ჟავე „მჯავე“ – „ჩემა ნენეიმ იცოდა ჟავე“. მ სონორის დაკარგვასიტყვის თავში ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ქალაჯო//ქალაჯი – „ქალაჯო გურჯუ იემეკია; ჭადი და იალი უნდებია“. ქალადოში – დოს კონჩოლი, განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი (საბა 1991: 211); ქალაჯო (ზ. აჭარ.), ქალანცხო დოს შეჰამადია. იხ. ქალადოში (ღლონტი 1984: 559).

ფუნჩხოლია // ჩაფუნჩხული // ჩაფუნჩხვილა: „ჭადი ჩაფუნჩხვილა, მაწონი დაასხი ზეითა, დაჯექი, ჭამე. ფუნჩხოლია // ჩაფუნჩხული – მაწონში ჩაფშვნილი მჭადი. „მოგვწონა, ეს თამ გურჯუ იემექია; გემიელია, სუ ლამაზია“ – ასე გვიხსნის თურქულ-ქართულად ქართველი დიასახლისი; ტერმინი ფუნჩხოლია, იგივე ჩაფუნჩხული, ქართველურია და იგი ამავე მნიშვნელობით დასტურდება ქართული ენის დასავლურ კილოებსა (იმერ., გურ., აჭარ.) და მეგრულში: ფუჩხოლია//ფურჩხოლია//ფუნჩხოლია (რ//ნ სონორთა მონაცვლეობით). ამოსავალია **ფუჩხა** „ნამცეცი“, დანარჩენი ფორმები (ფუჩხოლია//ფურჩხოლია//ფუნჩხოლია) მისგანაა მიღებული. ცნობილია მიმღეობური ფორმები: ფუჩხოლი (მეგრ.) „დაფშვნა“, ფუჩხოლირი (მეგრ.) „დაფშვნილი“, ნაფუჩხოლა „ნაფშვნი“. ფუჩხოლია//ფურჩხოლია//ფუნჩხოლია ფორმებში ბოლოკიდური -ია კნინობითობის სუფიქსია.

ფაფა: სიმინდი ფაფა // ღომი, პურის ფაფა, ყურძენი ფაფა, ფიფინაი, „ყურძნის ფაფა – სიმინდის ფეკილისგან...

არც თხელი უნდა იყოს არც სქელი.“ როგორც ჩანს, ფაფის რამდენიმე სახეობას განარჩევენ ენობრივად: „ერთი ყურზნის ფაფა, ფექმეზი და იქითანე პურის ფაფა, სიმინდის ფაფაც იყო“. მთქმელთა განმარტებით, ყურზნის ფაფა და მისი თურქული ვარიანტი ფექმეზი, იგივე საქართველოში ცნობილი თათარა, ამავე მნიშვნელობის ფელამუშია: „-ნენეი ყურზენ აადულებდა და შეინახვიდა. ჩვენას ესე ვიქთ“. მარტივფუძიანი ფაფა, შესიტყვება ყურზნის ფაფა და თურქული ფექმეზი დუზჯელ ქართველთა მეტყველებაში თითქმის თანაბრად, პარალელურად გამოიყენება. ზოგი მთქმელის ახსნით, ბეთმეზი ზოგადად ხილის წვენია, დადუღებული თაფლივით სქელი და ტკბილი: „სხალ ზოგ ბათუმ გავყიდით, ზოგ ლეჩრად მოადუღებთ, ან ბეთმეზად დავწურავთ, ქლიავს გავახმობთ და ყაფსაფას გავაკეთებთ“ (ნიჟ.).

საყურადღებოა, რომ პურის ფაფას დღემდე სარიტუალო დანიშნულება აქვს. კერძოდ, ოჯახში გოგოს დაბადებისას საგანგებოდ ამზადებენ ფაფას პურის ფქვილისგან და სტუმრებს, სხვა ქართულ კერძებთან ერთად, ფაფით უმასპინძლებიან. ფაფა ყველას უნდა ერგოს... ამ რიტუალს **ფაფაია // ფაფობია // ფაფაზია** ჰქვია. ზოგი ამბობს, რომ ბიჭის დაბადებისას ბრინჯი უნდა მოიხარშოსო, ფაფა ბრინჯისგან უნდა დამზადდესო, ადრე ასე იყოო. ამჟამად კი, ახალდაბადებული გოგო იქნება თუ ბიჭი, პურის ფქვილის ფაფას ამზადებენ და ეს წესი დუზჯეს ქართულ ოჯახებში მტკიცედაა შემონახული. უფრო მეტიც, თურქებმაც ისწავლეს ჩვენგან და ისინიც აწყობენ ფაფობიასო, – შენიშნავენ მთქმელები. ეს ტრადიცია დღემდე დაცულია მთიან აჭარაში. ბუნებრივია, დუზჯელ ქართველებსაც სწორედ იქიდან შემორჩათ. ფაფა-ია, ფაფ-ობია, ფაფა-ობა წარმოქმნილი სახელებია.

ფია, ფიფინაი – დასტურდება საქარიელ მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაში. შდრ.: ფია, ფიფინაი – რძის ან პურის ფქვილის ფაფა (ბავშვის საჭმელი): „უძუძური ჩვილის შეჭამადი“ კოტაკი-ჩჩვილთ საჭმელი ფია“ (ნიჟ.); შდრ. საბა: ფია – რძის ფაფა, ბავშვის საჭმელია. შდრ. საბა: უძუძურის ჩჩვლის შეჭამადი.

კორკოტი – მიქმელები შენიშნავენ, რომ: „ჩვენები ბათომიდან რომ გამოსულან, მათი პილველაი საჭმელი კორკოტი ყოფილა“. კორკოტი ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებშიცაა დადასტურებული: კორკოტი (ქართლ., ქიზიყ.) „პურის მსხვილი მარცვლისგან შემზადებული კერძი; კანგაცლილი მარცვალი, მოხარშული რძეში ან წყალში; პურისპური, დარომილი ხორბლის შეჭამადი (ლლონტი 1984: 303); კორკოტი (რაჭ.) – დანაყილი პურის მარცვალი შდრ.: საბა, ქეგლ (ლლონტი 1984: 303). საყურადღებოა საანალიზო ლექსემის შემდეგი მნიშვნელობა: კორკოტაი (მოხ.) – მცენარეა. ნ. ბაღბა, კორკოტინა; ქვ.იმერ. – დონგის ფხალი; რაჭ. – მოლოქა ფხალი (მაყაშვილი 1991:15).

შერბეთი – ტკბილი სასმელი, შარბათი: „მახარობელ მიესალმებიან და თითო სტიქან შერბეთ დააღვებიენ“ (ნიჟ.).

კიტრი, ტყემაი, ხახვი, პრასა, ნიორი, რეჰანი, პიტნა – ამათგან საჭმელები ჩემით-ჩემითი (თურქ. Çeşitli „მრავალგვარი“) იქნება;

ჭიმური, წოწოლა // წოწოლაი (კვაწარახი) – „მწნილი“; ზოგი ინფორმატორის განმარტებით, ჭარხლის ფოთლებისგან დამზადებული კერძია. წოწონაი (ლ//ნ მონაცვლეობით) ზოგისთვის ტყემლის საწებელია. ჭიმური – „იაღში მოვხრაკავთ ჭადის ყველის და ვჭამთ; ჭიმურის ვებნევით; სიმინდის ფქვილისა და ზროხის იაღისგან ვაკეთებთ“... **ჭიმბური** დადასტურებულია მესხურში: „მშრალი საჭმელია, ერბოში მოხრაკული პურის ან ჭადის ნაფხენი. ანდაზა: არა მშურს მჭადი ჭიმბურისათვისაო“ (ლლონტი 1984: 722); **ჭიმური** (ქიზიყ., მოზ., ქსნის ხეობა) – ხავიწივით საჭმელია; ღორის ქონში მოხალული სიმინდის ფქვილი... (იქვე). ლაზური **ჭიმბური** – საჭმელი (თანდილავა 2013: 861).

ხავიწა – „ხავიწას რაფერ გავაკეთებთ? მაწონი და სიმინდი ფქვილით“...

ხშირ შემთხვევაში განმარტავენ, რომელ კერძს რა ჰქვია და როგორ მზადდება, ზოგჯერ ახსნას ვერ ახერხებენ...

სინორი // სირონი // სილორი – ქართულ კერძს აღნიშნავსო, – ამბობს ინფორმატორი, – წინ-წინ იცოდნენ,

ახლა ვერ მიხდით“. სინორი – ნადუღითა და უფუარი ცომის ხმელი ფირფიტებით მომზადებული. ცომ მოვზილავთ ხელითა, გარგან ვუძახით, გავათხელოთ, გარგანით (გასაბრტყელებელით – მ. ს.) ვიჯვებით. მემრე სობაზე ვაცხოფთ. ზოგი ვჭრითა, ზოგი ვაწყობთ. გამოვაცხოფთ. ერბოს წყუსვამთ. ჭამენ...“ „სირონს დიდვან დავშქრით, ფურუნში (ღუმელი – მ. ს.) გავახმოთ, მემრე ზედან მაწონ დავასხამთ, ზეიდან იალი (ცხიმი – მ.ს.), ასე იჭმება.

ბორანო – კარაქში ჩამდნარი ყველი.

ჩირბული – კვერცხით და ნიგვზით მომზადებული კერძი.

ყველყარტოფაის ბორანო – „ყარტოფას აიღებ, მოხარჩავ კარქა და ლამაზა დაშქეჭყავ. მემრე პაწაიზე წყალი შეურევ, რო მბილი იყოს ფაფასავეთ. მემრე ეიღევ ყველსა, იმას დაჰფლითავ, გობსა დაახურავ კარაქა, რომ მისთვინა დარჩეს, გააჩერებ ნახევარ საათ. მემრე ახდი ქი... მემრე იმ ყარტოფასა ამ ბილ ყველსა შეაზილავ კარქა, წყალსაც შიართავ, მემრე ზეით ბიბერ (წიწკა) მუაყრი და დაზდგამ ცეცხლზე. ლამაზა მოიხარშოსნა; მემრე შეჭამ. ამას ეტყვიან ყველ-ყარტოფაის ბორანოს.. აჭარლებმა იმდონი არ ვიცით, ზეგნელებმა უმფო იციან.“

მოძიებულ მასალაში გვაქვს შემდეგი სახელები: **კარტოფაი** „კარტოფილი“, რომლის პარალელურად მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაში თურქული **ფოტატეზიც** გვხვდება; მსგავსი შემთხვევები არაა იშვიათი ერთსა და იმავე მთქმელის მეტყველებაშიც კი: **ლობია // ფასულიე** „ლობიო“, **წიწკაი // ბიბერი** „წიწკა“, **მაკიდო // მაიდუნუზი** „ოხრახუში“. საყურადღებოა, რომ მთქმელები თურქულ ლექსემებს ქართული აფიქსებით აფორმებენ: Maydanoz (თურქ.) „ოხრახუში“ ქართულ მეტყველებაში > მაიდანოზ-ი, Biber (თურქ.) „წიწკა“ ბიბერ-ი...

ასეხელებენ რძის პროდუქტებს: „ძის რაცხიები – **ბე, ყველი – ჭყინტე ყველი, დაჩეჩილი ყველი. მაწონი, დო, ყურუთი...** ყველ ვაკეთებდით, მიდან ყველ ვაკეთებ, თუ ძემ აიჭრა. ფუნჩხას ვაკეთებ. ბე ეიჭრებაია ადულებისან, იმა ჩავწურავთ, ფუნჩხაი გახდება. ყველი არ კეთდება. ბე დააყენებ, შიგან პაწა შრატ ჩაასხამ, ცეცხლზე დაადგამ, ის მემრეთოკივით ასე გაგძელდება მემრედაახვევენ, გაკეთდება გურჯული ყველი (სულუგუნს გულისხმობს – მ.ს.).

„აბაზაი ყველი იცოდნენ, ჩვენ ჩვენებურაი ყველ ვაკეთებდით: გობზე უნდა დაასხა რზემ, ჯამის იშტე დაადვან, დღეს ამოწურონ... ტაროსის სიცხე-სიცივეს უყურებენ; მემრე ორ დღეს მემრე გააკეთებენ; ამისი ნენე აკეთებდა, ყველი თოკივით გაგზელდებოდა... „რძე აადულონა, ყველი იქნება. იმასაც რაცხა მაია ქონებია... ყველს ამოიღებ, დარჩება ყიინთები. შრატა. წვენი შრატია“.

დაგრეხილი ყველი // დანწნილი ყველი // გურჯული ყველი – „ძე მოწველია, ერთ დღეს დააყენებ, მემრე შრატ დაასხამ. მაია (დედო – მ.ს.) გელიორ, დადგამ ცეცხლზე, ჩახდება ძირში, იმის წვენ ამეიღებ, სხუა თენჯერეში (ქვაბში – მ.ს.), შიან, ყველი რჩება, მემრე გააგძელე, თოკივით დაგრეხ, დანწნი, ეს იქნება დანწნილი ყველი. ანეებიდან დევსწავლეთ.“

მაწონი – ზენა აადულონა, ისნა გააგრილო, შიგან მაწონი უნა ჩაასხა...

ხაჭო – მუუდუღებელი ზეი, ზეიდან ყაიმად მოაზრობ, სადლობლები გვაქვა, ყაიმალსა სადლობელში ჩაასხემდა ნენე. იმ ქვეშათა ხაჭოს გააკეთებდა. ზედას მოხდილსა იმის მემრე იქიდან ერბო ამოიდიოდა.

ჭინჭრიხა – ფუნჩხაით ვაკეთებთ. თერეიად (კარაქი) დასწუავ, იმ ფუნჩხას ჩაყრი შიგან, ცეცხლზე პაწაის მუურეუ, გახდება ჭინჭრიხა, ჩაიდან იჭმება.

ნაკი // ნარეკაი – წყალში გახსნილი მაწონი. ამოსავალი რეკ- ძირი სემანტიკურად დაკავშირებულია რეკვა (იგივე ნჯღრევა) სახელზმნასთან. ნა- პრეფიქსი ნამყო დროის მიმდევობის მაწარმოებელია. ნარეკი არის ის მასა, რომელიც წყლისა და მაწვნის დღვების შედეგად მიიღება. შდრ.: ნა-დუღი (სალია 2014: 313). აღნიშნულ ფორმათა მიღების გზა ასეთია: რეკ- > ნა-რეკ-ი > ნარეკაი > ნაკი.

დო – „დო იადის მერე დარჩება“. საბას მიხედვით, დო მაწვნის ნათქვეფია (საბა 1991: 222). აღნიშნული სიტყვაფორმა გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლში, ქიზიყში, მთიულეთში, ხევსურეთში, რაჭაში), მისი მნიშვნელობაა: კარაქის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე; შედღვებილი მაწონი (დლონტი 1984: 209).

ნალეზი – „არაჟანი“.

ყაიმადი – „რძე მაქინაში გამოხდილი ყაიმადი გამუა. იმას მემრე უკანასაც შედგება ის მისთვინაი. საყველო

გახდება. ცეცხლზე მეიყვლევის ლამაზად. ყველი გაკეთდება. ამეიღებ, დაწრიხავ. ყველი გახდება.“

ყურუთი – გაწურული მაწონი. ამავე მნიშვნელობით **ყურუთი/ყურუტი** დასტურდება ლაზურში (თანდილა 2013: 817); **კურუთი** – მჭადის ფქვილში შეხედილი ნადული (გამხმარი) (იქვე: 389);

ჯაჯიკი გავაკეთავთ – კიტრი გავთლავთ, წვიტად დაეჭრით, ნიორის დავაყარავთ, მარილი უნდა და ნანე უნდა ნანე, პიტნა და მაწონში გუურევთ. აღნიშნული კერძის აღსანიშნავად ჭაჭული // ჯაჯული ფორმებიც დასტურდება. გაწურულ მაწონს, ნივრითა და პიტნით შეკაზმულს სამეგრელოში ძერძის ემახიან. საანალიზო მასალა მეტ დაკვირვებას მოითხოვს.

მოხრაკული – „ენ წინ კაი გარეცხავ ჩეჩილ ყველსა, რომე რაც რომ სიმწუთხეი აქვა, გააქარვოს. მემრე დასჭრი, ნაქუც-ნაქუც დააფთილავებ. ჩაშუშავ კარქა იალში... მოაყრი ბიბრი ფქვილსა. პატინა დააცლი, ჩეიშუშვის. ამას ქვია მოხრაკული. აჭარლები ისი საჭმელია, ზეგნელებმა არ იციან.“

ლეფსი – ქათმის ხორცისგან დამზადებული წვნიანი კერძი: „გაგაი (იგივე კაკალი) უნდა, გემიელია, მოგვწონა.“

„ხორცის შევწავთ, ხორცით ქოფთევ გაკეთდება. ქათამს შევწავთ“...

„**ხაპი, თეთრი ხაპი, მიწახაპი, ტოლმა ხაპი არი, წაბლახაპი, შავი ხაპი არი, მოკლე ხაპი არი, გძელი ხაპი არი**“.

„ხაპიცომაი იცი? ეს რა არი... ესკიდან ბევრი ხაპები გქონდა, მოტეხდი ყუნწი, გოუქცევ. რომ გაჭრი იმას, ლამაზად გათლი იმ ხაპს, მრგვალად გაჭრი, პაწაი წყალი, წყალი მეიცვას ხაპს ზეიდან, ის კარქა მეიხარშვის. ხაპი მეიხარშვის კარქა. მემრე რა უნდა ქნა? მემრე გაწურონა ის, ის გაწურონა, ის კარქანა გალესონაიან: „ნიგოზია ესე ნიგოზი, კაკალი ლაზებმა იციანო“ (დუზჯე).

მაკიდო – „ოხრახუმი“. შდრ.: მაკიდო (აჭარ.), მაკინდოლი (მეგრ.).

ბაკლიჯანი // პატრიჯანი – „ბადრიჯანი“.

პომიდორი // დომათესი (თურქ.) – „პომიდორი“.

პირპილაი // ბიბერაი – ბაღჩეშია.

შაშპირამი, პრასა – „პრასა ვუქნავთ, შაშპირამ დავაყრით. საჭმელი ჰაზირია.“

განხილული ლექსიკის დიდი ნაწილი აჭარულშიც დასტურდება და სხვა სამხრეთ-დასავლურ კილოებშიც. იგივე შეიძლება ითქვას ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმებზეც.

ზემოთ წარმოდგენილი მასალა ძირითადად სამოცი და უფრო მეტი ასაკის ადამიანებისგანაა ჩაწერილი. თითოეული მათგანი გულისტკივილით ამთავრებს საუბარს. აი, ერთ-ერთი: „ეს ყველამფერი ჩვენმა დედეებმა, ნენეებმა მოიტანეს... ჩუენ შევნახეთ. ჩუენია. მემრე? მემრე??? მემრე არ ვისით. დავიკარგვენით! გავერიეთ სხუებსა... ნაცარში ვართ ჩარჩენილი!“ ამ სიტყვებში არის სიმართლე, მაგრამ ირგვლივ საიმედო ნაპერწლებიც იკვეთება, რომ ის ნაღვერდალი, რომელიც ჯერ კიდევ ღვივის ნაცარში, საბოლოოდ არ ჩაქრება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებული ქართული კულტურის ასოციაციები თუ ცენტრები.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული კერძები თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებისთვის უპირველესად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მათთვის ქართული სამზარეულო იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანიცაა.

დუზჯეში არსებობს „ქართული კულტურის ასოციაცია“, სადაც წლებია თვეში ერთხელ იმართება კულტურული ღონისძიება „ქართული სამზარეულო“. ასოციაციაშივე, ადგილზე ამზადებენ ქართულ კერძებს, დათქმულ დღეს ეპატიჟებიან ქართველებს, არაქართველებსაც და საუბრობენ ქართულ კულტურაზე, ისტორიაზე... მღერიან ქართულ სიმღერებს,, ცეკვავენ ქართული სულის გასაღვივებლად.

დუზჯედან მოშორებით, სტამბულში მისვლამდე არის ქალაქი გებზე, სადაც ფუნქციონირებს „ქართული კაფერესტორანი“ კაფეს მეპატრონე იმერხეველი ქართველია, რომელიც ასე გვიხსნის: ქართული სამზარეულო ქართული კულტურის ნაწილია, ჩვენი ისტორიის ნაწილია. ქართული კაფე ქართველების შეკრების ადგილია, არაქართველი მეგობრებისთვის ქართული კულტურის გაზიარების ადგილია. მართლაც, გარდა მარკეტინგული დაინტერესებისა, ამ სივრცეში ნამდვილად იგრძნობა ეს განცდა და დამოკიდებულება, ამიტომ არ შეიძლება არ ირწმუნო ეს გულწრფელი სიტყვები.

მოძიებული მასალა შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ერთი ნაწილი მოხუცების მეხსიერებას შემორჩენილი სიტყვაფორმებია, მეორე კი – საშუალო ასაკის ან ახალგაზრდებისგან ჩაწერილი მასალა. პირველი ნაწილი არის ძირძველ ქართველთა მეტყველებაში დაუნჯებული, გაქვავებული, ძველი ფორმები, რომლებზედაც ზემოთ ვისაუბრეთ; რესპონდენტების მეორე ნაწილი საქართველოში ჩამოდის და უშუალო კავშირი აქვს ქართულ კულტურასთან და, შესაბამისად, ისინი მეტ ინფორმაციას ფლობენ ქართულ სამზარეულოზე... იციან ხაჭაპური და მისი ნაირსახეობანი (აჭარული, მეგრული, იმერული, ფენოვანი), მათთვის ცნობილია საცივი, ხინკალი და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, განხილული ლექსიკის დიდი ნაწილი დასტურდება აჭარულში, აგრეთვე სხვა სამხრეთ-დასავლურ კილოებში.

ქართული სამზარეულო, როგორც ქართული კულტურის ნაწილი, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებისთვის იდენტობის ერთ-ერთი ნიშანია.

გამოყენებული ლიტერატურა

თანდილავა 2013 – თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი. თბილისი, 2013.

საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, I – 1991, II – 1991.

სალია 2017 – სალია მ., დუზჯეს რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ქართველთა მეტყველების თავისებურებანი. ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2017.

ფუტკარაძე... 2022 – ფუტკარაძე ტ., ტაბიძე მ., ლაბაძე მ., კეკუა ს., გეჯუა კ., ჩელები ფ., სალია მ., ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით. თბილისი, 2022.

ჩელები 2018 – ჩელები ფ., დუზჯეს მზარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი. 2018.

Maka Salia

**GEORGIAN CUISINE
AS ONE OF THE DETERMINING FACTORS
OF THE NATIONAL IDENTITY
OF MUHAJIR GEORGIANS**

Summary

According to contemporary scientific literature, characteristics such as language, religion, historical memory, and way of life—including traditions, clothing, dances, songs, national dishes, etc.—are regarded as defining features of a nation and ethnic unity. Our research focuses on Georgian cuisine, which is preserved in the daily lives of the descendants of Muhajirs, specifically exploring lexemes or word forms associated with this cultural element.

As widely acknowledged, Georgian cuisine is notably rich, distinguished by its diversity, visuals and refined taste. This variety is observed throughout the regions, creating a whole unity and constituting an integral part of the Georgian culture.

Our informants regard the oldest national dishes to be predominantly vegetable-based, including dishes made of various greens ('pkhali'), beans and dairy products. The main reason for this preference is the environment, climatic conditions and geographical location where their ancestors had to live. These were places where beans, corn, etc. were easily grown... social status as well as religious beliefs must also be taken into account.

A large part of the vocabulary discussed in the article is also attested in Adjara and other southwestern dialects.

Georgian cuisine, as a part of the Georgian culture, is one of the signs of identity of the descendants of Muhajir Georgians.

მიხეილ ქურდიანი – 70 **(მაცნიარის გახსენება)**

გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერს, კავკასიოლოგს, ლიტერატურათმცოდნეს, პედაგოგს, პოეტს მიხეილ ქურდიანს 70 წელი იმიერში შეუსრულდა. ის ნაადრევად, 56 წლის ასაკში, 2010 წელს გარდაიცვალა. მან ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო.

მიხეილ ქურდიანი დაიბადა 1964 წლის 1 იანვარს თბილისში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა; 1976 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1977 წელს – ამავე უნივერსიტეტის ხელოვნების საზოგადოებრივი პროფესიის ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით; 2001 წელს – ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და სტრუქტურული, გამოყენებითი, მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალობით.

მრავალმხრივი იყო მისი საქმიანობის სფერო: 1977-1978 წწ. იყო საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ინგლისურენოვანი მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურის მეცნიერ-რედაქტორი; 1978-1979 წწ. – საქართველოს სახელმწიფო გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1979-1984 წწ. – გამომცემლობა “მერანის” რუსულ ენაზე გამოცემათა

რედაქტორი; 1984-2010 წწ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში სხვადასხვა პოზიციაზე: უფროს ლაბორანტად (1984-1986), უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1986-1988), მეცნიერ-თანამშრომლად (1988-1995); უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1995-1998), წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად (1998-2010).

ნაყოფიერი იყო მ. ქურდიანის პედაგოგიური მოღვაწეობა; 1978-1991 წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში; 1993 წლიდან მოღვაწეობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის 1994 წლიდან პროფესორი იყო, 1994-2001 წლებში ხელმძღვანელობდა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას; 1997 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყებს მოღვაწეობას, 1999 წლიდან ის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი იყო. მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა საკანდიდატო დისერტაციები, სამაგისტრო ნაშრომები.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად მეცნიერი აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი და საპატიო წევრი, საერთაშორისო აკადემიური საზოგადოების საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს საპატრიარქოს გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პრეზიდენტი...

ფართო იყო მ. ქურდიანის სამეცნიერო ინტერესები: ზოგადი ენათმეცნიერება, კომპარატივისტიკა, იბერიულ-კავკასიური ენები, ეთნოლინგვისტიკა, ლიტერატურის თეორია, ლექსთმცოდნეობა... მან 1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით: ქართული ლიტერატურა, 1998 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია ორი სპეციალობით: ენათმეცნიერების თეორია და ისტორია და ლიტერატურის თეორია (სადისერტაციო თემა – „საერთო-

ქართველური ვერსიფიკაციული სისტემა და ლექსთწყობის ზოგად-ლინგვისტური თეორია”.

მას გამოქვეყნებული აქვს 290-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები (2007), ქართული ენა და დამწერლობა (2008). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ზოგადი ანუ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების მიმართულებით. ის აქტიურად იკვლევდა თანამედროვე ლინგვისტიკაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა: ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობა, აღნიშნულ ენებს შორის ბგერათმომართებები (ბგერათმესატყვისობები). ფლობდა ჩრდილოკავკასიურ ენებს, რაც მას საფუძველს აძლევდა, წარმატებით ეკვლია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკური, ლექსიკური... სტრუქტურა. გარდა ჩრდილოკავკასიური ენებისა (უდიური, წახური, მუხადური), ის ფლობდა აგრეთვე ინდოევროპულ ენებს (ინგლისური, რუსული, უკრაინული), სემიტურ ენას (ივრითი), ძველი აღმოსავლეთის მკვდარ ენას (ურარტული)...

მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული. მისი ორიგინალური ხედვით და მჭევრმეტყველებით გამორჩეული სამეცნიერო მოხსენებები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. მას აქტიური კონტაქტები ჰქონდა უცხოელ მეცნიერებთან, ხელს უწყობდა ქართულის სამეცნიეროაზრის, ქართველოლოგიური კვლევების უცხოეთში პოპულარიზაციას.

მ. ქურდიანი ხელმძღვანელობდა სამეცნიერო გამოცემებს; ის იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „მომხმის“ მთავარი რედაქტორი (1995 წლიდან), ასევე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის მთავარი რედაქტორი (1996 წლიდან).

მ. ქურდიანი დიდ ინტერესს იჩენდა პოეზიისადმი, თვითონაც წერდა ლექსებს. მის სიცოცხლეში ორი პატარა პოეტური კრებული გამოქვეყნდა. 2013 წელს, მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, გამომცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა მისი პოეტური ტექსტების კრებული „მარადიული სრბოლის ხმაურში...“ (ლექსები, პოემები, წერილები). ის კარგად

იცნობდა როგორც ქართულ პოეზიას, ასევე რუსულ და ინგლისურენოვან პოეზიას.

სხვადასხვა აქტივობისთვის მეცნიერს მიღებული აქვს ჯილდოები: აკაკი წერეთლის სახელობის პრემია, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის (2014).

მიხეილ ქურდიანმა თავისი აქტიური, მრავალმხრივი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ეკა დადიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აუნაზღაურებალი დანაკლისი

გარდა იმისა, რომ ახლობელი ადამიანისა და მეგობრის სიკვდილი დიდ სულიერ ტკივილს გვაყენებს ხოლმე, ასეთი მწუხარების ჟამს კაცი მის ამქვეყნიურ პიროვნულ დამსახურებებსაც აფასებს განზოგადებული ფორმით. მიხეილ ქურდიანის უდროოდ გარდაცვალება ამ თვალსაზრისით არა მარტო მისი ახლობლებისა და მეგობრებისთვის წარმოადგენს აუნაზღაურებელ დანაკლისს, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისთვისაც.

თავისი მეტად აქტიური და მრავალმხრივი მოღვაწეობით – მეცნიერულითაც, შემოქმედებითითაც, პედაგოგიურიც, ეროვნულ-საზოგადოებრივითაც – მიხეილ ქურდიანი ჩვენი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურას წარმოადგენდა, ფენომენალური ნიჭიერებითა და ენციკლოპედიური განსწავლულობით გამორჩეულ უნიკალურ პიროვნებას. ფაქტობრივად არ არსებობდა სფერო, რომელშიც იგი მეტ-ნაკლები სიღრმით არ ყოფილიყო გარკვეული.

მან, როგორც მეცნიერმა, მეტად ფასეული წვლილი შეიტანა ქართველოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში. სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის შეკრებებზე გამოსვლისას თუ პირად საუბრებში ბატონი მიშა ყოველთვის ექცეოდა ხოლმე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. ორიგინალური შეხედულებებით გამორჩეული მისი ცეცხლოვანი გამოსვლები იმავდროულად ორატორული ხელოვნების ნიმუშსაც წარმოადგენდა.

ძალზე დასანანია, რომ ბატონ მიხეილს სიახლეებითა და ორიგინალობით გამორჩეული თავისი მეცნიერული ნააზრევებიდან ბევრი რამ დარჩა ქალაქში გადაუტანელი. იგი იმ ასაკში წავიდა ამქვეყნიდან, რასაც მეცნიერულ-შემოქმედებითი სიმწიფის დრო ჰქვია.

მიხეილ ქურდიანის პიროვნული ღვაწლის შეფასებისას აქვე ის ფაქტიც უსათუოდ უნდა იქნას ხაზგასმით აღნიშნული, რომ იგი მხოლოდ წიგნის კაცი არ ყოფილა და მან, როგორც გულმხურვალე მამულიშვილმა, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაშიც შეიტანა საგულისხმოდ მნიშვნელოვანი წვლილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასებულია ის ფაქტი, რომ იგი აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილეც იყო, რისთვისაც ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის სახით უმაღლესი საბრძოლო ჯილდო ჰქონდა მიღებული.

ასეთი ცხოვრებით იცხოვრა მან და შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ჟამს მიეზარა მშობლიურ მიწას. მაგრამ ზეციურ საქართველოში გადასახლებული მისი უკვდავი სული ახლა იმიერიდან ილოცებს იმ ქვეყნის სიძლიერისა და ნათელი მომავლისთვის, რომლის უღალატოდ მსახურება მთელი მისი შეგნებული ცხოვრების უზენაეს იდეალად იყო ქცეული.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ავტორთა მონაცემები

ციალა ბენდელიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

თენგიზ გუმბარიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

მირიან გუნია

ფილოსოფიის მაგისტრი

მერაბ კახევაძე

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის დოქტორი

შააკა სალია

დუზჯეს უნივერსიტეტის (თურქეთი) კავკასიური
ენებისა და კულტურის განყოფილების ქართული ენისა
და ლიტერატურის მიმართულების ასოც. პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

CONTRIBUTORS

TSIALA BENDELIANI

Akaki Tsereteli State University, PhD Student.

TENGIZ GUMBERIIDZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.

MIRIAN GUNIA

Master of Philosophy.

MERAB KEZEVADZE

Director of the Kutaisi Central Archive of the National Archives of Georgia, Doctor of Historical Sciences.

MAKA SALIA

Assoc. Prof. Department of Caucasian Languages and Culture, Duzce University (Turkey). Direction of Georgian language and literature

ს ა რ ჩ ე ვ ი

საშობაო ეპისტოლე	3
ციალა ბენდელიანი – საშობაო ალილოს ტექსტის ლიტურგიკული და ხალხური ვარიანტების ურთიერთმიმართება	14
თენგიზ გუმბარიძე – იაკობ გოგებაშვილის გამოხმაურება იონა მეუნარგიას მოგონებებზე ილია ჭავჭავაძის შესახებ.....	21
მირიან გუნია – ანტიკური პროფეტიზმი	34
მერაბ კეზევაძე – გელათის მონასტრის წინამძღვრები (1811-1923 წწ.) /წერილი პირველი/.....	52
მაკა სალია – ქართული სამზარეულო, როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი მუჰაჯირ ქართველებში	65
მიხეილ ქურდიანი - 70 (მეცნიერის გახსენება)	82
აუნაზღაურებალი დანაკლისი (მიხეილ ქურდიანი)	86
ავტორთა მონაცემები	88

C O N T E N T S

CHRISTMAS EPISTLE	3
TSIALA BENDELIANI - The merits of the Catholikos-Patriarch of All Georgia Ilia II	20
TENGIZ GUMBERIDZE - Iakob Gogebashvili's response to Iona Meunargia's memories about Ilia Chavchavadze	32
MIRIAN GUNIA - Ancient Prophetism	51
MERAB KEZEVADZE - The abbots of the Gelati monastery (1811-1923) /letter one/	52
MAKA SALIA - Georgian cuisine as one of the determining factors of the national identity of Muhajir Georgians	81
MIKHEIL KURDIANI - 70 (remembering the scientist)	82
A HUGE LOSS (Mikheil Kurdiani)	86
CONTRIBUTORS	89

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

დამკავალდონებელი
შორენა ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.
ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;
პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა